# არსენალი

1425
2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

№26 (172) | … ჟურნალი 21 დეკემბერი, 2012 წ. – 3 იანვარი, 2013 წ. ფასი 2 ლარი



## გილოცავთ დამდეგ ახალ 2013 წელს!

## 2012 წლის სამხედრო მოვლენების ანალიზი

## „ახალ წელს გილოცავთ, ქართველებო, ავღანეთიდან!“

## დასაქირავებელი ტორტი და სენაკიდან გატაცებული МиГ-29

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# მოწევა კლავს
# მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს

18 ეს კანონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 სამხედრო სიახლეები

შეფასება

7 2012 წლის სამხედრო მოვლენების ანალიზი

მილოცვა ომიდან

10 „ახალ წელს გილოცავთ, ქართველებო, ავღანეთიდან!“

რეგიონი

14 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

სპეცსამსახურები

16 ფარული მოსმენების დილემა: კანონისა და უკანონობის ზღვარზე

ინოვაციური ტექნოლოგიები

19 ღამის ხედვა

პრობლემა

22 ბათუმელი გემთმშენებლები დახმარებას ითხოვენ

კონფლიქტები, კრიზისები

25 „დაკოტის რესპუბლიკა“ — უჩვეულო წარმონაქმნი ამერიკაში

მეომრები

30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

ფლოტი

34 კორვეტები შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის

1918-21 წლები

37 გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის მოხსენება — ზაქათალის ოლქის სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსათვის

100 დიდი მხედართმთავარი

40 ლორდი ნელსონი

პროფესია

42 „ჰაერში დარჩენილი“ პარაშუტით მხტომელები

ორი სტიქიის მბრძანებლები

45 საგემბანო ავიაცია

დაიცავი თავი

48 ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და ქუჩური ჩხუბის ელემენტები

სამხედრო ისტორიები

50 დასაძინებელი ტორტი და სენაკიდან გატაცებული МиГ-29

იარაღის გალერეა

53 ავტომატის, ყუმბარსატყორცნისა და კომპიუტერის ნაჯვარი


პალიტრა მედია

## რედაქციისგან

გილოცავთ დამდეგ 2013 წელს! ეს მილოცვა ეკუთვნის ყველას, უპირველესად კი საქართველოს სამხედრო ძალებში შემავალ თავდაცვის სამინისტროს, შეიარაღებული ძალებისა და შსს-ს ყველა იმ ჯარისკაცს, ოფიცერსა თუ გენერალს, რომლებსაც გული შესტკივათ თავიანთ სამშობლოზე!

1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგმა გააჩინა დიდი იმედი, რომ ქართული არმია მომავალ, 2013 წელს აბსოლუტურად დეპოლიტიზებული გახდება, აღდგება სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე და რაც მთავარია, ვერავინ გაბედავს ხელქვეითის შეურაცხყოფას.

იმედია, მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში — ავღანეთში მყოფი ქართველი სამხედროები უდანაკარგოდ დაბრუნდებიან სამშობლოში. მათ განსაკუთრებით ვულოცავთ ახალ წელს!

„არსენალი“ იმედოვნებს, რომ მომავალ, 2013 წელს ჩვენი ჟურნალი უფრო საინტერესო გახდება და გაიზრდება ჩვენი ერთგული მკითხველების არმია!


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
17.12.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)



სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს


საქართველოს პარლამენტის

# დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოებისთვის ღორებს აფეთქებენ



ბრიტანეთში ცხოველთა უფლებების დამცველებსა და სამხედრო სფეროში მოღვაწე მეცნიერებს შორის შავმა კატამ გაირბინა. უფლებადამცველები უოლთშირის ზესაიდუმლო ბაზაში ჩატარებული ექსპერიმენტების შესახებ გამოჟონილმა ინფორმაციამ გაახელა. წყაროს ცნობით, ორი წლის განმავლობაში დაუნდობელმა მკვლევრებმა ათასობით მაიმუნის, ღორის, თაგვისა და ზღვის გოჭის აფეთქება, სასიკვდილო ინფექციებით დასნებოვნება და ტოქსიკური აირებით მოწამვლა მოასწრეს.

ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის წევრები განსაკუთრებით ერთმა ექსპერიმენტმა გააოგნა, — თურმე ბრიტანელი მკვლევრები ამერიკელი სამხედროების თანხლებით ნარკოზგაკეთებულ ღორებს ასაფეთქებელი მოწყობილობიდან 2,5 მ-ში აწვენდნენ და აფეთქების შემდეგ გადარჩენას ცდილობდნენ. „ექიმებს“ დაჭრილ-დასახიჩრებული 28 ცხოველიდან 17 კი გადაურჩენიათ, თუმცა, ექსპერიმენტების ბოლოს ისინიც სიცოცხლეს გამოასალმეს.

ცხოველთა დამცველთა კრიტიკაზე სამხედრო უწყების პასუხმაც არ დააყოვნა.

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი თანამშრომლების მიერ ჩატარებული კვლევებით და მივიჩნევთ, რომ გაერთიანებული სამეფოსა და მისი არმიის უსაფრთხოების ეფექტური დაცვა ცხოველთა გამოყენების გარეშე ვერ მოხერხდება“, — ნათქვამია განცხადებაში.



# სნაიპერული შაშხანა გონიერი სამიზნით

ამერიკულმა კომპანია TrackingPoint-მა შექმნა ტექნოლოგია, რომელიც სნაიპერული შაშხანია მაღალი სიზუსტით სროლას თვით გამოუცდელ მსროლელსაც კი შეაძლებინებს.

შაშხანაზე გამოყენებული სისტემა გამანადგურებელი თვითმფრინავის მიზანში ამომღები სისტემასავით მუშაობს, — გასროლამდე ჯერ ელექტრონული სამიზნე მიზანზე უნდა გასწორდეს, შემდეგ კი ფიქსაციის ღილაკზე დაჭერაა საჭირო. საბოლოოდ დისფლეიზე გაჩნდება წითელი წერტილი, რომელიც მიზანს მონიშნავს.

მაგრამ თუ მსროლელი მხოლოდ ნაჩვენები წერტილის იმედად გაისვრის, მიზანს აუცილებლად ააცილებს. სიმძიმის ძალა, ქარი თუ სხვა ფაქტორები მიზანში ზუსტად სროლას ხელს უშლის და საჭიროა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს, სად უნდა იყოს სამიზნის ნიშანი, რომ ტყვია ზუსტად მოხვდეს. ამ შემთხვევაში სამიზნესა და მიზნის წერტილების კორექტირებას კომპიუტერი ახდენს და შაშხანა მანამ არ გაისვრის, სანამ სამიზნის მომნიშვნელი წერტილი ტყვიის მოხვედრის წერტილს არ დაემთხვევა.



# ლაზერი უპილოტოებსა და რაკეტებს ანადგურებს



კომპანია Lockheed-მა სახმელეთო მობილური ლაზერული დანადგარ ADAM-ის წარმატებით გამოცდის შესახებ გაავრცელა ცნობა, სადაც ლაპარაკი იყო ლაზერული იარაღით პატარა სიშორის რაკეტებისა და უპილოტო საფრენი აპარატების განადგურებაზე.

ტესტების შედეგად ლაზერმა 1,5 კმ-ზე მწყობრიდან გამოიყვანა უპილოტო აპარატი, 4 მცირე ზომის რაკეტას კი 2 კმ-ში გაუმკლავდა.

10-კვტიანი ლაზერით აღჭურვილი ADAM-ი სამიზნეებს 2 კმ-ში ანადგურებს.

## მზის დარტყმა ფიცის მიღებამდე



კოლუმბიაში ახლა პაპანაქებაა და აი, ამ დროს პოლიციის აკადემიაში ფიცის მიღების ცერემონიალი მიმდინარეობს. ლამაზად აღკაზმული და მათემატიკური სიზუსტით მოწყობილი კურსანტების, განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენელთა დანახვა, თვალს ნამდვილად ეამება, მაგრამ... რიგში მდგარმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა თაკარა მზის გულზე დიდხანს დგომას ვერ გაუძლო, თვალთ დაუბნელდა, მუხლი მოეკვეთა და ძირს გაიშხლართა. მართალია ცხელა, მაგრამ საბრალოსთვის ახლა არავის სცხელა.

## სარაკეტო ანგარში მოყვანილ სოკოს სულ სხვა გემო ჰქონია



ბელორუსიის ჩრდილო-დასავლეთ, სოფელ მინოიტთან ახლოს საიდუმლო სამხედრო ბაზა იყო, სადაც 1997 წლამდე ბირთვულქობინიანი რაკეტები ინახებოდა. რეფორმირების შემდეგ კი ბაზა უმოქმედოდ მანამდე იყო, სანამ ერთმა ჭკვიანმა ფერმერმა ის იჯარით არ აიღო და მასში სოკო არ მოიყვანა.

რაც მთავარია, სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ გაუქმებულ ანგრებში რადიაციული ფონი უფრო დაბალია, ვიდრე უახლოეს დასახლებულ პუნქტებში და შესაბამისად, იქ მოყვანილი სოკო აბსოლუტურად უსაფრთხოა.

რაც შეეხება ბიზნესს, ჭკვიანმა ფერმერმა საქმე აშკარად ააწყო, — თურმე ბელორუსიისა და მისი მოსაზღვრე სახელმწიფოების სავაჭრო ობიექტებს ყოველწლიურად 10 ათას ტ სოკოს აწვდის და რაც მთავარია, კლიენტურა კმაყოფილი ჰყავს.

## ფრანგები თავიანთი სტელს-უპილოტოთი უკვე ამაყობენ

ევროპული საბრძოლო სტელს-უპილოტო აპარატ Dassault Neuron-ის პროტოტიპი საფრანგეთის სამხრეთში პირველად აფრინდა, რაც ფრანგი სამხედროებისთვის ფრიად ღირსშესანიშნავი ამბავია. მათი თქმით, ეს უდიდესი ტექნოლოგიური და სამრეწველო მიღწევაა, რომელიც ახალი თაობის საბრძოლო თვითმფრინავებს გზას გაუხსნის.

ფრანგები არ აჭარბებენ: რეაქტიული დამრტყმელი სტელს-უპილოტოები სამხედროებს სრულიად ახალ შესაძლებლობებს მისცემს, განსაკუთრებით კარგად შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ოღონდ ეგაა, Neuron-ს საბრძოლო გამოყენებამდე ჯერ ბევრი აკლია.

პირველი 25-წუთიანი ფრენა უპილოტომ ორი თვითმფრინავის გამოცდილი მფრინავ-გამომცდელების მეთვალყურეობით შეასრულა და მსუბუქი დაშვებით დაასრულა.

Neuron-ის შექმნას საფრანგეთი თავობს და ხარჯების ნახევარსაც იხდის. პროგრამაში ასევე მონაწილეობენ: იტალია, შვედეთი, ესპანეთი, შვეიცარია და საბერძნეთი. ამ უპილოტოს გამოყენება კონფლიქტის პირველ დღეს, მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად იგეგმება.




## ამერიკელი ქალები: ლეკვი ლომისა სწორია!



ოთხმა ამერიკელმა ქალმა, რომლებიც სამხედრო სამსახურს ავღანეთსა და ერაყში გადიოდნენ, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სასამართლოში იმისთვის უჩივლა, რომ ეს უკანასკნელი ქალ სამხედროებს სახმელეთო ოპერაციებში მონაწილეობის ნებას არ რთავს.

ქალებს არ მოსწონთ, რომ შეიარაღებული ძალები ამერიკაში უკანასკნელ სახელმწიფო ინსტიტუტად რჩება, რომელიც სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციას ფედერალური კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს.

ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ ქალები უკვე დიდი ხანია ერაყსა და ავღანეთში საბრძოლო მოქმედებებში მაინც მონაწილეობენ, სადაც ფრონტის ხაზი გამოკვეთილი არაა. ფორმალური აკრძალვა კი ქალ სამხედროებს კარიერაში დაბრკოლებებს უქმნის და ხშირად მათ ახალი სამსახურის მოძიება უჭირთ.

დღეს აშშ-ის მოქმედ 1,4 მლნ სამხედრო მოსამსახურეთა 14%-ს სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ. იმის გამო, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ეკრძალებათ, ქალებს 128 სახის თანამდებობის დაკავება არ შეუძლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყვიამფრქვევიანი სანტა-კლაუსი კრიმინალებისთვის




კანადის ქალაქ აბოტსფორდის პოლიციამ ადგილობრივი დამნაშავეებისთვის ორიგინალური საშობაო მისალოცი ბარათების გაგზავნა გადაწყვიტა.

ბარათზე, რომელზეც გამოსახულ სანტა-კლაუსს ტანთ ჯავშანჟილეტი აცვია, ხელში კი ტყვიამფრქვევი უჭირავს, წარწერაა დატანებული: „აბა, რომელ სიაში იქნები მომავალ წელს“? ბარათი კანონის დამრღვევებს საშობაო ლეგენდას შეახსენებს, რომლის თანახმად, სანტა-კლაუსი საჩუქრებს მხოლოდ თავის სიაში მყოფ დამჯერ და ჭკვიან ბავშვებს ურიგებს.

ხუმრობა იქით იყოს და პოლიციაში მართლა სჯერათ, რომ ბარათების ადრესატები კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან თავიანთ „ცოდვებზე“ და 2013 წელს გამოსწორების გზას დაადგებიან. ბარათზე ნდობის ტელეფონის ნომერიცაა მითითებული, სადაც იმ პირებს შეეძლებათ რჩევა-დარიგებების მიღება, რომლებიც ცხოვრების კრიმინალური სტილის შეცვლას გადაწყვეტენ.

პოლიციისგან საშობაო ბარათებს ის დამნაშავეები მიიღებენ, რომლებიც ათჯერ და მეტჯერ იყვნენ ნასამართლევნი, ან ბოლო წელიწად-ნახევარში ხუთი და მეტი გამოსაძიებელი საქმის ფიგურანტები იყვნენ. „ტყვიამფრქვევიანი სანტა-კლაუსი“ დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრებისთვისაცაა განკუთვნილი.

# სირიული სიამაყე — ჯავშანმანქანა „ფლეისტეიშენის“ ჯოისტიკით

სირიაში ერთ-ერთი დანაყოფის „ალ-ანსარის“ მებრძოლებმა, რომლებიც აჯანყებულთა მხარეს იბრძვიან, საკუთარი ჯავშანმანქანა შექმნეს. ის ჟანგიანი ლითონის ყუთს ჰგავს, თუმცა, მასში რამდენიმე ნოუ-ჰაუა რეალიზებული, რაზეც ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს.

ჯავშანმანქანა სერიული ავტომობილის ბაზაზეა შექმნილი, რაც მის გარემონტებას, სათადარიგო ნაწილების დეფიციტის მიუხედავად, ერთი-ორად აიოლებს. ის აღჭურვილია მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, თუმცა, არა აქვს არც ცხაურები, და არც მინები — მძღოლიცა და მეტყვიამფქვევეც ორიენტაციას სათვალთვალო კამერის მეშვეობით ახერხებენ, რომელიც მანქანაზეა დამონტაჟებული.

და ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ მეტყვიამფრქვევე იარაღს Sony PlayStation-ის ჯოისტიკით მართავს.

აპირებენ თუ არა მოხერხებული სირიელები ამ ჯავშანმანქანის სერიულად წარმოებას, უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია მისი დასახელება — შემქმნელებმა მას „შამ 2“ უწოდეს. ალბათ, იკითხავთ, როგორღა გამოიყურებოდა „შამ 1“? გვაპატიეთ, მაგრამ მის შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვეთ...



# ნოეს კიდობნიდან ლიუს ბურთულებამდე

პეკინის გარეუბანში მცხოვრებმა ჩინელმა ფერმერმა ლიუ კიუნალმა შვიდი სამაშველო კაფსულა შექმნა, რომლებიც, მისი აზრით, ადამიანებს ბუნებრივი კატაკლიზმების, მიწისძვრისა თუ წყალდიდობისას გამოადგებათ.

როგორც ირკვევა, ბატონ ლიუზე დიდი შთაბეჭდილება იაპონიაში მომხდარ ცუნამისა და აპოკალიფსურ ფილმ „2012“-ს მოუხდენია და თურმე ბოლო რამდენიმე წელი სწორედ ამ კაფსულების შექმნისთვის მიუძღვნია.

„სიცოცხლის კაფსულა“ ფოლადის ფურცლებისგანაა დამზადებული, შიგნიდან კი მის კედლებზე მაუდია აკრული. კაფსულა 14 კაცზეა გათვლილი და ისეთი კონსტრუქცია აქვს, რომ წყალში არ იძირება.

აქვს ჟანგბადის რამდენიმედღიანი მარაგი და სავარძლები, რომლებიც უსაფრთხოების ღვედებით არის აღჭურვილი.

ახლა ლიუ კიუნალი იმედოვნებს, რომ მისი პროექტით ხელისუფლება და კერძო კომპანიებიც დაინტერესდებიან და კაფსულების მასობრივ წარმოებასაც დაიწყებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# 2012 წლის სამხედრო მოვლენების ანალიზი

**გასული წელი შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ისე მისი სამხედრო ძალებისთვის, რადგან „ნაცმოძრაობის“ მიერ თითქმის 9-წლიანი მართვის შემდეგ ქართული არმია დეპოლიტიზებული გახდეს და აღდგეს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი...**

## სატელეფონო მოსმენებით გახსნილი წელი

2012 წელი იმით დაიწყო ქართული არმიისთვის, რომ პარლამენტმა 2011 წლის დეკემბრის ბოლოს კანონში „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ერთი მნიშვნელოვანი დამატება შეიტანა, კერძოდ, ზოგიერთ სამინისტროს, და მათ შორის თავდაცვის სამინისტროსაც, უფლება მიეცა, ტექნიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით განეხორციელებინათ კავშირგაბმულობის არხში არსებული მონაცემთა ბანკის კოპირება. გასაგები ენით რომ ვთქვათ, თავდაცვის სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ სამსახურს უკვე აღარ სჭირდებოდა, თხოვნით მიემართა ამა თუ იმ მობილური თუ ფიქსირებული ოპერატორებისთვის, რათა კავშირგაბმულობის მონაცემთა საკუთარ ბანკებში დაეშვათ. სპეცსამსახურებს თავიანთ კომპიუტერულ ქსელში გაუჩნდათ ყველა მონაცემი, თუ ვინ სად რეკავდა, ვის ურეკავდა, რა ადგილას იმყოფებოდა ობიექტი და რაზე საუბრობდნენ.

თუ რამდენად კანონიერად გამოიყენა ეს გაზრდილი უფლება მაშინდელმა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, გამოჩნდა წლის მიწურულს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ახალმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ საზოგადოებას განუცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობის პერიოდში ამ უწყების ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის მიერ განხორციელებული ფარული ჩანაწერების დაახლოებით 80% უკანონო იყო, რადგან არ არსებობდა ამაზე სასამართლოს სანქცია და ამასთან, უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ალასანიამ მთელი წლის ფარული მოსმენების დოკუმენტაცია შსს-ს გადასცა და გამოვიდა ინიციატივით, რომ მოსასმენი სპეციალური აპარატურა მხოლოდ ერთი უწყების საფარქვეშ (რა თქმა უნდა, არა თავდაცვის სამინისტროს) იყოს, რაც გააადვილებს მის კონტროლს.

ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, მოსმენების ტექნიკური შესაძლებლობების გაადვილება, სინამდვილეში ძველი ხელისუფლების მიერ გამოიყენებოდა საზოგადოების დამაშინებელ ფაქტორად მასზე მორალუ-







**„გრად-კრაზის“, „ლაზიკასი“ თუ უპილოტო თვითმფრინავის შემდგომი გამოცდები და დახვეწა უნდა გაგრძელდეს**

რი ზეწოლის მიზნით. ხშირად მორალური ზეწოლა ფიზიკურშიც გადაიზრდებოდა, როდესაც თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა ფარული სატელეფონო მოსმენების შემდეგ აპატიმრებდა და ფიზიკურად უსწორდებოდა ათეულობით სამხედრო მოსამსახურეს.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი პირების დავალებით სამხედრო თემაზე მომუშავე დამოუკიდებელ ჟურნალისტებზე და მათ შორის ამ სტატიის ავტორზე უკანონო სატელეფონო მოსმენები და თვალთვალი იყო დაწესებული, რათა, არც მეტი და არც ნაკლები, რუსეთის აგენტობა დაეწამებინათ ჩვენთვის.

სხვას ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მარტო ეს — დამოუკიდებელი ჟურნალისტების სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენა და თვალთვალი — ნებისმიერ დემოკრატიული ქვეყანაში დიდი სკანდალის მიზეზი გახდებოდა, რაც ამის ჩამდენ ჩინოვნიკებს არა მარტო სავარძლებს დაატოვებინებდა, არამედ ციხეშიც ჩასვამდა.

## ქართულ-ამერიკული სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა

წლის დასაწყისში, ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიიღო და ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში დახმარებას შეჰპირდა.

ეს უდავოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ წლის დასაწყისშივე, რადგან პირველად ამერიკულმა მხარემ დაადასტურა, რომ ქართულ არმიას არა მარტო ავღანეთში ISAF-ის ოპერაციის ფარგლებში მზადებისთვის დაეხმარებოდა, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გაძლიერებაშიც.

2012 წლის შემოდგომაზე ქართულ-ამერიკულ ორმხრივ კონსულტაციებზე არაერთხელ განიხილებოდა აშშ-ის მიერ საქართველოსთვის სამხედრო სფეროში დახმარების საკითხები, რაც უპირველესად საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებასა და თავდაცვითი საბრძოლო საინჟინრო სფეროში წვრთნებსა და განათლების ამაღლებას ეხებოდა.

ფაქტობრივად, იანვარში ორი ქვეყნის პრეზიდენტს შორის მიღწეული შეთანხმება ნოემბერ-დეკემბერში კონსულტაციების, ანალიზისა და შეფასების ეტაპიდან იმპლიმენტაციის, ანუ მისი აღსრულების ეტაპზე გადავიდა.

ორ ქვეყანას შორის თავდაცვის საქმეში არსებული გეგმა 6-პუნქტიანია და ზემოთ ნახსენები საჰაერო თავდაცვისა და სამხედრო-საინჟინრო სფეროს გარდა მოიცავს მხარდამჭერი შვეულმფრენების პარკის განახლებას, სანაპირო დაცვის კონტროლის გაზრდას, სერჟანტებისა და უმცროსი ოფიცრების ინსტრუქტორების მომზადებას ტაქტიკურ დონეზე და ბრიგადის მმართველობისა და შტაბის წვრთნასა და განათლებას.

აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების შეთანხმება ნეგატიურად მიიღო რუსეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა პუტინმა და პრეზიდენტ ობამას ურჩია, არ გააძლიეროს ქართული არმია და იმავდროულად, განაცხადა, რომ რუსეთის დაზვერვა ყველა ხერხს მიმართავს იმის დასადგენად, თუ რა სახის სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს ვაშინგტონი თბილისს.

## „დიდგორიდან“ „ლაზიკამდე“

პირველი ქართული ჯავშანმანქანა „დიდგორის“ პრეზენტაცია 2011 წლის 26 მაისს ალლუმზე შედგა, განვითარების სტადიაზე მყოფმა ქართულმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა თავისი სხვა ქმნილებები კი 2012 წლის თებერვალ-აპრილში გამოფინა.

სამ თვეში სამი ახალი პროდუქტის – ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ლაზიკას“, შეჯავშნული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემისა და უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავის პრეზენტაცია მართლაც შთამბეჭდავი იყო, რასაც აძლიერებდა მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებული ტელევიზიების პიარსიუჟეტები (არცთუ იშვიათად სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად არასწორი შეფასებებით).

სამხედრო დანიშნულების ახალი პროდუქტის გამოჩენა ნამდვილად მისასალმებელი გახლდათ, თუნდაც იმიტომაც, რომ ახალგაზრდა კონსტრუქტორები ხვეწდნენ ცოდნას და იღებდნენ გამოცდილებას.

მეორე მხრივ, ვერც „დიდგორები“ და ვერც „ლაზიკები“, ისევე როგორც „გრად-კრაზი“ თუ უპილოტო თვითმფრინავი, ვერ ჩაითვლებოდა დასრულებულ პროდუქტად, რადგან ხანგრძლივად გამოცდას საჭიროებდნენ, რომლის შედეგად მიღებული მონაცემებით უნდა გადაწყვეტილიყო, ღირდა თუ არა მათი სერიულ წარმოება, რაც ძალზე ძვირად ღირებული პროცესია.

თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა ცდილობდა, მიეჩქმალა, რომ „დიდგორი“ ამერიკული „ფორდის“ პიკაპის ბაზაზე იყო გაკეთებული, ისევე როგორც „ლაზიკა“ საბჭოთა ქვეითი საბრძოლო მანქანის სავალ ნაწილზე. ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, ფაქტობრივად, საბჭოთა „გრადის“ სარაკეტო პაკეტისა და უკრაინული სატვირთო ავტომობილ „კრაზის“ ნაჯვარს წარმოადგენდა, რომელსაც თბილისში შედუღებული ჯავშანკაბინა ჰქონდა დაყენებული, ხოლო მთლიანად ქართულად გასაღებული უპილოტო თვითმფრინავი რეალურად ესტონური ფირმის იმ უპილოტოს მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა, რომელიც ამ ფირმამ ხუთი წლის წინ შეიარაღების ერთ-ერთ გამოფენაზე წარადგინა.

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო განამტკიცა ეჭვი იმის შესახებ, რომ როგორც პრეზიდენტი, ისე მაშინდელი თავდაცვის მინისტრი „დიდგორებითა“ თუ „ლაზიკით“ ქულების ჩაწერას უფრო აპირებდნენ საზოგადოების თვალში, ვიდრე მათ სრულფასოვან გამოცდასა და შეიარაღებაში მიღებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ახალ ხელისუფლებას შეუძლია აუჩქარებლად განავითაროს ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და ქართველ კონსტრუქტორებს საშუალება მისცეს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი.

## რუსული Кавказ-2012-ით დაშინების დიდი მცდელობა

თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდი ცდილობდა, რუსული სამხედრო სწავლებით დაეშინებინა ქართველი საზოგადოება. „ნაციონალების“ არგუმენტით, თუკი 2008 წლის აგვისტოში ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე რუსული სამხედრო სწავლება Кавказ-2008 საქართველოში სამხედრო აგრესიაში გადაიზარდა, შეიძლება იგივე მოჰყოლოდა სექტემბერში დაგეგმილ Кавказ-2012-საც.



2012 წელს მოსკოვმა კიდევ უფრო გააძლიერა თავისი სამხედრო ძალები ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში



ქართველი სამხედროები ავღანეთში გადასროლის წინ მომზადებას გადიან

საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე რუსული სამხედრო სწავლება ნამდვილად არ დამუქრებია საქართველოს და არც 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მოუხდენია გავლენა.

მეორე მხრივ, მთელი 2012 წლის განმავლობაში მუდმივად ძლიერდებოდა მე-4 (ცხინვალის რეგიონი) და მე-7 (აფხაზეთი) რუსული საოკუპაციო სამხედრო ბაზები, ხოლო ადმინისტრაციულ საზღვრებზე რუსი მესაზღვრეები სასაზღვრო ზოლს აწყობდნენ.

საოკუპაციო ბაზებში შეტანილი შეიარაღების სახეობებისა და რაოდენობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ყველაზე მილიტარიზებულ რაიონებად გადააქცია სამხრეთ კავკასიაში, რომლებიც სამხედრო შესაძლებლობებით არა მარტო საქართველოს ემუქრებიან, არამედ მეზობელ NATO-ს წევრ თურქეთსაც.

## ISAF-ი და ქართველი სამხედროები ავღანეთში

2012 წლის შემოდგომაზე ავღანეთში, ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე საქართველოს სამხედრო კონტინგენტმა რეკორდულ 1600 კაცს მიაღწია, რითაც საქართველო NATO-ს არაწევრ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე გავიდა. ამ პირველობას უარყოფითი მხარეც აქვს, რადგან კონტინგენტის საბრძოლო დანაკარგის ალბათობა იზრდება.

2012 წლის დეკემბრის შუა რიცხვებისთვის ავღანეთში უკვე 18 დაღუპული გვყავდა (მათგან დიდი ნაწილი სწორედ წელს დაგვეღუპა), დაჭრილთა რიცხვი კი ძველებურად გასაიდუმლოებულია, თუმცა, სავარაუდოდ, შეიძლება 100-საც აღემატება.

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიცია „ქართულმა ოცნების“ ლიდერებმა არ შეცვალეს მათი პოლიტიკური ოპონენტის, პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება ავღანეთში დამატებითი ქართული ბატალიონის გაზრდის შესახებ. პირიქით, ახალმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ISAF-ში მონაწილე ქართველ სამხედროთა მინიმალური ანაზღაურება თვეში 700-დან 1.000 დოლარამდე აიწევს.

როგორც ჩანს, საქართველოს ახალი ხელისუფლება არ მიატოვებს ISAF-ს 2014 წლამდე, უფრო მეტიც, რაღაც სახით (მაგალითად, სამხედრო ინსტრუქტორები) ქართველი სამხედროები ამის შემდეგაც დარჩებიან ავღანეთში.

## ორი ყოფილი თავდაცვის მინისტრი — საკანში, მესამე — ამერიკაში

დღეს ქართული არმიის ისტორიაში უნიკალური სიტუაციაა, როდესაც ყოფილი თავდაცვის მინისტრები — ირაკლი ოქრუაშვილი და ბაჩო ახალაია ერთ ციხეში, ერთ სართულზე, სხვადასხვა საკანში სხედან, მესამე ყოფილი თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა კი თავი აშშ-ს შეაფარა.

ოქრუაშვილი ციხეში ყოფილი ხელისუფლების მიერ წაყენებული ბრალდებების გამო იმყოფება, ახალაიას კი უკვე ახალი ხელისუფლება სდებს ბრალს სამხედრო მოსამსახურეთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის. საგულისხმოა, ისიც, რომ ეს ორი ყოფილი თავდაცვის მინისტრი ერთმანეთზე დანასისხლად არის გადამტერებული.

ზოგიერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა (მათ შორის NATO-ს გენერალურმა მდივანმაც) თავდაცვის მინისტრისა და მოქმედი გაერთიანებული შტაბის უფროსის დაპატიმრება ნეგატიურად შეაფასა, თუმცა, საკითხავია, მათ ქვეყნებში რომელიმე სამხედროს ჩვენება რომ მიეცა, თავდაცვის მინისტრმა და გენშტაბის უფროსმა მცემესო, რას უზამდნენ ასეთ ჩინოვნიკებს?!

პრეზიდენტმა სააკაშვილმა მაინც არ დათმო და არაფრისდიდებით არ დანიშნა ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე გაერთიანებული შტაბის უფროსად, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ იგი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გუნდში შემავალი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას კანდიდატურა გახლდათ.

**2012 წელს ბევრი სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით შეიცვალა ქვეყნის ხელისუფლების ნაწილი, მათ შორის თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა. ამან კი დიდი იმედი გააჩინა, რომ ქართული არმია, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოსწყვიტა სამოქალაქო კონტროლს და პოლიტიზებული გახადა, ბოლოს და ბოლოს, უფრო გახსნილი და საზოგადოებასთან დაახლოებული გახდება, ანუ ისეთი, როგორიც ეკადრება NATO-ში გაწევრების მსურველი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს.**

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალ წელს გილოცავთ, ქართველებო, ავღანეთიდან!“



**„აქ ყოფნა ადვილი არ არის, განსაკუთრებით დღესასწაულებზე, მაგრამ სამხედრო საქმე ავირჩიე და ვცდილობ, ჩემი თავის წინაშე პირნათელი ვიყო“, — ამბობს ავღანეთში მყოფი ქართველი მეომარი, რომელსაც ინტერნეტის საშუალებით დავუკავშირდით. შევეცადეთ, ქართველი საზოგადოებისთვის გაგვეცნო, როგორი განწყობით ხვდებიან ქართველი მეომრები ახალ წელს ცხელ წერტილში და ამისთვის ორ რესპონდენტს დავუკავშირდით. ერთ-ერთი წელს პირველად ხვდება დღესასწაულს თანამებრძოლებთან ერთად, მეორეს კი ზედიზედ ორი ახალი წელი იქ ყოფნამ მოუწია.**

**ბაჩური, 23 წლის, კაპრალი:**

— ქუთაისში მე-3-ე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქ ბატალიონში ვმსახურობ. ჩემი ბატალიონიდან ძალიან ბევრი ბიჭი წავიდა და მეც ძალიან მაინტერესებდა, რა ხდებოდა ავღანეთში ისეთი განსაკუთრებული. ეს საკუთარი თავის გამოცდა იყო. აქ ყოფნა არ არის ადვილი, ყოველ წუთს საფრთხეში ხარ. აქ ყველაზე დიდი და საიმედო „მეგობარი“ სიფრთხილეა. ყველა ნაბიჯი, ყველა მოძრაობა უნდა გააკონტროლო და არასდროს არ უნდა მოდუნდე. თალიბები არასდროს ისვენებენ. ეს არის მტერი, რომლისთვისაც დაბრკოლება არ არსებობს, იბრძვიან ყოველთვის, ყველანაირ სიტუაციაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ბრმა თავგანწირვით ხასიათდებიან. შეუძლიათ გაწირონ თავისიანიც კი, ოღონდ შური იძიონ. უკვე სიცივეა და ე. ი. გააქტიურდებიან. წელიწადის ორ სეზონზე, სა და გაზაფხულზე, სიცხისა და სიცივის დადგომისთანავე იარაღისა და ნარკოტიკების პაკისტანში გადაზიდვა-გადმოზიდვას იწყებენ. ჰილმენდიდან ნარკოტიკი გააქვთ და ამის სანაცვლოდ იარაღი შემოაქვთ. შემოდგომაზე „ნარკოტიკის მოსავალს“, ოპიუმსა და ჰაშიშს იწევენ და მის სარფიანად გასაღებას თავდაუზოგავად ცდილობენ. ვიცი, რომ ეს ნარკოტიკი შუა აზიის გავლით სადღაც მიდის, მაგრამ სად, ამაზე რამდენიმე ვერსია არსებობს... თან ეს ჩვენი, მეომრების საქმე არ არის.

სამი პროვინცია — ჰილმენდი, ნიმრუზი და ყანდაარი — ყველაზე საშიში ადგილებად ითვლება და შესაბამისად, საფრთხეც არსებობს, მაგრამ მეომრის მთავარი თვისება ხომ შიშის დაძლევაა? ზოგი ამას ახერხებს, ზოგი ვერა.

**— თქვენ დაძლიეთ?**

— ჯერ არ ვიცი... აქ არიან ბიჭები, ვინც სამშვიდობო მისიაში მეორედ და მესამედაც წამოვიდა.

**— თქვენ აპირებთ კიდევ ერთხელ წასვლას?**

— ჯერ რამდენიმე თვე მაქვს წინ, ექვსთვიანი ვადით წამოვედი და ვნახოთ... თუ ძალიან შემაშინეს თალიბებმა, ალბათ, უფრო მშვიდობიან ადგილას ვარჩევ სამხედრო კარიერის გაკეთებას, თუ არა და, სამშვიდობო ოპერაციაში გავაგრძელებ მსახურს. თუ ფრთხილად ვიქნები, ჯერჯერობით გაძლება შეიძლება, ოღონდ როგორც პატრულირებისას, ისე ბაზაზე დაბრუნებისას წამით არ უნდა მოეშვა, ჰორიზონტზე გამოჩენილი არც ერთი შავი წერტილი უგულისყუროდ არ უნდა დატოვო, თორემ შესაძლოა, ცუდად დასრულდეს. თალიბები ყველა შანსს იყენებენ. სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობს სხვადასხვა ასაკის ადამიანი, მათ შორის ქალები და მცირეწლოვანები. მათ სამხედრო მომზადება



ნარკოტიკებით ვაჭრობა ავღანელების ძირითადი საქმიანობაა

არ სჭირდება. ზოგჯერ მგონია, სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ მოწინააღმდეგე გაანადგურონ. ამიტომაც ხშირად დაუნანებლად ეწირებიან იმ რწმენით, რომ სამოთხეში დაიმკვიდრებენ ადგილს. ოღონდ მიზანს მიაღწიონ და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვის გამოიყენებენ. თუ ამას მათი ოჯახის წევრი ან ახლობელი შეეწირება, ეს ძალიან დიდ მადლად მიაჩნიათ.

**— ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა გაქვთ?**

— უფრო მეტად ბავშვებსა და მოხუცებთან. მათ განათლება თითქმის არა აქვთ, მაგრამ მოხუცებს რთული ცხოვრებისგან მიღებული სიბრძნე აქვთ. აქ მუდმივად ომია, მაგრამ მაინც ძალიან გულწრფელი და მხიარული არიან. ალაჰი ამბობს, სანამ ცოცხალი ხარ, ბედნიერი უნდა იყო, ამბობენ. უფროსები თავს გვარიდებენ, განსაკუთრებით ქალები გაგვირბიან, ეს მათი ტრადიცაა. თალიბებზე არაფერს ამბობენ, რადგან მათ სასტიკ შურისძიებაზე ბევრი სმენიათ და იციან, რომ ამას ვერ აცდებიან. ამ ხნის განმავლობაში ავღანელი ქალი მხოლოდ, რამდენჯერმე ვნახეთ შორიდან, უბრალოდ თვალი მოვკარით. პატარები დიდი ცნობისმოყვარეობით გვადევნებენ თვალს, ყველაფერი აინტერესებთ. ჩვენც კანფეტებს ვჩუქნით, განსაკუთრებით შოკოლადი უყვართ, ტკბილ და რბილ მიწას ეძახიან. თუმცა, მათი ნდობაც არ შეიძლება ბოლომდე, იმიტომ, რომ როგორც გითხარით, თალიბები ხშირად მათაც იყენებენ საზარბაზნე ხორცად.

აქ ყველა ერთმანეთის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ვზრუნავთ, სხვანაირად არ შეიძლება, რადგან ერთი კაცის უსაფრთხოება მეორის სიცოცხლის გარანტია.

**— დღესასწაულებზეც არის საშიშორება?**

— თალიბები არასდროს ისვენებენ. თუ თავდასხმები არ ხდება, მდინარეებს და სასმელ წყალს წამლავენ, ყველა ნაბიჯს ნაღმავენ და ჩასაფრებებს აწყობენ, რათა პატრულირების დროს შეგვიტიონ. ჰილმენდი მთაგორიანი ადგილია. თალიბებს არალეგალური ტვირთი საცალფეხო ბილიკებით გადააქვთ და ხშირად ამაში მცირეწლოვანი ბავშვები მონაწილეობენ. წინაღამეს, ვიდრე დავალებაზე გავიდოდეთ, საგალობლებს ვუსმენთ. ეს ყოველი ჩვენგანის დიდი სულიერი საზრდოა. გვამშვიდებს და მოტივაციას გვმატებს.

**— როგორი განწყობით ხვდებით ახალ წელს?**

— ისეთით, როგორც აქ მყოფ ადამიანს შეეფერება. პირველი ორი თვე გამიჭირდა, მერე თანდათან ისე შევეჩვიეთ, რომ ძილიც ფხიზელი გვაქვს.

ოჯახებს სკაიპით მივულოცავთ ახალ წელს. ამ დროს ცოტა ნოსტალგია შემომიტევს, ვინაიდან 12 საათის შემოსვლას მეც ჩემს სამეგობროსა და საახლობლოში მინდა შევხვდე, შამპანურის ბოკალით ხელში, შემდეგ გოჭი და საცივი მივირთვა, მაგრამ არა უშავს, ასეთია სამხედრო პირის ცხოვრება. იმედია, ეს ღამე შედარებით მშვიდობიანი იქნება.

**— შეგიძლიათ თქვენს ქვეყანას მიულოცოთ დამდეგი ახალი წელი.**

— მშვიდობასა და ეკონომიკურ გაძლიერებას გისურვებთ, ჩემო ქართველებო. მინდა, საქართველო ისეთი ძლიერი იყოს, რომ ქართველის მშვიდი და უსაფრთხო ძილისთვის მე და ჩემნაირებს აქ სამსახური არ გვიწევდეს. გული მტკივა, როდესაც ჩვენზე ამბობენ, ფულის გულისთვის მიდიანო, მაღალი ანაზღაურება ზედმეტი არავისთვის არის, მაგრამ ჩემი აქ წამოსვლის მიზანი ეგ არ ყოფილა. ჩვენ აქ ყოფნით იმაზე მეტს ვაკეთებთ ქვეყნისთვის, ვიდრე საქართველოში მყოფი უამრავი ჩვენი თანატოლი.

**დათო, 26 წლის, IV ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცი:**

— უკვე ორჯერ შევხვდი ახალ წელს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში. ჩემი თანამებრძოლები მეუბნებიან, უფალი გმფარველობსო. ალბათ, ასეც არის. 2011-2012 წლებში ავღანეთში შევხვდი ახალ წელს. 12 საათი რომ დადგა, მე და ჯგუფი ვპატრულირებდით. ქართულ და ავღანურ დროებში განსხვავებაა. ამიტომ საქართველოში უკვე შემოსული იყო ახალი წელი და ოჯახს სკაიპით მივულოცე, ყველაფერი კარგად არის, „ჩვენი თალიბებიც" ზეიმობენ ახალ წელს-მეთქი. მეორე დღეს კი კაპრალი ნინიაშვილი ნაღმზე აფეთქდა. ეს, რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, მაგრამ აქ სიცოცხლეს სხვანიარად ვუყურებთ და მეორე დღეს უკვე ამაზე აღარ ვფიქრობთ. ყველას, ვინც იქ მიდის, გააზრებული აქვს, რომ საფრთხე დიდია, მაგრამ მაინც მიდის, ვინც მიდის, ჩემი აზრით, ვაჟკაცია, რადგან იმის გამბედაობა, ამ საფრთხეზე გააზრებულად წავიდეს, ყველას არა აქვს. უცხოელი ინსტრუქტორები ხშირად ამბობენ, რომ ქართველი მეომრები ძალიან მოტივირებულები, ორგანიზებულები და მამაცები არიან. ეს მხოლოდ სტიმულისთვის არ არის ნათქვამი, რადგან ძალიან ხშირად ბევრი მათგანისგან მსმენია, რომ იმ ოპერაციას, რასაც ქართველები უდანაკარგოდ ასრულებენ, შესაძლოა, სხვა შემთხვევაში დიდი ადამიანური და ტექნიკური დანაკარგი მოჰყოლოდა. პატრულირებიდან ბაზაში დაბრუნების შემდეგ უალკოჰოლო სასმლით ვამბობდით სადღეგრძელოს, ცოტა ხანს ვხალისობდით და მერე მომდევნო დღისთვის ვემზადებოდით. იქ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები ვიყავით თავმოყრილი და ჩვენს ტრადიციებზე ვყვებოდით, ზოგი საცივს, გოჭსა და ხაჭაპურს, ზოგი ადესას, რამდენიმე კი შუა ავღანეთში ღორის მოხარშულ თავს ნატრობდა, რაზეც ვეუბნებოდით, მარტო იმიტომ მოგკლავდნენ თალიბები, რომ ღორის ხორცსა და ღვინოს ნატრობო.

**— როგორც მოხვდი, იქ საკმაოდ დიდხანს მოგიწიათ ყოფნამ. დღესასწა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ულებზე მშვიდობიან მოსახლეობასთან გიწევთ ურთიერთობა თუ არა?**

— არა მხოლოდ დღესასწაულებზე, სხვა დროსაც გვიწევს. ხან წყალს ვუზიდავთ, ხან სხვა რაღაცებში ვეხმარებით. სიფრთხილეს თავი არ სტკივა და მაინც ძალიან ფრთხილად ვართ. ანუ ვიცით, ვისთან უნდა „ვიმეგობროთ“ და ვისთან არა. შარშან მათი ტრადიცული კერძიც გაგვასინჯეს და ხილის წვენიც დაგვალევინეს.

**— რა კერძი იყო?**

— ქაბული პალაუ, ანუ ავღანური ფლავი.

**— რისგან მზადდება?**

— ცხვრის ხორცის, ბრინჯის, სტაფილოს, მუხუდოსა და ქიშმიშისგან. ერთდროულად ტკბილიც არის და ცხარეც. მე და კიდევ რამდენიმე ბიჭს მოგვეწონა და ჩვენს პატარა შვილობილებს, და-ძმას, შარბათსა და ვერბოს ვთხოვეთ, თქვენს დედიკოს ამის რეცეპტი დააწერინეთ-მეთქი. მათ ინგლისური კარგად იციან და ფლავის რეცეპტი მოგვიტანეს, მაგრამ საქართველოში მაინც ვერ ჩამოვიტანეთ, მანქანა, სადაც ვინახავდით, თალიბების სამიზნე გახდა და სადღაც დავკარგეთ. საქართველოში ვცადე და მაინც გავაკეთე, საკმაოდ გემრიელი გამოვიდა, მაგრამ მათი მომზადებული უფრო მომეწონა.

**— ავღანელები როგორ ხვდებიან ახალ წელს?**

— ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ეგებებიან ახალ წელს და ხილის წვენს სვამენ, რადგან ალკოჰოლს არ აღიარებენ. რაღაც სიმღერისმაგვარ ხმებსაც გამოსცემენ, სიმღერა ნამდვილად არ შეიძლება დაერქვას. შემდეგ ასევე ცალ-ცალკე სხდებიან და ლოცულობენ. სახლების მორთვა მათთვის სრულიად უცხოა. ბრიტანელმა ქალებმა, რომლებიც ჩვენსავით ავღანეთში მსახურობდნენ, ახალ წელს ოთახები მორთეს. რამდენიმე ცალი ნაძვის ხის სილიკონის სათამაშო და „წვიმა“ ავღანელ ბავშვებსაც მისცეს. ამ ნივთების დანახვაზე ისეთი გაოცებული იყვნენ, მათი სახეები არასდროს დამავიწყდება. საერთოდ, ქუჩაში ვერ ნახავთ ერთად მიმავალ ქალსა და მამაკაცს. ჩადრიანი ქალები ცალკე დადიან და აძონძილი მამაკაცები ცალკე ჯგუფებად. ცხვრის ფარას მწყემსავენ და მიწას ამუშავებენ. ალკოჰოლს არ ეკარებიან, სამაგიეროდ, მოზარდობის ასაკიდან ნარკომომხმარებლები ხდებიან და ამიტომ იხოცებიან ბუზებივით.

**— ავღანეთში ნამყოფი ქართველი მეომრები ამბობენ, რომ ძალიან კარგი მებრძოლები არიან.**

— ჩემი აზრით, უფრო ბრმა მეომრები არიან, ვიდრე სტრატეგიული. მე გადავწყდომივარ ისეთ თალიბებს, რომლებმაც РПГ-7-ის სროლაც კი არ იცოდნენ. უფრო სპონტანურად და თავგანწირვით იბრძვიან, ვიდრე მიზანმიმართულად.

**— ვიცი, რომ ისევ აპირებთ წასვლას.**

— დიახ, სავარაუდოდ, მარტში წავალ. ეს რისკია, მაგრამ სამხედრო საქმე ჩემი ცხოვრებაა.

**ლალი პაპასკირი**



ბრიტანელმა ქალებმა, რომლებიც ჩვენსავით ავღანეთში მსახურობდნენ, ახალ წელს ოთახები მორთეს. რამდენიმე ცალი ნაძვის ხის სილიკონის სათამაშო და „წვიმა“ ავღანელ ბავშვებსაც მისცეს. ამ ნივთების დანახვაზე ისეთი გაოცებული იყვნენ, მათი სახეები არასდროს დამავიწყდება



თალიბებს ნარკოტიკები საცალფეხო ბილიკებით გადააქვთ და ხშირად ამაში მცირეწლოვანი ბავშვები მონაწილეობენ

# კავკასიური მოვლენები



უკრაინულ-რუსული სამხედრო სატრანსპორტო Ан-70-ით ბაქო დაინტერესდა

## აზერბაიჯანი

• 2 დეკემბერს აღდამის რაიონში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა სამსახურის ადგილი „კალაშნიკოვის“ ავტომატითა და 4 მჭიდით მიატოვა. ოპერატიულმა ჯგუფმა დეზერტირი მალე დააკავა.

• 4 დეკემბერს აზერბაიჯან-სომხეთის შეხების ხაზის აღდამის მონაკვეთზე კაპიტანი პერვიზ ისმაილოვი ნაღმზე აფეთქდა.

• უახლეს 4 წელიწადში აზერბაიჯანი 4 თანამგზავრის გაშვებას აპირებს. კავშირისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრ ალი აბასოვის თქმით, პირველი აზერბაიჯანული ტელესაკომუნიკაციო თანამგზავრი ძალიან ხარისხიანია, 17 მლნ დოლარად არის დაზღვეული და სტარტი თებერვალში იგეგმება. მიმდინარე წელს კი თანამგზავრების მართვის ცენტრის მშენებლობა უნდა დასრულდეს.

• თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო პილოტირებული საბრძოლო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების წარმოების დაწყების საკითხს განიხილავს.

• 10 დეკემბერს სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა ერთი თვის წინ ჯარში გაწვეული 22 წლის ჯარისკაცი.

• 10 დეკემბერს აზერბაიჯანის არმიის ჯარისკაცმა ავტომატური იარაღის გასროლით თავი მოიკლა.

• 10 დეკემბრიდან რუსეთმა შეაჩერა გაბალის რადიოლოკაციური სადგურის ექსპლუატაცია იმის გამო, რომ ბაქოსთან არენდის პირობებზე შეთანხმება არ შედგა. 2012 წლის თებერვალში აზერბაიჯანმა არენდის თანხა 7 მლნ დოლარიდან 300 მლნ-მდე გაზარდა.

• „აზერბაიჯანი უკრაინულ-რუსული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ Ан-70-ის პროექტში მონაწილეობით დაინტერესდა“, — განაცხადა პროექტის მთავარმა კონსტრუქტორმა დმიტრი კივამ ჟურნალ Defense Express-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

• სამხედრო ჟურნალისტური კვლევების ცენტრის „დოქტრინის“ მონაცემებით მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების 93 სამხედრო მოსამსახურე მ.შ. — 15 ბრძოლებში, 3 ნაღმზე აფეთქებით, 1 სპეცოპერაციის მსვლელობისას და 74 არასაბრძოლო ვითარებაში დაიღუპა, იმავე პერიოდში 86 სამხედრო კი — დაიჭრა ან ტრავმა მიიღო.

## სომხეთი

• 2 დეკემბერს ბეირუთში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ლიბანის არმიის სომხური წარმოშობის 31 წლის სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

• გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზაში მიმდინარე სამსახურისთვის შეცვლაზე ჩამოსულ 400-მდე სამხედრო მოსამსახურეს უმაღლესი სამოქალა-



102-ე რუსულ ბაზაში სამსახურს 400-მდე უმაღლესი სამოქალაქო განათლების მქონე პირი შეუდგა

# მიმოხილვა



ძარწემის პოლიგონზე საოკუპაციო ჯარების სნაიპერებმა მომზადება გაიარეს

ქო და მათ შორის ნახევარს უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს. მათ სამსახური საჰაერო თავდაცვის კომპლექსებზე (С-300 და Бук-1М) უმცროს სპეციალისტებად, ხოლო საარტილერიო ქვედანაყოფებში კი ქვემეხებისა და საბრძოლო მანქანების (2С1, БМ-21 Град-ი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი კომპლექსი Конкурс-ი), დაზვერვისა და ტოპოგეოდეზიური ათეულების მეთაურებად მოუწევთ.

- რუსმა მფრინავებმა ერებუნის აეროდრომიდან განაახლეს სასწავლო ფრენები მას შემდეგ, რაც საავიაციო ტექნიკა და მიწაზე მომსახურების საშუალებები ზამთრის პერიოდზე გადაიყვანეს. მფრინავთა მომზადების პროცესი აქცენტირებულია რთულ მეტეოპირობებში, დაბალ სიმაღლეებსა და მთის პირობებში შესრულებულ ფრენებზე.
- 11 დეკემბერს მოსკოვში სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა რუსეთისა და ბელორუსიის თავდაცვის უწყებათა პირველ პირებთან ხელი მოაწერა 2013 წლის პროგრამებს ორმხრივ თანამშრომლობაზე.

## ჩრდილო კავკასია

- მიმდინარე წელს სამხრეთის სამხედრო ოლქის ავიაციამ 30-ზე მეტი საფრენი აპარატი მიიღო. მათ შორისაა შვეულმფრენები Ми-26, Ми-8АМТШ, Ми-28Н და სხვ. წლის ბოლომდე ოლქის საავიაციო ნაწილები კიდევ 20-ზე მეტ საფრენ აპარატს მიიღებენ.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

- რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი 4-5 დეკემბერს ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა, სადაც ტყვარჩელისა და გალის რაიონებში, აგრეთვე კოდორის ხეობაში, რუს მესაზღვრეთა საგუშაგოები მოინახულა. ნურგალიევის შეფასებით, საგუშაგოების ტექნიკური აღჭურვილობა თანამედროვე მოთხოვნებს სრულად შეესაბამება.
- 4 დეკემბერს აღინიშნა აფხაზ სეპარატისტთა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მე-20 წელი. ბოლოდროინდელი მიღწევებიდან აღინიშნება რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურთან ერთად ე. წ. „გუდაუთის ჯამაათის“ საბრძოლო ფრთის საქმიანობის აღკვეთა.
- 10 დეკემბერს რიწის ტბის მიდამოებში ხისტი დაჯდომის დროს რუსეთის სასაზღვრო ჯარების შვეულმფრენი Ми-8 დაიმსხვრა. ავარიის დროს ბორტზე მყოფი 11 კაციდან ჰოსპიტალიზაცია 2-ს დასჭირდა.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

- დეკემბრის დასაწყისში ძარწემის პოლიგონზე დაიწყო ახალგაზრდა სნაიპერთა მომზადების 4-კვირიანი კურსი, რომელიც მოიცავს СВД-სა და СВ-97-ის ტიპის შაშხანების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას, ოპტიკური და ღამის სამიზნეების სროლისთვის მომზადებას, დამიზნებას, მიზნის შერჩევას, ცეცხლის საწარმოებლად საცეცხლე პოზიციის შერჩევას და სხვ.
- 6 დეკემბერს სადამკვირვებლო საგუშაგო „პაუკზე“ ცხინვალიდან 10 კმ-ში წვევამდელი ჯარისკაცის ცხედარი იპოვეს. გამოძიების ვერსიით, მან ავტომატის ტყვია საფეთქელში დაიხალა. სამხედრო ნაწილის მეთაურის აზრით, მიზეზი იარაღთან დაუდევარი მოპყრობაა. ჯარისკაცის ახლობლები ფიქრობენ, რომ მას თვითმკვლელობის მიზეზი არ ჰქონდა და ნაწილის მეთაურობასთან კონფლიქტის გამო მოკლეს.
- საოკუპაციო ჯარების მე-4 სამხედრო ბაზის საბრძოლო მანქანების БМП-2-სა და БМП-3-ის, ტანკების Т-72БМ-ის, თვითმავალი ჰაუბიცების 2С1 Гвоздика-სა და 2С3 Акация-ს ეკიპაჟებმა ძარწემის პოლიგონზე საველე მეცადინეობები ჩაატარეს. 200-მდე სამხედრო მოსამსახურემ მომზადება გაიარა ზამთარში საბრძოლო ტექნიკის ექსპლუატაციის საკითხებში, სამთო პირობებში თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლის წარმოებაზე. მეცადინეობა ტარდებოდა დღისით და ღამით და დასრულდა საშტატო იარაღის სროლებით. ეკიპაჟებმა ასევე შეასრულეს სამთო გზებზე 30 კმ-იანი და 100კმ-იანი მარშები.

*თემურ ჩაჩანიძე*



რაშიდ ნურგალიევი



# ფარული მოსმენების დილემა: კანონისა და უკანონობის ზღვარზე

ფარული მოსმენების თემამ არც ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დაკარგა აქტუალურობა. ეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაც მტკივნეული საკითხია და ჩვენს საზოგადოებას კვლავაც აღელვებს. საქმე ზოგჯერ კურიოზამდეც მიდის.

ამის დასტურია ნოემბრის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მოსაზრება. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, საზოგადოების სიმშვიდისა და მოქალაქეთა პირადი თავისუფლების გარანტიისთვის საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული მოსასმენი აპარატურის დემონტაჟი და საჯარო ლიკვიდაცია.

უკანონო მოსასმენი სისტემის დემონტაჟს მონიტორინგი უნდა გაუწიოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, რომელმაც ანგარიში უნდა ჩააბაროს საქართველოს პარლამენტს. „ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, აუცილებელია უკანონო სატელეფონო საუბრების აპარატის თუნდაც ქვეყნიდან გატანა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოუწოდებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა საჯაროდ მოხდეს უკანონო სატელეფონო საუბრების მოსასმენი აპარატურის დემონტაჟი. ისინი იშველიებენ შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის იმ განცხადებას, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ შეწყდებოდა უკანონო მოსმენები, თვალთვალი და დევნა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, „მნიშვნელოვანია, დაიწყოს იმ პირების საქმიანობის გამოძიებაც, რომლებმაც თავის დროზე ეს აპარატურა შეიძინეს, ჩამოიტანეს საქართველოში, დაამონტაჟეს და არ დაიხურობ ის მიმდინარე საქმეები, რომლებიც უკანონო მოსმენების ბრალდებით მიმდინარეობს. სასამართლო საქმის განხილვა უნდა იყოს ღია და საჯარო“.

უნდა ვაღიაროთ, რომ არც ისე მარტივადაა საქმე. შსს-ში არსებული მოსასმენი აპარატურის „დემონტაჟი, საჯარო ლიკვიდაცია ან ქვეყნიდან გატანა“ ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი და მიზანშეუწონელიცაა.

დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ სამხედრო პოლიციის სტრუქტურის დაქვემდებარებაში არსებული სატელეფონო მიყურადების სამსახური გაუქმდება და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემა.

## საშიში „სათამაშო“

დღეს კანონიერი ფარული მოსმენა სპეცსამსახურების ჩვეულებრივი საქმიანობაა, მაგრამ ჩვენთან მისი ფუნქციები არეული იყო.

ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის რესურსი რეალური მტრების ნაცვლად პოლიტიკურ ოპონენტებზე იხარჯებოდა.

საერთოდ ოპერატიული ტექნიკა ძალზე სახიფათო „სათამაშოა“. დემოკრატიის ფლაგმანად წოდებული ქვეყნების სპეცსამსახურებიც დიდი სიამოვნებით უსმენენ სხვა ქვეყნების მოქალაქეებისა და ორგანიზაციების საუბრებს.

2002 წლის შემოდგომაზე ფინეთში დიდი სკანდალი გამოიწვია ცნობამ, რომ ტელესაკომუნიკაციო ფირმა „სონერა“ კლიენტების საუბრებს აკონტროლებდა.

ერთი წლის შემდეგ მაკედონიაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა შს ყოფილ მინისტრ დოსტა დიმოვსკაზე. პროკურატურის ბრალდებით, დიმოვსკას ბრძანებით უკანონოდ ისმინებოდა ოპოზიციური პარტიების, ცნობილი ჟურნალისტების, ბიზნესმენებისა და დიპლომატიური კორპუსის ტელეფონები.

ასე რომ, უკანონო მოსმენები არც დემოკრატებისთვისაა უცხო ხილი, მაგრამ ჩვენსა და დემოკრატიულ სამყაროს შორის სხვაობა ის არის, რომ თუკი დემოკრატიულ ქვეყნებში უკანონო მოსმენების ამბავი გამჟღავნდება, დამნაშავე აუცილებლად დაისჯება და საქმე პრეზიდენტების გადაყენებამდეც მიდის. ჩვენში კი დღემდე უკანონო მოსმენებისთვის არათუ მინისტრები, განყოფილების სპეციალისტიც არავის დაუსჯია.

საქართველოს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროთა გაერთიანების შემდეგ შსს-ს განკარგულებაში „ერთი მოსასმენი აპარატი“ კი არა, გაცილებით მეტი მოსასმენი სპეცტექნიკა აღმოჩნდა.

**2012 წლის ნოემბრამდე შსს-ს სულ მცირე რვა ოპერატიულ დანაყოფს ჰქონდა საკუთარი სპეცტექნიკა. ამას დავუმატოთ საქართველოს დაზვერვის სამსახური, საფინანსო პოლიცია, თავდაცვის, იუსტიციის, პრობაციის სამინისტროები და, სხვათა შორის, პროკურატურაც და წარმოიდგინეთ, რა რაოდენობის სპეცაპარატურაა საქართველოში.**

ტექნიკის შეძენასა და გამოყენებას შესაბამისი დაფინანსება სჭირდება და ამიტომ ამ სტრუქტურების დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**მაგალითად, რევოლუციამდე უშიშროების სამინისტროს დაფინანსება 7-8 მლნ იყო, ბოლოს კი ასჯერ გაიზარდა და შსს-ს (სადაც უშიშროების სამინისტრო გაერთიანდა) ბიუჯეტი 700-800 მილიონამდე ავიდა. ამ თანხებიდან უდიდესი ნაწილი სწორედ სპეცტექნიკისთვის იხარჯებოდა.**

**არსებული ინფორმაციით, შემოტანილი ოპერატიული ტექნიკიდან გან-**

**საკუთრებით ბევრი ჩინური წარმოებისაა და ძალზე იაფია.**

განვლილ პერიოდში „ნაციონალების“ სპეცსამსახურებმა და ძალოვანმა სამინისტროებმა უამრავი მოსასმენი სპეცტექნიკა შეისყიდეს. სახელმწიფო კანცელარიაში აღმოჩენილი „ჯაშუში“, ოპერაცია „ენვერი“, „კობჭოია ტერორისტები“, „ფოტოგრაფების საქმე“ – კიდევ მრავალი „საქმის“ ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც საქართველოს სპეცსამსახურებმა „გახსნეს“.

ტელევიზიებით გადაცემული „შოუები“ მოგონილი სამხედრო ამბოხის, არარსებული ჯაშუშობის და დადგმული ტერაქტების გახსნის „სპეცოპერაციებზე“ სწორედ უკანონო მიყურადების შემდეგ ხელში ჩაგდებული საუბრების მონტაჟს ეყრდნობოდა.

ამდენი ფარული ჩანაწერისა და შოუს შემდეგ, საზოგადოებას გაუჩნდა შიში, რომ ყველას უსმენდნენ და შემდეგაც მოუსმენენ.

**ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო, მაგრამ ტექნიკურად შეუძლებელია, ყველას მოუსმინო. სავარაუდოდ, წინა ხელისუფლების დროს გამოყოფილი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და არ გამოვრიცხავთ, რელიგიური სპექტრი, რომელსაც მუდმივად უსმენდნენ.**

პერიოდული ფარული მოსმენების კონტინგენტი კი იცვლებოდა კონკრეტული დავალების შესაბამისად. დღეს ამ ჟურნალისტს (პოლიტიკოსს, მსახიობს და ა.შ.) უსმენდნენ, ხვალ სხვას. გააჩნია, რა დავალება წამოვიდოდა „ზემოდან“.

**ხშირად ჩვენი სპეცსამსახურები და ძალოვანი უწყებები შიდა ბრძოლებითაც „ერთობოდნენ“ და ერთმანეთზე კომპრომატებს აგროვებდნენ.**

წლების განმავლობაში სპეცტექნიკა პირადი ინტერესებისა და კლანური დაპირისპირებისთვის გამოიყენებოდა. **კუდ-ისა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსების, ასევე აწ დაპატიმრებული თავდაცვის, შს ყოფილი მინისტრისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის დაპირისპირება ყველასთვის იყო ცნობილი.**

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს უშიშროების სამინისტროს დიდი ბრძოლა უხდებოდა სასამართლოსთან მოსმენის უფლების მოსაპოვებლად, რიგითი მოსამართლეებიც კი უარს ამბობდნენ, გაეცათ მოსმენის თანხმობა. შემდეგ წლებში კი ვინღა ეკითხებოდა მოსამართლეებს?

დღეს მოქმედი კანონით მოსამართლეს აქვს უფლება, დაგიკანონოს ან ჩათვალოს, რომ მოსმენა არაკანონიერი იყო. თუმცა, ინფორმაცია უკვე მიღებულია. კანონი რომ ზედმიწევნით სრულდებოდეს, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა.

მოსმენის გარდა, არსებობს კიდევ ფარული თვალთვალი, ინფორმაციის მოხსნა კომპიუტერიდან, ელექტრონული წერილების წაკითხვა...

უნდა ვაღიაროთ, რომ არავინ იცის, „ნაციონალების“ პერიოდში შეძენილი სპეციალური ტექნიკა სათანადოდ იყო თუ არა აღრიცხული. თუ ყველაფერი, ასე ვთქვათ, დოკუმენტირებულია, ახალმა ხელისუფლებამ მისი ინვენტარიზაცია უნდა ჩაატაროს. რაც მთავარია, უნდა გამკაცრდეს საზოგადოებრივი კონტროლი სპეცსამსახურების როგორც საქმიანობაზე, ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონიერებაზე.

## „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“?

ნუ ჩავვარდებით ეიფორიაში და ნუ გვეგონება, რომ ყველაფერი უცებ შეიცვლება. გამოსავალი ისაა, რომ უნდა ამუშავდეს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, სადაც ნათლადაა ჩამოყალიბებული სამართლებრივი გარანტიები:

მუხლი 6. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში

1. აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

2. პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვა მისი უფლებებისა და თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია გაასაჩივროს ასეთი მოქმედების კანონიერება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს (საჯარო მოსამსახურეებს) ეკრძალებათ ფარული მონაწილეობა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში. აკრძალულია ფარული მონაწილეობა ოფიციალურად რეგისტრირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში, თუ ეს საქმიანობა მიზნად არ ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ანდა თუ ეს ორგანიზაციები არ ეწევიან ომის ან ძალადობის პროპაგანდას, არ აღვივებენ ეროვნულ, კუთხურ, რელიგი-



მოსასმენი აპარატურის ძებნა შრომატევადი და სკრუპულოზური სამუშაოა



**მიმდინარე წლის ზაფხულში მაშინდელ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი რამდენიმე პარტიის ოფისში მოსასმენი აპარატურა შტეფსელებში აღმოჩნდა**

ურ ან სოციალურ შუღლს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობა.

4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება შენახულ იქნეს და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, რის შესახებაც ეცნობება საქართველოს იუსტიციის მინისტრს ან საქართველოს მთავარ პროკურორს, აგრეთვე, სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს.

5. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს (საჯარო მოსამსახურის) მიერ ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ეს კანონი მკაცრად არეგულირებს მოსმენის პროცედურებსაც, მაგრამ ორი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა იჩენს თავს: ჯერ ერთი, კანონი ისეა შედგენილი, რომ კარგი მექოთნე ყურს საიდანაც უნდა, იქიდან მიაბამს და მეორე – ხშირად სპეცსამსახურების ბევრი ახალგაზრდა ხელმძღვანელი ვერ უძლებს ცდუნებას და კრიმინალური სამყაროს ნაცვლად უსმენს ჟურნალისტებს, პოლიტიკურ ოპონენტებს, კონკურენტ ჩინოვნიკებს, მით უმეტეს, თუ პასუხს არავინ სთხოვს.**

ამ კანონით სპეცსამსახურს არა აქვს უფლება, აგენტურა ჰყავდეს პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებში, მოისმინოს მათი საუბრები, მაგრამ კანონში ერთი მეტად საინტერესო „ხვრელია“. კერძოდ, წერია, რომ **მოსმენებისა და აგენტების ჩანერგვის უფლება ზემოხსენებულ უწყებებში არავის აქვს, თუ მათი საქმიანობა არ არის მიმართული სახელმწიფო ინტერესების, ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ.**

ისმის კითხვა: როგორ გაიგებ ამა თუ იმ პარტიის საქმიანობის მიზნებს და იმას, არის თუ არა მისი საქმიანობა სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული, თუ აგენტურას არ შეგზავნი და არც ფარულად მოუსმენ?

**საკმარისია, ვიღაცამ ანონიმური წერილი დაწეროს, რომ, მაგალითად, პარტია „მოდინახეს“ საქმიანობა მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და აღვივებს შუღლს კახელებსა და იმერლებს შორის, რომ სპეცსამსახურს პარტიის მოსმენის, თვალთვალისა და აგენტურის შეგზავნის უფლება ეძლევა.**

კანონში არის მოთხოვნა, რომ პირადი და კომერციული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება კონკრეტულ საქმეს, უნდა განადგურდეს, მაგრამ ვინ აკონტროლებს, განადგურდა თუ არა? აქ ხომ დიდია შანტაჟის ცდუნება? ამას გარდა, როცა მოსმენა ზეპირი ბრძანებით ხდება და დოკუმენტი არ არსებობს, ვერც გავიგებთ, გვისმენენ თუ არა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მოთხოვნის შესრულება სხვა მხრივაც არარეალურია, რადგანაც საუბრების მიყურადება, კანონის თანახმად, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების საშუალებითაც ხდება.

**ფიჭური ოპერატორი თუ ჩვეულებრივი საქალაქო სატელეფონო ოპერატორი ვალდებულია ხელისუფლებას მისცეს შესაბამისი ინფორმაცია. საქართველოში მოქმედ სამ მობილურ პროვაიდერს კანონი ავალდებულებს თანამშრომლობას. მათი აპარატურის დემონტაჟსა და ლიკვიდაციასაც ხომ არ მოვახდენთ?** ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება აქამდე დაცული არ იყო, — ვიჭერდით არარეალურ ჯაშუშებს, „ენვერი“ და „ფოტოგრაფების საქმე“ ყველამ ვიცოდით, რომ შეთითხნილი იყო, მაგრამ რეალური ჯაშუშებიც ხომ მოქმედებდნენ და მოქმედებენ? როგორ უნდა ვებრძოლოთ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს სპეცტექნიკის გარეშე?

***ბესიკ ალადაშვილი***

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*




ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღამის ხედვა

**1991 წელს სპარსეთის ყურეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები ისტორიაში ღამის ხედვის მოწყობილობების პირველად, მასობრივად გამოყენებით შევიდა. ამერიკული ჯავშანსატანკო შენაერთების ერთ-ერთი უპირატესობა ის იყო, რომ „აბრამსები“ ღამღამობით უკეთესი ღამის ხედვის მოწყობილობებით ერაყელთა ტანკებს შორ დისტანციებზე ისე ანადგურებდნენ, რომ ეს უკანასკნელები მათ აღმოჩენას ვერც კი ახერხებდნენ.**

ღამის ხედვის მოწყობილობის შექმნის პირველი იდეა მიხაილ ლომონოსოვს ეკუთვნის. 1758 წელს მან გამოაქვეყნა სტატია „ფიზიკური ამოცანა ღამის ხედვის მილის შესახებ“. რუსი მეცნიერის ჩანაფიქრით, ამ მოწყობილობას ღამით გემების კაპიტნები გამოიყენებდნენ.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანს მარტივი ღამის ხედვის მოწყობილობის შექმნის საშუალება მისცა.

ნებისმიერი ღამის ხედვის მოწყობილობის მთავარი კომპონენტი ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქმნელია. ის 1934 წელს ჰოლანდიაში ფირმა „ფილიპსის“ კვლევით ცენტრში ფიზიკოსმა ჯილ ჰოლსტმა შექმნა და გამოგონება ისტორიაში „ჰოლსტის ჭიქის“ სახელით შევიდა.

მას ბევრი ნაკლი ჰქონდა, — დაბალი ხარისხის გამოსახულებასთან ერთად დიდი გაბარიტებითაც გამოირჩეოდა. თუმცა, ეს მსოფლიოში პირველი რეალურად მოქმედი ღამის ხედვის მოწყობილობა იყო.

ნაკლის მიუხედავად, ჰოლსტის გამოგონებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით გერმანელი მეცნიერებისა, რომლებმაც ის სერიულ დონემდე დახვეწეს.

1944 წლის ზაფხულში ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ჰაერში მოკავშირეთა ავიაცია გაბატონდა და ვერმახტმა დღისით ჯავშანტექნიკის გადაადგილება შეზღუდა. ტანკებზე ღამის ხედვის მოწყობილობების დაყენებისკენ გერმანელებს სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა.

ასეთი მოწყობილობის შექმნაზე ფირმა AEG 1936 წლიდან მუშაობდა და არცთუ უშედეგოდ. პირველი პროტოტიპი 1939 წელს დამზადდა და საცდელად Pak 35-ის ტიპის 37 მმ-იან ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხზე დააყენეს.

1943 წლიდან გერმანელებმა ღამის ხედვის მოწყობილობების დაყენება „პანტერას“ ტიპის ტანკებზე დაიწყეს. კომპლექსი Nacht Jager-ი ორ ვარიანტად არსებობდა. პირველი მცირე სიმძლავრის ინფრაწითელ პროჟექტორთან (დიამეტრი 300 მმ) ერთად ტანკის მეთაურის კოშკურაზე მონტაჟდებოდა. კარგ მეტეოპირობებში მოწყობილობა FG 1250-ის სამოქმედო მანძილი 200 მ-ს აღწევდა. სისტემას ერთი ნაკლი ჰქონდა, — მისი გამოყენება მხოლოდ ტანკის მეთაურს შეეძლო. შესაბამისად, მძღოლ-მექანიკოსი და მემიზნე-ოპერატორი მისი ბრძანებით მოქმედებდნენ.

1944 წლის ნოემბრისთვის ვერმახტის განკარგულებაში ამ ტიპის ღამის მოწყობილობებით აღჭურვილი 60 (მეორე ცნობით — 63) „პანტერა“ იყო. ყველა მათგანი მხოლოდ ელიტურ სატანკო დივიზიებში ირიცხებოდა. ღამის ხედვის მოწყობილობებიანი „პანტერები“ გერმანელებმა არდენებზე შეტევისას გამოიყენეს.

არსებობდა Nacht Jager-ის მეორე ვარიანტიც, სახელწოდებით Biwa. ის გაცილებით სრულყოფილი იყო და ღამის ხედვის მოწყობილობის სამი კომპლექტისგან შედგებოდა. შესაბამისად, მეთაურს, მემიზნე-ოპერატორსა და მძღოლ-მექანიკოსს ღამის პირობებში სამოქმედოდ ინდივიდუალური საშუალებები ჰქონდათ.

Biwa წარმატებით გამოიცადა და დანამდვილებით ცნობილია, რომ 1945 წლის აპრილში ღამით ამ მოწყობილობებით აღჭურვილმა „პანტერებმა“ Comet-ის ტიპის რამდენიმე ბრიტანული ტანკი გაანადგურეს.

„პანტერებზე“ დამონტაჟებული ღამის ხედვის მოწყობილობების გამოყენე-



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანია ერთადერთი იყო, ვისაც ტანკებზე ღამის ხედვის მოწყობილობები ჰქონდა დამონტაჟებული

ბა ტანკების ღამით გადაადგილებისთვის შეიძლებოდა. ღამით ბრძოლისთვის კი ინფრაწითელი პროჟექტორის სიმძლავრე არასაკმარისი იყო, ამიტომაც სატანკო დივიზიებს Sd Kfz 250/20-ის ტიპის ნახევრად მუხლუხებიანი ჯავშანტრანსპორტიორები დაემატა. მას ძარაზე ინფრაწითელი ფილტრიანი საზენიტო პროჟექტორი (დიამეტრი 600 მმ) ჰქონდა დამაგრებული. მძლავრი პროჟექტორით (სისტემას Uhu — „ჭოტი“ დაერქვა) კარგ მეტეოპირობებში ტანკის ეკიპაჟი სამიზნეს უკვე 700 მ-ზე ხედავდა.

ღამის ხედვის მოწყობილობებს გერმანელები არა მხოლოდ ტანკებზე აყენებდნენ. 1943 წლის ბოლოს MP-43/1-ის ავტომატებისთვის (შემდგომ ცნობილი როგორც Stg-44) ZG.1229 Vampir-ის ტიპის ღამის სამიზნე შეიქმნა. ინფრაწითელ პროჟექტორთან ერთად ის 2,3 კგ-ს იწონიდა და ავტომატზე ზემოდან მაგრდებოდა. ფუნქციონირებისთვის საჭირო აკუმულატორები (13,6 კგ) მსროლელს ზურგჩანთით დაჰქონდა. „ვამპირის“ მოქმედების მანძილი 100 მ-ს არ აღემატებოდა, უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობა კი 20 წთ-ს შეადგენდა.

აკუმულატორების განმუხტვის შემთხვევისთვის კონსტრუქტორებმა ხელის ამძრავიანი კომპაქტური გენერატორი შექმნეს. მისი სახელურის დატრიალებით მიღებული ენერგია ღამის სამიზნის რამდენიმეწუთიანი ფუნქციონირებისთვის საკმარისი იყო.

**მუშაობის პრინციპის მიხედვით არსებობს აქტიური და პასიური ღამის ხედვის მოწყობილობები.**

**სრულ სიბნელეში (გარემოში, სადაც ადამიანის თვალით აღქმადი შუქი არ არის) ფუნქციონირება არც ერთ ღამის ხედვის მოწყობილობას არ შეუძლია. ყველა მათგანი მხოლოდ არსებული სინათლის, ადამიანის თვალით აღქმად დონემდე გაძლიერების პრინციპით მუშაობს.**

**ობიექტზე დაკვირვებისას ამ უკანასკნელიდან არეკლილი სინათლე ღამის ხედვის მოწყობილობის ობიექტივის გავლით მოწყობილობის მთავარ კომპონენტზე — ელექტრონულ-ოპტიკურ გარდამქმნელზე (ფოტოკათოდზე) ხვდება. მისი ფუნქცია ობიექტივიდან მოსული სინათლის სხივის რამდენიმე ასეულჯერ გაძლიერებასა და გამოსახულების ლუმინისცენციურ ეკრანზე გადატანაში მდგომარეობს. სწორედ ამ ეკრანზე ასახულ მომწვანო გამოსახულებას ხედავს ადამიანი ოკულარიდან. ამ პრინციპით პასიური ღამის ხედვის მოწყობილობები მუშაობენ. თუ სინათლის გაძლიერება (მისი არარსებობის გამო) შეუძლებელია, სამიზნეს ინფრაწითელი სხივებით აშუქებენ. ამ შემთხვევაში ისინი სინათლის დამატებითი წყაროს როლს ასრულებენ. მსგავსი სისტემა აქტიური ღამის ხედვის მოწყობილობებზე გამოიყენება.**

ღამის ხედვის მოწყობილობების შექმნაზე გასული საუკუნის 30-იან წლებში სსრკ-შიც მუშაობდნენ.

1937 წელს БТ-7-ის ტიპის ტანკზე ღამით დამიზნებით სროლისთვის განკუთვნილი პირველი სისტემა გამოიცადა. მიღებული მონაცემების საფუძველზე ის გააუმჯობესეს და 1939-40 წლებში ღამის ხედვის ინფრაწითელი მოწყობილობების ორი სახეობა — Шип-ი და Дудка მომზადდა.

პირველის შემადგენლობაში მძღოლ-მექანიკოსისთვის განკუთვნილი პერისკოპური ინფრაწითელი სათვალეები და ღამის პირობებში ტანკის სამართავად საჭირო აღჭურვილობა შედიოდა.

„დუდკა“ უფრო სრულყოფილი იყო. მძღოლ-მექანიკოსისა და მეთაურისთვის განკუთვნილი ღამის ხედვის სათვალეების გარდა (ისინი ინფრაწითელი ტიპისა იყო) ტანკის წინა ნაწილზე ორი დამატებითი ინფრაწითელი პროჟექტორი ჰქონდა დაყენებული.

ეკიპაჟისთვის განკუთვნილი ღამის ხედვის სათვალე 750 გ-ს იწონიდა და ტანკისტის ჩაფხუტზე სპეციალური სამაგრით მაგრდებოდა. კარგ მეტეოპირობებში ღამით ხედვის მანძილი 50 მ, ხოლო დამატებითი პროჟექტორების გამოყენებით კი 80-100 მ იყო.

„დუდკა“ არასაიმედო გამოდგა. ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან (განსაკუთრებით ზამთარში) და მოსახმარებლად რთული იყო. სპეციალისტებმა მისი დახვეწა დაიწყეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა პროგრამა შეაჩერა.

**ჰოლსტის ელექტრონულ-ოპტიკური**



სნაიპერული შაშხანების გარდა შეზღუდული რაოდენობით ღამის ხედვის სამიზნეები ვიეტნამის ომში M-16-ებზეც გამოიყენებოდა


უახლოეს მომავალში ამერიკელი სამხედრო პილოტები მსგავსი პანორამული ღამის ხედვის სათვალეების გამოყენებას დაიწყებენ

**გარდამქმნელის შემდეგ, მოწყობილობის განვითარების ეტაპების დაყოფა თაობებად დაიწყეს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილ ღამის ხედვის მოწყობილობებს ნულოვან თაობას მიაკუთვნებენ.**

მეორე მსოფლიო ომმა ღამის ხედვის საშუალებების შემდგომ განვითარებას დიდი ბიძგი მისცა. ბევრი ნაკლის მიუხედავად (დიდი გაბარიტები, დამატებითი ინფრაწითელი შუქის საჭიროება), სამხედროებმა ეს მოწყობილობა სათანადოდ შეაფასეს.

შედარებით სრულყოფილი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ავტომატურ იარაღზე ღამის სამიზნეების სახით შეიძლებოდა, ვიეტნამის ომის დროს შექმნეს.

ამერიკელი სპეციალისტების შექმნილი 1-ლი თაობის ღამის ხედვის საშუალებები გერმანულ წინამორბედებთან შედარებით უფრო კომპაქტური იყო, მაგრამ ჯუნგლებში სინათლის სიმცირის გამო დამატებით ინფრაწითელ გამოსხივებას საჭიროებდა.

ყველაზე ეფექტურად ღამის სამიზნეებს ვიეტნამში ამერიკელი სნაიპერები იყენებდნენ. M-14-ის ტიპის შაშხანებზე დაყენებული AN/PVS Starlight-ის ტიპის სამიზნეები 400 მ-მდე დამიზნებით სროლის საშუალებას იძლეოდა.

მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დანაკარგის 12-14% სწორედ ღამის ხედვის სამიზნეებიან M-14-ებზე მოდის. ეფექტურობის მიუხედავად, მათი გამოყენება სნაიპერებს დისკომფორტს უქმნიდა, — სამიზნე 2,2 კგ-ს იწონიდა, ფრთხილ მოვლას საჭიროებდა და მაღალი ტენიანობისას ხარვეზებით მუშაობდა.

70-იან წლებში მიკროტალღოვანი ტექნოლოგიების გამოყენებამ მე-2 თაობის ღამის ხედვის საშუალებებს ჩაუყარა საფუძველი. გაიზარდა გამოსახულების კონტრასტულობა ინფრაწითელი დაშუქების გარეშე. ახალმა ტექნოლოგიებმა მოწყობილობების გაბარიტები და წონაც შეამცირა.

80-იანი წლების ბოლოს მე-3 თაობის ხელსაწყოები გამოჩნდა. მოსახმარად ისინი უფრო მარტივი იყო და გამოსახულების ხარისხიც ფოტოკათოდის ახალი ნივთიერებით — გალიუმის არსენიდით დაფარვით გაუმჯობესდა.

**დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ღამის ხედვის შემდეგ მოწყობილობებს: სათვალთვალოს (მონოოკულარები, ფსევფობინოოკულარები, ბინოკლები), ცეცხლსასროლი იარაღის სამიზნებსა (იარაღზე მაგრდება და სროლისას წარმოქმნილ უკუცემის ძალას უნდა გაუძლოს) და სათვალეებს.**

ღამის ხედვის საშუალებებმა, საბრძოლო ავიაციის ეფექტურობა (განსაკუთრებით დამრტყმელ შვეულმფრენებში) რამდენჯერმე გაზარდა.

შვეულმფრენების პილოტების ღამის ხედვის სათვალეები ჩაფხუტებზეა დამაგრებული და კვების ავტონომიური წყარო აქვთ (მათი ჩართვა შვეულმფრენის ქსელშიც შეიძლება).

საფრენ აპარატებზე ღამის ხედვის სათვალეების გამოყენებას სირთულეებიც ახლავს. პირველ რიგში მათი საშუალებით პილოტმა როგორც კაბინის მიღმა, ასევე თავად კაბინაში არსებული სივრცე უნდა ათვალიეროს. ღამით კაბინაში მოწყობილობების გასანათებლად საფრენ აპარატზე მცირე ნათურები გამოიყენება. მათი შუქი ღამის ხედვის სათვალეებს „აბრმავებს", ამიტომაც სპეციალური ფილტრები შეიქმნა (მათ „მინუს ლურჯი" ჰქვიათ) და კაბინაში ზედმეტ სინათლეს ანეიტრალებენ.

მეორე სირთულე ფოკუსის რეგულირებაა. მოწყობილობათა პანელისა და კაბინის მიღმა არსებულ გარემოს შორის სხვადასხვა მანძილია. ფოკუსის სწრაფი ცვლა კი შეუძლებელია, ამიტომაც პილოტების ჩაფხუტებზე ღამის სათვალეებს ისე ამაგრებენ, რომ თვალსა და სათვალის ოკულარებს შორის 3-4 სმ დარჩეს. წარმოქმნილი დაშორება მფრინავს როგორც კაბინის (საკუთარი თვალებით), ასევე კაბინის მიღმა არსებული სივრცის (ღამის სათვალეების გამოყენებით) დანახვის საშუალებას აძლევს.

**ღამის სათვალეების წონის კომპენსაციისთვის ჩაფხუტის უკანა ნაწილზე საპირწონეებს ამაგრებენ.**

პილოტებისთვის განკუთვნილი ყველა ღამის ხედვის სათვალის მთავარი ნაკლი შეზღუდული ხედვის არეა. კაბინიდან სრული სივრცის გასაკონტროლებლად მათ თავის აქეთ-იქით ტრიალი უწევთ, რაც მეტად დამღლელია. ამიტომაც ამერიკელებმა შექმნეს PNVG-1-ის ტიპის პანორამული სათვალეები, რომელთაც ჩვეულებრივი სათვალეებისგან განსხვავებით ოთხი ობიექტივი აქვთ.

**ღამის სამიზნეები ჯავშანტექნიკასა და ტანკებზეც გამოიყენება (საბჭოურ ტანკებზე მემიზნე-ოპერატორს ორი — დღისა და ღამის სამიზნე აქვს). ღამით ბრძოლების „მეგობრული ცეცხლის" ალბათობის შესამცირებლად ტანკისტები დამატებით მომზადებას გადიან.**

ტექნიკის განვითარებასთან ერთად დამრტყმელ შვეულმფრენებზე ღამის ხედვის საშუალებების ინტეგრირება სამიზნე კომპლექსში დაიწყო და პირველი ამ საქმეში ამერიკული AH-64 Apache იყო.

ღამის ხედვის საშუალებებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. დამრტყმელ შვეულმფრენებს კი მოქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაცილებით სრულყოფილი აღქურვილობა სჭირდებათ. „აპაჩში" ღამის ხედვის მოწყობილობა მის ცხვირში, მოძრავ ტურელზეა დამაგრებული და მისი დანახული გამოსახულება კაბინის დისპლეიზე ან პილოტის ჩაფხუტზე დამაგრებულ სენსორზე აისახება.

მსგავსი სისტემები დამრტყმელ თვითმფრინავებზეც გამოიყენება, მაგრამ შვეულმფრენებისგან განსხვავებით ისინი ჩამოსაკიდ კონტეინერებშია (სამიზნე-სამძებრო კომპლექსები) განთავსებული.

*ალექსანდრე აფაქიძე*



# ბათუმელი გემთმშენებლები დახმარებას ითხოვენ

საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ მისი საზღვაო ინტერესების გაძლიერებისთვის ბევრი არც არაფერი კეთდება და პირიქით, რამდენიმე წელია გეგმაზომიერი დანგრევა მიმდინარეობს.

გაყიდულია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები, არსებობა შეწყვიტა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებმა, სულს ღაფავს ფოთის გემთსაშენი ქარხანა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს ბათუმის გემთსაშენი ქარხანა.



ბატონი მერაბ ჭანიშვილი ქართველ გემთმშენებელთა ოჯახის წარმომადგენელია. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1981-83 წლებში, სავალდებულო სამხედრო სამსახური საბჭოთა წყნარი ოკეანის ფლოტის ატომური წყალქვეშა ნავების კამჩატკის ფლოტილიის საინჟინრო ნაწილში გაიარა.

შრომითი საქმიანობა 1983 წელს ბათუმის გემთსაშენ ქარხანას დაუკავშირა, სადაც სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

2002 წლიდან ქარხნის გაერთიანებული ტექნიკური (საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური) განყოფილების უფროსია. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა სხვადასხვა კატარღის, მათ შორის „გრიფის“ მოდერნიზაციის პროექტი.

2008 წელს ქარხნის რეორგანიზაციის გამო მთელი კოლექტივი უვადო-უფასო შვებულებაში გაუშვეს. სპეციალისტთა ერთი ჯგუფი ფოთის გემთსაშენ ქარხანაში მიიწვიეს, სადაც ეროვნული საზღვაო ძალების მცურავ საშუალებათა მოდერნიზაციაზე მუშაობის დაწყება იგეგმებოდა, მაგრამ აგვისტოს ომმა ამ წამოწყებას წერტილი დაუსვა.

2010 წლის მარტში ბათუმელმა გემთმშენებლებმა ჩამოაყალიბეს შპს „მიდელი“, რომელიც სხვადასხვა ტიპის მცურავ საშუალებათა მოდერნიზაცია-რემონტის საპროექტო დოკუმენტაციას ამზადებს.

**— ბატონო მერაბ, ბათუმის ქარხნის საწარმოო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამხედრო გემთმშენებლობას, რომლის შესახებაც ჟურნალის მკითხველებისთვის ცოტა რამ თუ არის ცნობილი.**

— გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ქარხანა ალუმინისკორპუსიანი სამხედრო-საპატრულო კატარღების მშე

ნებლობაზე გადავიდა.

პირველი შეკვეთა კატარღა „ვოლგას“ ბაზაზე სპეციალური დანიშნულების დისტანციური მართვის საზღვაო გამნაღმველის, НПК-ს (პ. 10120) დამზადება იყო.

შეკვეთა შესრულდა და რამდენიმე ათეული გამნაღმველის დახმარებით მსოფლიო ოკეანის მრავალი რაიონი თუ პორტი საზღვაო ნაღმებისგან გაიწმინდა.

80-იანი წლების ბოლოს ქარხანაში აშენდა იმ დროისთვის ახალი კრიოგენური სისტემებით აღჭურვილი ანალოგიური დანიშნულების ორი კატარღა. 1990-91 წლებში, სპარსეთის ყურის კრიზისის დროს, კატარღებმა თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად გაართვეს თავი. მათი ტექნიკური მონაცემები და კომპლექტაცია დახურული იყო, ხოლო სამუშაოდ თანამშრომელთა მკაცრად შეზღუდული რაოდენობა იყო დაშვებული.

70-იანი წლების მიწურულს ბათუმის ქარხანა ფეოდოსიის ქარხანა „მორესთან“ ერთად „გრიფის“ (პ. 1400M) სასაზღვრო-საპატრულო კატარღების სერიულ მშენებლობას შეუდგა.

1978-83 წლებში საბჭოთა სასაზღვრო-საზღვაო ნაწილებს ჩვენ 6 „გრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფი“ გადავეცით, ხოლო ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ კიდევ 4 კატარღა დავასრულეთ.

1983-91 წლებში ქარხანამ სამსახურებრივი დანიშნულების (პ. 14670 „გურზუფი“) 17 კატარღა ააგო. მათ შორის ოთხი გაუმჯობესებული მოპირკეთებითა და კომფორტით საბჭოთა უშიშროების კომიტეტის სპეციალურ სამსახურს გადაეცა.

კატარღები იალტისა და სოჭის სამთავრობო აგარაკებზე გაანაწილეს, სადაც მაღალი რანგის პარტიულ თუ სახელმწიფო პირთა დასვენებას ემსახურებოდნენ. ამ კატარღების უმრავლესობა დღესაც დაცურავს და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღლუმებში მონაწილეობენ, ხოლო „ბურევესტნიკი“ და „ჩაიკა“ სამსახურს სოჭში განაგრძობენ.

ერთ-ერთ „გურზუფზე“ (საქარხნო №917) იმ დროისათვის ექსპერიმენტული წყალქვეშა ინერცეპტორების სისტემა დამონტაჟდა. ის ერთგვარი სტაბილიზატორია, რომელიც კატარღის მოძრაობისას სხვადასხვა რეჟიმში კორპუსის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ავტომატურ შენარჩუნებასა და ცურვის ოპტიმალური რეჟიმის შერჩევას უზრუნველყოფს.

ერთი „გურზუფიც“ (საქარხნო №916) 1992 წელს საბერძნეთმა იყიდა და ის Tair-ის სახელით დაცურავდა.

1975-91 წლებში საბჭოთა საზღვაო მესაზღვრეებისათვის და საექსპორტოდ სერიულად ვაშენებდით მრავალმხრივ (პ. 1398Б „აისტი“), სასეირნო (პ. 13982) და სამსახურებრივ-სასეირნო (პ. 13901 „სტრიჟი“) დანიშნულების კატარღებს. სხვადასხვა დროს ქარხანა დაახლოებით 100 ასეთ კატარღას აგებდა.




2006 წლის 28 ნოემბერი — მოდერნიზებული P-205 „ორბის“ წყალში ჩაშვება

1975-91 წლებში საბჭოთა არმიის საინჟინრო ჯარებისათვის ყოველწლიურად 120-140 საბუქსირე-ძრავიან კატარღა БМК-ს (პ. 13590) ვამზადებდით.

1999 წელს პირველი სწრაფმავალი სასაზღვრო-საპატრულო კატარღა (პ. 18629 „ტორნადო“) ავაგეთ, ხოლო 2003 წელს კი მეორე დავასრულეთ.

2000 წლიდან ქარხნის ბაზაზე ჩამოყალიბებულმა შპს „აღორძინება-ნ“-მა ორ ათეულზე მეტი სწრაფმავალი სადესანტო კატარღა „შავი ზვიგენი“ ააგო.

2003 წელს ბათუმის საზღვაო პორტისთვის საპორტო ბუქსირი „გონიო“ აშენდა.

**— რა დახმარება გაუწია 1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს ქარხანამ ეროვნულ საზღვაო ძალებს?**

— აფხაზეთის ომის წლებში ცენტრალური მთავრობისა და აჭარის ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, ქარხნის საამწყობო საამქროს თანამშრომლებმა საკუთარი რეზერვებით (დირექციის ფარული თანხმობით) ერთ „აისტს“ კაპიტალური, ხოლო მეორეს კი მიმდინარე რემონტი ჩაუტარეს.

ამისთვის კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული წესით

მოდერნიზებული მრავალფუნქციური კატარღა P109 „ფაზისი“ გამოცდების პროცესში



დასაჯა საამქროს უფროსი ვასილ კილაძე, წამყვანი სპეციალისტები: გოგი მაისურაძე, ამირან (ნოდარი) გოგიტიძე და სხვები.

1998 წელს საქართველოს საზღვაო ძალებმა ქარხნისგან 3 „აისტი“ მიიღეს. იმავე პერიოდში აჭარის ხელმძღვანელობამ 3 „აისტი“ აჭარაში რუსეთის სასაზღვრო ქვედანაყოფს გადასცა.

**— ბოლო წლებში ქარხნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დავალება „გრიფის“ ტიპის კატარღის მოდერნიზაციის პროგრამა იყო, თუმცა, პროექტს ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩნდა. საინტერესოა თქვენი მოსაზრებები ამ პროექტზე.**

— 2005 წელს აშშ-ის მთავრობის მიერ „გრიფის“ ტიპის კატარღის მოდერნიზაციაზე გამოცხადებულ ტენდერში ქარხანამ გაიმარჯვა და 2007 წლის დასაწყისში დამკვეთს კატარღა P-205 „ორბი“ გადაეცა.

„ორბის“ ექსპლუატაციისას (ზოგჯერ დადგენილი წესების დარღვევით) ძრავების აირგამშვები სისტემის თეორიულმა გათვლებმა პრაქტიკაში ნაჩვენებ სიდიდეებთან მცირეოდენი შეუსაბამობა გამოავლინა და მართვის პროგრამაში შესწორებათა შეტანა მოითხოვა, რომლის შესრულებაც ძრავების გეგმური პროფილაქტიკური მომსახურების დროს გადაწყდა. მომსახურების ჩატარებისთვის კი დამფინანსებლის გამოძებნა გაჭიანურდა და ამასობაში ომიც დაიწყო.

2008 წლის აგვისტოში „ორბი“ ფოთში რუსმა დივერსანტებმა გემთსადგომთან ააფეთქეს, თუმცა, კატარღას სვლა შეეძლო და სხვა მცურავ საშუალებებთან ერთად ბათუმში მისი გადაყვანა მოხერხდა.

**— ბატონო მერაბ, ბათუმელი გემთმშენებლების კიდევ ერთი ნამუშევარი კატარღა „ფაზისია“, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის მონაწილეობით საქართველოს სანაპირო დაცვას მიმდინარე წლის 5 ივნისს გადაეცა.**

— 2011 წელს კიდევ ერთი და საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე „გრიფის“ მოდერნიზაცია დაიწყო. 90-იანი წლების ბოლოს აგებული „გრიფი“ (საქარხნო №810) 80%-იან მზადყოფნაში იყო, მაგრამ დაფინანსებისა და მაკომპლექტებელი აგრეგატების უქონლობის გამო მისი დასრულება არ ხერხდებოდა.

აშშ-ის მთავრობის ფინანსური დახმარების პროგრამით შპს „მიდელმა“ „გრიფის“ (პ. 1400M) მოდერნიზაციის პროექტი MIDELI-GR მოამზადა, ხოლო სამუშაოები ბათუმის შპს „საზღვაო ტექსერვისმა“ შეასრულა.

პროექტირება უშუალოდ ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და ის „ორბის“ გაუმჯობესებული ვარიანტია.

P109 „ფაზისი“ მრავალფუნქციური კატარღაა, რომელსაც პატრულირებასთან ერთად ავარიული გემის ძებნა-გადარჩენა, საჭიროების შემთხვევაში მისი ბუქსირება, სააბორდაჟე ოპერაციების ჩატარება შეუძლია.

**— გაუგებარია, რომ საზღვაო ქვეყნისთვის საჭირო გემთსაშენი ქარხანა და მისი გამოცდილი კოლექტივი გამოუყენებელია და თან წარმოების დახურვის საკითხიც დგება. მით უფრო, რომ ყველაფერ ამის ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ გამოყენება შეიძლებოდა?**

— ფაქტობრივად, ქარხანა აღარ არსებობს. შენობა-ნაგებობები დანგრეულია და ტერიტორიის დიდ ნაწილზე ბათუმის ახალი ბულვარია გაშენებული.

ბათუმის გემთსაშენმა ქარხანამ არსებობა შეწყვიტა და ჯერჯერობით იურიდიულად, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

თუ საქართველოს მთავრობის ნება იქნება გემთმშენებელი წარმოების რაიმე ფორმით აღდგენა და მოხერხდება ამ საქმით დაინტერესებული ინვესტორის გამოძებნა, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლება პატარა, თანამედროვე წარმოების შექმნა და იმ ძვირფასი ტრადიციების გაგრძელება, რომელიც ბათუმის გემთსაშენ ქარხანას ჰქონდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

**საბუქსირე-ძრავიანი კატარღა БМК (პ. 13590) შედიოდა საბჭოთა საინჟინრო ჯარების საპონტონო-სახიდო პარკის შემადგენლობაში და გამოიყენებოდა ხიდებისა და საბორნო გადასასვლელების მოსაწყობად საჭირო სექციების ბუქსირებისთვის, ასევე მდინარეების დასაზვერად და სხვა ამოცანების შესასრულებლად.**



სიგრძე — 7,95 მ, სრული წყალწყვა — 4,11 მ, სიჩქარე — 8,9 კვანძი, წევის ძალა — 1400 კგძ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დიზელის ძრავა 120-ცხ.ძალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „დაკოტის რესპუბლიკა"
## უჩვეულო წარმონაქმნი ამერიკაში

დაკოტის რესპუბლიკას არათუ მსოფლიოს, არამედ ამერიკის დაკოტის შტატის რუკაზეც კი ვერ იპოვით, ის მხოლოდ არაოფიციალურად არსებობს, თუმცა, 10 ათას კვ კმ-ზე მეტი ფართობი უკავია. ოფიციალურად, ამ მიწებზე აშშ-ში ინდიელთა რეზერვაციებს შორის დაკოტის (იგივე სიუს) ტომის სიდიდით მერვე რეზერვაცია პაინ-რიჯი მდებარეობს.

„დაკოტის რესპუბლიკის" დამოუკიდებლობა 2007 წლის 17 დეკემბერს, დაკოტის ტომის (ანუ, როგორც ამჟამად აშშ-შია მიღებული — ნაციის), ბელადმა, „ამერიკის ინდიელთა მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, რასელ ჩარლზ მინსმა გამოაცხადა.

ამას კი წინ უძღოდა ხმაურიანი სასამართლო პროცესი, სადაც დაკოტის ტომი ამერიკის ხელისუფლებისგან XIX საუკუნეში წართმეული მიწების დაბრუნებას, ანდა მათ სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გადახდას ითხოვდა.

ეს პროცესი ინდიელებმა წააგეს. ამიტომაც რასელ ჩარლზ მინსის ინიციატივით პაინ-რიჯის რეზერვაციის საკანონმდებლო ორგანომ — „სატომო საბჭომ" XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკელებთან დადებული ყველა კაბალური ხელშეკრულება გააუქმა და ტომს ძველი ეთნონიმი — სიუ დაუბრუნა. ამის შემდეგ ინდიელებმა უარი თქვეს აშშ-ის მოქალაქეობაზეც და რეზერვაცია რესპუბლიკად გამოაცხადეს. შესაბამისად, მის ტერიტორიაზე შეჩერდა ამერიკის ფედერალური კანონების მოქმედება.

აშშ-ის ფედერალურ ხელისუფლებას რასელ მინსის ეს წამოწყება სიცილადაც არ ეყო, მაგრამ როდესაც ინდიელთა ბელადმა მთელი მსოფლიოს გასაგონად დაიწყო ლაპარაკი ამერიკაში ინდიელთა უფლებების გაუგონარ დარღვევაზე, თეთრ სახლში შეშფოთდნენ.

ინდიელთა საქმეების ფედერალურმა ბიურომ და სპეცსამსახურებმა მინსის შესახებ კომპრომატების გავრცელება დაიწყეს და მასმედიაშიც გამოჩნდა ინფორმაცია, რომ დაკოტის ნაციის ბელადი ახალგაზრდობაში ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო ციხეში იჯდა, მერე რადიკალ-მემარცხენეთა დაჯგუფებაში იყო გაწევრებული და ყაჩაღობდა, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს ნიკარაგუასა და პანამაში, ამერიკელ ინდიელთა რაზმთან ერთად, ამერიკის არმიას ებრძოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ინდიელთა ურჩი ბელადი დააპატიმრეს, მაგრამ გავლენიანი ადვოკატების წყალობით მან პროცესი მოიგო.

მერე პაინ-რიჯის რეზერვაციის სატომო საბჭოს იმ წევრებმა, რომლებიც პროამერიკულად იყვნენ განწყობილი, მინსს ბელადობა ჩამოართვეს, რასაც მათსა და მინსის მომხრეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა.

რასელ მინსმა მსოფლიოს დაკოტის რესპუბლიკის აღიარებისკენ მოუწოდა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. მაშინ დამოუკიდებლობის მოსურნე ინდიელებმა რეზერვაციიდან განდევნეს ყველა პროამერიკელი და ტომის მოქალაქეობა ჩამოართვეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განდევნილები რეზერვაციის საქმეებში ვეღარ ჩაერეოდნენ, რადგან აშშ-ის კანონებით მხოლოდ ტომს შეუძლია ამა თუ იმ პირს მოქალაქეობა მიანიჭოს, რაც რეზერვაციაში ცხოვრების უფლებას გულისხმობს. თუ ტომის მოქალაქეობა არ ექნა კაცს, ინდიელად არ ჩაითვლება.


სიუს ტომის ბელადი რასელ მინსი

სიუს ტომის ბელადი რასელ ჩარლზ მინსი ამ ერთი თვის წინ — 22 ოქტომბერს ყელის კიბოთი გარდაიცვალა. მან მაინც მოასწრო პაინ-რიჯის მთელი ტერიტორიის შესყიდვა და სიკვდილის წინ მშობლიურ ტომს უანდერძა. ასე რომ, მთელი დაკოტის რესპუბლიკა დღეს დე იურე კერძო საკუთრებაა და აშშ-ის ხელისუფლებას მისი ფართობის შემცირება აღარ შეუძლია, თუ მიწა არ გამოისყიდა.



სიუს ტომის ინდიელები ტრადიციულ ტანისამოსში. ფოტოობიექტივისკენ ზურგით დგომით ისინი პროტესტს გამოხატავენ

## ინდიელთა პრობლემები ამერიკაში

ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე ამჟამად დაახლოებით 1,5 მლნ ინდიელი ანუ, როგორც ოფიციალურად უწოდებენ, მკვიდრი ამერიკელი (Native American) სახლობს. ისინი ენით და წარმოშობით განსხვავებულ, დიდ და მცირე ტომებად, ანუ ნაციებად იყოფიან.

XIX საუკუნის II ნახევრიდან აშშ-ის ინდიელთა ყველა ტომი რეზერვაციებში, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ და ფედერალურ ხელისუფლებაზე დაქვემდებარებულ მიწებზე ცხოვრობს.

რეზერვაცია არის ტერიტორია, სადაც ერთი ან რამდენიმე ტომის ინდიელები თავიანთი კანონებით ცხოვრობენ და ემორჩილებიან მხოლოდ ამერიკის ფედერალურ მთავრობას. ინდიელებს საკუთარი ფულის გამოშვებისა და უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების უფლება არა აქვთ; სხვა ყველაფერს კი თავიანთი კანონებით არეგულირებენ, ოღონდაც ფედერალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით. სხვათა შორის, რეზერვაციებში კაზინოებიც დაშვებულია და ზოგან ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებაც არ ისჯება, თუმცა, ძირითადად, ინდიელები ისეთ ხრიოკ მიწებზე ცხოვრობენ, სადაც არაფერი მოდის და ხალხი იძულებულია, სამოვარზე დიდ ქალაქებში წავიდეს.

ყველაზე დიდ რეზერვაციას აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში — არიზონის, ნიუ-მექსიკოსა და იუტის შტატების ტერიტორიაზე ნავახოს ნაცია ფლობს.

ნავახოს მიწები ფართობით საქართველოს უტოლდება. აქ 300 ათასზე მეტი ინდიელი ცხოვრობს და ზოგიერთმა ინგლისურიც კი არ იცის, რადგან რეზერვაცია არასოდეს დაუტოვებია.

არსებობს ისეთი რეზერვაციებიც, რომლებიც მხოლოდ ერთ სოფელს ან დაბას მოიცავს.

რეზერვაციათა უმრავლესობა ფედერალური დოტაციის იმედზეა, თუმცა, იქ, სადაც ინდიელებს კაზინოები აქვთ გახსნილი (ასეა, მაგალითად, შოშონის რეზერვაციაში, რაც ლას-ვეგასის ერთ-ერთ უბანს შეადგენს), ცხოვრების დონე მაღალია.

პაინ-რიჯის რეზერვაციის მკვიდრთა უმეტესობა კი უმუშევარია, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ ინდიელთა საქმეების ბიურო არჩენს. ამ ხალხს, როგორც ღარიბ-ღატაკს, ყოველთვიურად განსაზღვრულ თანხას ურიცხავენ საკრედიტო ბარათებზე და საგანგებო სამედიცინო პოლისებითაც უზრუნველყოფენ.

შესაბამისად, ინდიელები დამოკიდებული არიან ამერიკის ფედერალურ ხელისუფლებაზე და ძალიანაც რომ უნდოდეთ, დამოუკიდებლობაზე ველარ ილაპარაკებენ.

რეზერვაციის გარეთ გასულ ინდიელს მუშაობის ნებართვა ისევე სჭირდება, როგორც ემიგრანტებს. ნებართვას კი იმ შემთხვევაში აღარ მოსთხოვენ, თუკი ტომის მოქალაქეობაზე უარს იტყვის.

სამოვარზე წასულ ინდიელთა დიდი ნაწილი ასეც იქცევა და ამიტომაც მაწანწალები ხდებიან, რადგან რეზერვაციაში დაბრუნების უფლებას კარგავენ, ქალაქებში კი თავის გატანა უჭირთ.

რასელ მინსმა ჯერ კიდევ 2005 წელს მიმართა აშშ-ის მთავრობას თხოვნით, პაინ-რიჯის რეზერვაციის ტერიტორია გაზრდილიყო და მის საზღვრებში ბლექ-მაუნთინზის ოქროს საბადო მოქცეულიყო, სადაც ინდიელები დასაქმდებოდნენ და რეზერვაციაში ცხოვრების ელემენტარული პირობების დაკმაყოფილების საშუალება ექნებოდათ.

ბლექ-მაუნთინზის ოქროს საბადო სიუს ტომის ძირძველი მიწაა. ის 1864 წელს კაბალური ხელშეკრულების დადების შემდეგ ინდიელებმა ამერიკელებს გადასცეს. რასელ მინსმა საუკეთესო ადვოკატი დაიქირავა და ხელშეკრულების პუნქტები დეტალურად განიხილა. მერე შეადგინეს თხოვნა, სადაც ყველაფერი დაწვრილებით, წყაროების მოხმობით იყო დასაბუთებული. აშშ-ის მთავრობამ რასელ მინსის თხოვნა განიხილა, მაგრამ დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ საბადო შტატის კუთვნილება იყო, ხოლო ფედერალურ მთავრობას კი შტატთან შეუთანხმებლად მისი რეზერვაციისთვის მიერთება არ შეეძლო.

რასელ მინსმა და მისმა მომხრეებმა სასამართლოს მიმართეს. საჩივარმა ყველა ინსტანცია მოიარა და მთელ ქვეყანაში დიდი რეზონანსიც მოჰყვა.

ამერიკელი ინდიელების უფლებათა დაცვისთვის მებრძოლი ორგანიზაცია „ინდიელთა ეროვნული მოძრაობის“ ლიდერებმა, რომლებიც რასელ მინსს უჭერდნენ მხარს, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, სიეტლში, ლოს-ანჯელესსა და სხვა ქალაქებშიც დემონსტრაციები გამართეს, მაგრამ ინდიელების საჩივა-

რი არ დააკმაყოფილეს. ამის მიზეზად კი ის დასახელდა, რომ რასელ მინსი პაინ-რიჯის რეზერვაციას არ წარმოადგენდა, არამედ ინდიელთა ერთი ჯგუფის სახელით გამოდიოდა. საპასუხოდ, მინსმა განაცხადა, რომ რეზერვაციის მმართველები სიუს ხალხის ინტერესებს არ გამოხატავდნენ.

ამის შემდეგ მოვლენები ელვისებურად განვითარდა — პაინ-რიჯის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის კინოთეატრში 70-იანი წლების გერმანული ვესტერნი უჩვენეს, რომელშიც მთავარ როლს გოიკო მიტიჩი ასრულებდა. ფილმმა კატალიზატორის როლი ითამაშა — როგორც კი სეანსი დამთავრდა, მაყურებლები, რომელთა უმრავლესობა შეიარაღებული იყო, ტომის საბჭოს შენობას მიადგა, ალყა შემოარტყა და ბელადების უპირობო გადადგომა მოითხოვა.

ინდიელებისთვის საბედნიეროდ, საქმე სისხლის ღვრამდე არ მივიდა, რადგან ბელადებს ეყოთ ჭკუა და გადადგნენ.

ტომთა საბჭომ სწრაფად მოიწვია ნაციის წარმომადგენელთა კრება, რომელიც რეზერვაციებში ბელადების ასარჩევად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

ნაციის წარმომადგენელთა კრებამ ბელადად ერთხმად აირჩია რასელ მინსი, მან კი ჯერ XIX საუკუნეში ამერიკელებთან დადებული ხელშეკრულებები გააუქმა, მერე კი საქმეს მარილიც მოაყარა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. როგორც უკვე აღინიშნა, სიუს ანუ დაკოტის ნაციის სახელმწიფოს „დაკოტის რესპუბლიკა“ ეწოდა.

საინტერესოა, რომ რასელ მინსმა ფედერალურ ხელისუფლებასთან კონტაქტი ერთბაშად მაინც არ გაწყვიტა, — მან განაცხადა, რომ დაკოტის რესპუბლიკა აშშ-ის კონსტიტუციას აღიარებდა, ოღონდ განსაზღვრული დათქმებით, ისევე როგორც პუერტო-რიკო, მარიანას კუნძულები და გუამი. დამოუკიდებლობის გამოცხადებისას მინსმა ისარგებლა აშშ-ის კონსტიტუციის იმ შესწორებით, რომელიც ინდიელებს ნებას რთავს, თავიანთ რეზერვაციას რაც სურთ, ის უწოდონ.

შემდგომში მინსმა უარი თქვა აშშ-ის მოქალაქეობაზე და სხვებსაც მოუწოდა, ასე გაეკეთებინათ. რასელ მინსს ინდიელთა ერთმა ნაწილმა მიჰბაძა, რის გამოც მასზე საქმე აღიძრა და დააპატიმრეს.

სხვა რეზერვაციებში რომ მსგავსი პრეცედენტი არ მომხდარიყო, აშშ-ის ინდიელთა საქმეების ბიურომ მრავალ ხერხს მიმართა, თუმცა, მიზანს ვერ მიაღწია: მაგალითად, ტეხასში ინდიელები შტატის სრული დამოუკიდებლობის მომხრეებს დაუკავშირდნენ და მათთან ერთად პოლიტიკური მეთოდებით დაიწყეს ბრძოლა. ტეხასის საკანონმდებლო ორგანოში მათ ორი დეპუტატი გაიყვანეს, მაგრამ სხვა ვეღარაფერი შეძლეს.

პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე დღეს მოქმედებს რადიკალური ორგანიზაცია „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობა“, რომელიც თითქმის ტერორისტულ დაჯგუფებადაა მიჩნეული. მას ფილიალები აქვს თითქმის ყველა რეზერვაციაში და ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაშია. თვით სიუს ტომის ბელადი რასელ მინსიც სწორედ მისი წევრი იყო. „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობაში“ ზოგი სხვა ტომის ბელადიცაა გაწევრებული.

## რა საფრთხეს უქმნის აშშ-ს „დაკოტის რესპუბლიკა“

ერთი შეხედვით, დაკოტის რესპუბლიკა საფრთხეს არ უქმნის აშშ-ის ძლიერებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან ის მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალურად არსებობს, მაგრამ ამერიკელ იურისტებს მაინც ეშინიათ, რომ ასეთი პრეცედენტი მათი ქვეყნისთვის თავსატეხად არ იქცეს.

საქმე ის არის, რომ ინდიელთა ტომების მიწები ამერიკელებს XIX საუკუნეში კაბალური ხელშეკრულებებით აქვთ მოპოვებული და ამჟამად, როცა იმ ინდიელთა შთამომავლები ცდილობენ, წინაპართა დაჩაგვრის გამო ვაშინგტონის მესვეურებს კომპენსაცია გადაახდევინონ, საზოგადოების სიმპათია მთავრობის მხარეს არც არის ხოლმე.

აშშ-ში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრი ბრალდება“, რომელიც ფერადკანიანებს რასობრივ საკითხებთან დაკავშირებულ ან სხვა საქმეთა მოგვარებაში ეხმარება. სხვათა შორის, „თეთრი ბრალდების“ მონდომებით ნიუ-მექსიკოს შტატის ოფიციალურ ენად ინგლისურთან ერთად ესპანურიც აღიარეს, — ამ შტატში მოსახლეობის 70% ესპანურენოვანია. როცა ნიუ-მექსიკოს ტერიტორია 1845 წელს ამერიკელებმა მექსიკელებს დაათმობინეს, ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ ესპანური ენა არ შეიზღუდებოდა. „თეთრმა ბრალდებამ“ სწორედ ეს ხელშეკრულება გამოიყენა და მიზანსაც მიაღწია.

სიუს ინდიელებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებების გაუქმების (რაც აუცილებელი პროცესი იქნება, თუ დაკაბალების ფაქტი დადგინდა) შემდეგ კი უკვე სულ სხვა რეალობასთან გვექნება საქმე, რეზერვაციის ტერიტორიის ბატონ-პატრონი მხოლოდ ინდიელები გახდებიან და უფლება ექნებათ, ფედერალური ხელისუფლების დირექტივები აღარ შეასრულონ. ასე რომ, თუ აშშ-ში ინდიელებმა მასობრივად მოინდომეს ვაშინგტონთან კავშირის გაწყვეტა, ამას კარგი არაფერი მოჰყვება.

**მიხეილ ლაბაძე**



თანამედროვე ინდიელთა სათათბირო მოედანი პაინ-რიჯში

**არსენალი**

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| სამ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| ოთხ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| ხუთ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| პარ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| შაბ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| კვ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |




| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| სამ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| ოთხ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| ხუთ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| პარ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| შაბ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| კვ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |



▲ რომაული ლეგიონის მეთაური ლეგატის თანხლებით მარშით გამოდის საზღვრისპირა ციხესიმაგრიდან.

**117** აბჯრიანი ქვეითები ქმნიდნენ ლეგიონს. რომაელთა არმიის ძირითადი საბრძოლო წყობა იყო ლეგიონი, რომელიც დაახლოებით 6000 კაცისგან შედგებოდა. მათი უმეტესობა აღჭურვილი იყო აბჯრით, მუზარადით, დიდი მართკუთხა ფარით, ხმლითა და სასროლი შუბით.

**118** რომაელთა აბჯარი მეტალის ფურცლებისგან იყო აწყობილი. რომის იმპერიის ზეობის ხანაში ლეგიონერები აღჭურვილი იყვნენ აბჯრით, რომელსაც „ლორიკა სეგმენტატა" ერქვა. ის შედგებოდა მეტალის რამდენიმე ნაჭრისგან, რომელთაც სხეულის ფორმა ჰქონდა მიცემული და ერთმანეთზე ღვედებითა და ბალთებით იყო დამაგრებული.



▶ ლეგიონერის აბჯარი რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. დაზიანების შემთხვევაში თითოეული მათგანის შეცვლა შეიძლებოდა.





▶ ხელჩართულ ბრძოლაში რომაელი ჯარისკაცები გლადიუსით იბრძოდნენ. ეს იყო სატევრისებრი, ორლესული მოკლე ხმალი, რომლითაც მტერს განგმირავდნენ.

**121** რომაული ხმლები ესპანური-დან იყო გადმოღებული. ახ. წ. 200 წლი-დან რომაელი ჯარისკაცები ატარებდნენ ხმლებს, რომელთაც სწორი პირი და ბასრი წვერი ჰქონდათ. ისინი იმ ხმლების ახლო იყო, რომელიც ესპანელმა ჯარისკაცებმა გამოიყენეს, როდესაც რომაელები დაამარცხეს.

▶ დამხმარე ჯარისკაცი ატარებდა მოკლე ჯაჭვის ტუნიკას, მუზარადსა და ოვალურ ფარს. მისი იარაღი გლადიუსი და სატყორცნი შუბი იყო.

**119** რომაელთა დამხმარე ძალას იაფფასიანი აბჯარი ეცვა. თითოეულ რომაულ ლეგიონში იყვნენ ჯარისკაცები, რომელთაც დამხმარეები ერქვათ (ჯარისკაცები, რომლებიც წარმოშობით რომაელები არ იყვნენ). ამ ქვედანაყოფებს საკუთარი აბჯარი უნდა ჰქონოდათ, ჩვეულებრივ, ატარებდნენ ჯაჭვის ტუნიკებს ან უამრავი მეტალის ფირფიტისგან აწყობილ ქერცლისებრ აბჯარს.

**120** რომაელთა საბრძოლო წყობას ფარებით „კუ", ანუ „ტესტუდო" ერქვა. ჯარისკაცები პატარა, მჭიდრო მწკრივებად დადგებოდნენ და ფარებს ისე აიფარებდნენ, რომ ყველა მხრიდან კუს ბაკნის მსგავსი საფარი შეექმნათ. ამ წყობით ბრძოლაში მტრის შუბებისა და ისრებისგან იცავდნენ თავს.







**122** მოგვიანებით რომაელი ქვეითები აბჯარს აღარ იყენებდნენ. დაახლოებით ახ. წ. 350 წლიდან რომაელი ლეგიონერი უფრო მსუბუქად შეჭურვილი ამჯობინებდა ბრძოლას. თავდასაცავად დიდ ფარსა და მუზარადს ხმარობდა.

**123** უფრო გვიან პერიოდში რომაული არმიები მშვილდოსნებს ქირაობდნენ. მშვილდოსანი მეტად გამოსადეგი იყო ბარბაროს ტომებთან ბრძოლაში, მით უმეტეს, რომ ცოტა რომაელს თუ ემარჯვებოდა მშვილდის ხროლა. ამიტომაც ქირაობდნენ უცხოელ მშვილდოსნებს, რომ მათ რომაულ არმიაში ებრძოლათ.

**124** რომაული ფარები კაშკაშა ფერებად იყო შეღებილი. გვიანი პერიოდის რომაულ არმიაში ყველა ქვედანაყოფს საკუთარი ფარის დიზაინი ჰქონდა. ზოგიერთი მორთული იყო არწივების, მორიელების ან დელფინების გამოსახულებებით, ზოგიერთზე კი ელვის ისრები ან სპირალები იყო ამოკვეთილი.



◄ გვიანი რომაული ფარები კაშკაშა ფერებით იყო მოხატული. თითოეულ ქვედანაყოფს არმიაში თავისი მოხატულობა ჰქონდა.

▼ დაახლოებით ახ. წ. 350 წლისთვის რომაულ არმიაში მრავლად იყვნენ კავალერისტები, რომლებიც ხშირად გადაადგილების საბრძოლო კამპანიებში შეუცვლელი იყვნენ.

**125** არწივი წმინდა ფრინველად ითვლებოდა. თითოეულ რომაულ ლეგიონს ჰქონდა არწივის გამოსახულება, აკვილა – ბრინჯაოს არწივი დაფარული ოქროს ფირფიტით, რომელიც დაახლოებით 3 მ სიგრძის ჯოხზე იყო დამაგრებული. აკვილა ღმერთების სიწმინდედ ითვლებოდა და დიდ სირცხვილად მიაჩნდათ, თუ მტერი ხელში ჩაიგდებდა.



► რომაელი აკვილიფერი („არწივისმტარებელი") ლეგიონის აკვილას (სიმბოლოს) — არწივს ატარებდა. თითოეულ ქვედანაყოფს თავისი არწივი ჰქონდა, რომელიც რომელიმე ღმერთის სახელობისა იყო. კავალერიასა და დამხმარე ქვედანაყოფებს არწივის ნაცვლად სხვა წმინდა ცხოველი ჰყავდათ.

**126** გვიანი პერიოდის რომაულ კავალერიას უზარმაზარი ფარები ჰქონდა. ერთ-ერთი გვიანი პერიოდის რომაული ცხენოსნების დაჯგუფებას სკუტატი ეწოდებოდა. სკუტატებს ჯაჭვის მოსასხამები ეცვათ და უზარმაზარ ფარებს ატარებდნენ, რათა თავიც დაეცვათ და ცხენებიც. ისინი მტრის ჯარისკენ ჭენებით მიქროდნენ, შუბებს ტყორცნიდნენ და სანამ მტერი საპასუხო შეტევაზე გადავიდოდა, უკან გამორბოდნენ.

**დაუჯერებელია**

ვესტგუთების მეფე ალარიხმა ახ. წ. 410 წელს რომი დაარბია. საქვეყნოდ ცნობილი იყო მისი ოქროსტარიანი ხმალი.





1872-76 წლებში ბრიტანეთის ფლოტის იალქნიანი ორთქლისძრავიანი კორვეტი Challenger-ი მონაწილეობდა პირველ ოკეანოგრაფიულ კვლევებში, რომელიც შემდგომ ახალი მეცნიერების — ოკეანოგრაფიის საფუძველი გახდა

# კორვეტები შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის

ფრანგული სიტყვა Corvette ლათინური Corbita-დან (ნიშნავს „ხომალდს“) წარმოიშვა და XVII საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთის ფლოტის სწორი აფრებით აღჭურვილ ერთანძიან ხომალდს დაერქვა.

მაშინდელი კორვეტების წყალწყვა 200 ტ-ს, სიგრძე 12-18 მ-ს არ აღემატებოდა და სადაზვერვოდ, მიმოსვლისა და ზოგჯერ საკრეისერო დავალებებისთვის იყენებდნენ.

XVIII საუკუნეში კორვეტის ზომა გაიზარდა, სიგრძე 30 მ-მდე, ხოლო წყალწყვა 400-600 ტ-მდე, ანძების რაოდენობა ჯერ ორს და შემდგომ სამს გაუტოლდა.

შეიარაღება კი ღია გემბანის 20-32 ან დახურული გემბანის 14-24 პატარა და საშუალო კალიბრის ქვემეხისგან შედგებოდა.

XIX საუკუნეში კორვეტებს ტრადიციულ აფრებთან ერთად ტექნიკის სიახლე — ორთქლის ძრავით მომუშავე წამყვანი ბორბლები ან ხრახნები დაემატა. ასეთი ხომალდების წყალწყვა უკვე 800-3500 ტ-ს შეადგენდა. გაფართოვდა შესასრულებელ ამოცანათა წრე, რომელსაც დაემატა სანაპირო ზოლის პატრულირება, პატარა ომებში მონაწილეობა, ბრძოლებში დიდი ფლოტების მხარდაჭერა, დროშის დემონსტრირება და სამეცნიერო-საკვლევი ექსპედიციები.

კორვეტი, როგორც საბრძოლო ხომალდის კლასი, ბრიტანეთის სამეფო ფლოტში 1939 წელს აღორძინდა. კოლონიებში სამსახურისთვის აგებული შლუპები მაშინ კორვეტის კლასში გაერთიანდნენ და სანაპირო ზოლში ნაოსნობის უსაფრთხოებითა და გერმანულ წყალქვეშა ნავებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი.

მეორე მსოფლიო ომმა სუბმარინებთან საბრძოლველად იაფ და კონსტრუქციულად მარტივ კორვეტებზე მოთხოვნა გაზარდა.

სამეფო საადმირალოს თხოვნით, ქალაქ მიდლსბოროში კომპანია Smith's Dock Co. Ltd South Bank-ის სპეცია-




**Flower-ის ტიპის კორვეტი: წყალწყვა — 1170-1350 ტ, სიგრძე — 63,5 მ, სიგანე — 10,1 მ, წყალჯდომი — 4,8 მ, სიჩქარე — 16 კვანძი, სვლის მარაგი — 3500 მილი 12 კვანძით, ეკიპაჟი — 85-109 კაცი;**

**შეიარაღება: ერთი 102 მმ-იანი და ერთი 40 მმ-იანი ქვემეხი, 1X4 12,7 მმ-იანი ავტომატი, ორ-ორი საბორტე ბომბსატყორცნი და ბომბჩამგდები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**კორვეტი Heybeliada: წყალწყვა — 2300 ტ, სიგრძე — 99,56 მ, სიგანე — 14,4 მ, წყალჯდომი — 3,88 მ, ძალოვანი დანადგარის (ერთი აირტურბინა და ორი დიზელის ძრავა) სიმძლავრე — 43030 ცხ. ძ., სიჩქარე — 30 კვანძი, ცურვის სიშორე ეკონომიური სვლით — 3500 მილი, ავტონომიურობა — 21 დღე, ეკიპაჟი — 93 კაცი;**

**შეიარაღება: 8 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა Harpoon-ი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 1X21 RIM-116 RAM და ვერტიკალური სტარტის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი RIM-162 ESSM, 324 მმ-იანი 2X3 სატორპედო აპარატი Mk.32 და წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ტორპედოები Mk.46, ერთი 76 მმ-იანი საარტილერიო სისტემა, ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ავტომატური და ხელით მართვის რეჟიმებით, შვეულმფრენი SH-60 Seahawk-ი ან უპილოტო საფრენი აპარატები.**

ლისტებმა, რომლებსაც სამხედრო გემთმშენებლობაში არასოდეს უმუშავიათ, მოკლე დროში ვეშაპმხოც Southern Pride-ის ბაზაზე კორვეტ Flower-ის პროექტი მოამზადეს. 1940-41 წლებში ბრიტანეთისა და კანადის გემთსაშენებმა ამ პროექტით 203 ხომალდი ააგეს.

კორვეტებით დაინტერესება ახლაც დიდია და არცთუ უსაფუძვლოდ. მრავალი ქვეყნისთვის ასეთი ხომალდების შედარებით დაბალი ფასი, უნივერსალურობა და ბაზირებისთვის აუცილებელი პატარა სივრცე ყოველმხრივ მისაღებია.

თანამედროვე კორვეტების წყალწყვა 500-600 ტ-დან 2500-3000 ტ-მდე ადის და მიუხედავად ამისა, კვლავინდებურად სანაპირო ზონის ხომალდებად რჩებიან, კომპაქტური ენერგეტიკული დანადგარებისა და შეიარაღების ხარჯზე ბევრად ფართო სამოქმედო დიაპაზონი აქვთ, — XXI საუკუნის კორვეტს პატრულირებასთან ერთად თავისუფლად შეუძლია სავაჭრო გემების კონვოირება, პორტებისა თუ საზღვაო ბაზების საჰაერო თავდაცვა, წყალქვეშა-წყალზედა სამიზნეებთან ბრძოლა და ა.შ.

სამხედრო გემთმშენებლობის ამ ტენდენციას შეძლებისდაგვარად მხარი შავიზღვისპირა ქვეყნებმაც აუბეს, სადაც რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლებით თურქეთი ლიდერობს.

1999-2002 წლებში თურქეთმა საფრანგეთისგან D'Estienne d'Orves-ის



(პროექტი A-69) სერიის ექვსი კორვეტი (ფრანგული კლასიფიკაციით Aviso) მიიღო და თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს F500 Bozcaada, F501 Bordrum-ი, F502 Bandirma, F503 Beykoz-ი, F504 Bartin-ი და F505 Bafra შეემატა.

1999 წლის 4-8 ოქტომბერს ფოთში მეგობრული ვიზიტით მაშინ ჯერ კიდევ ფრანგული დროშით მოცურავე F786 Quartier-Maitre Anquetil-ი (ახლა F502 Bandirma) იმყოფებოდა.

პატარა წყალწყვის (1350 ტ) მიუხედავად, ხომალდი შეიარაღების სრული სქემით იყო აღჭურვილი, რომელიც აერთიანებდა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს (Exocet MM38), საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს (Mistral-ი), წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ტორპედოებს, 100 მმ-იან ქვემეხსა და 20 მმ-იან ტყვიამფრქვევებს.

ჩვენი მეზობელი თურქეთის დიდ წარმატებად უნდა შეფასდეს სამხედრო გემთმშენებლობის ბოლო მიღწევათა გათვალისწინებით შექმნილი MILGEM-ის პროექტი, რომელმაც რეალური მსვლელობა მიიღო და ფლოტს პირველი სერიული კორვეტი უკვე შეემატა.

თურქეთის ფლოტის სარდლობა ახალ კორვეტებს განიხილავს იმ საშუალებად, რომლის გამოყენებითაც მოხერხდება სანაპირო ზოლის პატრულირება-დაცვა, სადაზვერვო-ანტიტერორისტული და სა-

ძიებო-სამაშველო ოპერაციების ჩატარება, წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა და სხვ.

1,5 მლრდ დოლარად ღირებულების MILGEM-ის პროექტით 2028 წლისთვის ეროვნულ ვერფებზე 12 კორვეტი აიგება.

პროექტში მონაწილეობენ კომპანიები: ამერიკული Raytheon-ი და გერმანული Diehl BGT Defence-ი (ერთობლივი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი), იტალიური Oto Melara (საარტილერიო სისტემა), ამერიკული General Electric-ი (აირტურბინები), გერმანული MTU (დიზელის ძრავები) და სხვ.

2005 წლის 26 ივნისს სტამბოლის სამხედრო-საზღვაო ვერფზე სერიის პირველი კორვეტის მშენებლობა დაიწყო და სამი წლის შემდეგ, 2011 წლის 27 სექტემბერს, ფლოტს LF511 Heybeliada გადაეცა.

27 სექტემბერი შემთხვევით არ შეურჩევიათ. 1538 წლის 27 სექტემბერს პრევეზესთან ქაფუდან-ფაშა ჰაირედინ ბარბაროსამ ანდრეა დორიას ქრისტიანული ქვეყნების გაერთიანებული ფლოტი დაამარცხა.

მალე დასრულდება სერიის მეორე ხომალდის, F512 Buyukada-ს მშენებლობა და მას მოჰყვება F513 Burgazada და ა.შ.

Heybeliada ეროვნული ფლოტის საბრძოლო მომზადების პროცესშია ჩართული და შავი ზღვის ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის (BLACKSEAFOR) შემადგენლობაში მყოფი 2012 წლის აგვისტოში რამდენიმე დღით რუსეთის პორტ ნოვოროსიისკში შეჩერდა.

თურქული პროექტი საყოველთაო ინტერესს იწვევს. პაკისტანი მზად არის 4 ხომალდი შეიძინოს, საიდანაც სამის საკუთარ ვერფზე აგება სურს. 2011 წლის აპრილში ინდონეზიასთან 2 ხომალდის მშენებლობაზე კონტრაქტი გაფორმდა. არის სხვა წინადადებებიც და მათ შორის ისეთი ქვეყნებიდანაც კი, რომლებსაც განვითარებული სამხედრო გემთმშენებლობის ბაზა აქვთ.

**რუსეთის ფლოტში კორვეტის კლასს საბჭოთა პერიოდის კლასიფიკაციის წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო (რუსული აღნიშვნა МПК) და სარაკეტო (რუსული აღნიშვნა МРК) პატარა ხომალდები მიესადაგება.**

საბჭოთა ფლოტში მიღებული კლასიფიკაცია მცურავი საშუალებების საბრძოლო დანიშნულებასა და ძირითად შეიარაღებას ეფუძნებოდა.

ამჟამად რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში დარჩენილია შემდეგი კორვეტები: „ალექსანდროვეცი“ (პროექტი 1124), „სუზდალეცი“, „მურომეცი“, „პოვორინო“, „ეისკი“, „კასიმოვი“ (ხუთივე პ. 1124M-ს [illegible]), „ვლადიმირეცი“ (პ. 11451), „შტილი“ და „მირაჟი“ (პ. 12341).

ამ ხომალდების დიდი უმრავლესობა 80-იან წლებშია აგებული, საბრძოლო მახასიათებლებით უკვე მოძველებულად ითვლება და შეცვლას საჭიროებენ.

მიმდინარე წელს სანქტ-პეტერბურგში ქარხანა „სევერნაია ვერფზე“ საფუძველი ჩაეყარა 20385-ე პროექტის „პროვორნის“, რომელიც შავი ზღვის ფლოტისთვის ახალი თაობის პირველი კორვეტი იქნება.

„პროვორნის“ მწყობრში შეყვანა 2016 წელს იგეგმება, ხოლო 2020 წლისთვის შავი ზღვის ფლოტს იმავე პროექტის კიდევ 4-5 ხომალდი უნდა ჰყავდეს.

ახალი ხომალდების დანიშნულება ახლო სანაპირო ზოლის (ზღვის სიღრმეში სანაპირო ხაზიდან დაახლოებით 500 მილი) გაკონტროლება იქნება. „პროვორნი“ რუსული წარმოების უახლესი შეიარაღებით უნდა აღიჭურვოს.

საგამოცდო სტადიაში მყოფი ზოგიერთი ნიმუშის სრულყოფის პროცესი არცთუ მარტივად მიმდინარეობს.

საბჭოთა პერიოდში ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის განკარგულებაში ორი კორვეტი МПК-207 (ახლა „პოვორინო“) და МПК-217 (ახლა „ეისკი“) იყო, მაგრამ 1991 წელს რუსებმა რემონტის მიზეზით ორივე სევასტოპოლში გადაიყვანეს. ამჟამად ეს ხომალდები შავი ზღვის ფლოტის ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზას ექვემდებარებიან.

**2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში შავი ზღვის ფლოტმა ფოთის რაიონში რამდენიმე კორვეტი გამოიყენა, ხოლო 10 აგვისტოს გამოგონილი საზღვაო ბრძოლის მთავარი მონაწილეები კორვეტები „შტილი“ და „სუზდალეცი“ იყვნენ.**

მართალია, აგვისტოს ომში ფოთთან ზღვაში ბრძოლა არ ყოფილა, მაგრამ დროდადრო რუსული პროპაგანდა მას კვლავინდებურად უბრუნდება.

ცოტა ხნის წინ გაჩნდა ასე კომენტარი: „იმ შემთხვევის არაოფიციალური გარჩევისას გაირკვა, რომ 10 აგვისტოს ღამით შავი ზღვის ფლოტის სარდლობაში ისეთი ალიაქოთი იყო, რომ კიდევ კარგი, ხომალდებმა ერთმანეთი არ ჩაძირეს“.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმდებარე წყლებში შავი ზღვის ფლოტის კორვეტები ოპერატიული რეჟიმის შესანარჩუნებლად პერიოდულად შემოდიან.

**თემურ ჩაჩანიძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**კორვეტი „პროვორნი“ (პროექტი 20385): წყალწყვა — 2200 ტ, სიგრძე — 105 მ, სიგანე — 13 მ, წყალჯდომი — 7,95 მ, ძალოვანი დანადგარის (ოთხი დიზელის ძრავა) სიმძლავრე — 23320 ცხ. ძ.სიჩქარე — 27 კვანძი, სვლის მარაგი — 4000 მილი, ეკიპაჟი — 100 კაცი;**

**შეიარაღება: უნივერსალური საზღვაო-სახმელეთო სამიზნეების საწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Калибр-НК (8 რაკეტა);**

**ვერტიკალური სტარტის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Редут-ი (16 რაკეტა 9М96Е, ან 64 რაკეტა 9М100, ან ორივე რაკეტის სხვა თანაფარდობა);**

**წყალქვეშა ნავებისა და ტორპედოების საწინააღმდეგო კომპლექსი Пакет-НК-ს შემადგენლობაში შედის 2Х4 330 მმ-იანი სატორპედო აპარატი;**

**100 მმ-იანი უნივერსალური საარტილერიო სისტემა А-190;**

**ორი 30 მმ-იანი საზენიტო ავტომატი АК-630М;**

**შვეულმფრენი Ка-27ПЛ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის მოხსენება

## ზაქათალის ოლქის სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსათვის

XIX საუკუნიდან ქართული პროვინცია ჰერეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ზაქათალის ოლქის სახით შედიოდა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ორივე სახელმწიფოს ესმოდა რა ოლქის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, ამ ტერიტორიაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ.

საზღვრების დასადგენად 1920 წლის აპრილში თბილისში სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, მაგრამ მოულოდნელად, 28 აპრილს, მე-11 წითელი არმია ბაქოში შევიდა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოცხადდა.

აზერბაიჯანში იოლი გასეირნებით გათამამებულმა წითელი არმიის სარდლობამ ჩათვალა, რომ საქართველოს გაწითლების შანსიც ჰქონდა. თუმცა, წითელ და ფოილოს ხიდებთან საბჭოთა ნაწილებს ქართველებმა გენერალ კვინიტაძის სარდლობით უკან დაახევინეს და კონტრშეტევაზე გადასვლასაც გეგმავდნენ.

ამ დროს დაიდო რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულება, რომლის მეოთხე მუხლის თანახმად, ზაქათალის ოლქი საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად გამოცხადდა.

სავარაუდოდ, საბჭოთა აზერბაიჯანის პროტესტის გამო, იმავე წლის 12 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა დამატებით შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც სასაზღვრო დავა ორ ქვეყანას შორის მოგვიანებით შერეული კომისიის საშუალებით უნდა გადაწყვეტილიყო.

ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში, როგორც ქართული დაზვერვისთვის გახდა ცნობილი, 11 მაისს ზაქათალაში 4500 რუსი ჯარისკაცი და 600 აზერბაიჯანელი ასკერი იდგა. მათ განკარგულებაში 8 ქვემეხი და 35 ტყვიამფრქვევი იყო.

ბოლშევიკები მოსახლეობას ავიწროებდნენ და სასტიკად ექცეოდნენ:

„როგორც კი მოვიდნენ რუსები, მაშინვე თავხედობა დაიწყეს. მთელი ცხენები საძოვრათ ბაღებში გაუშვეს. შეუდგნენ პურის, სიმინდის და ქერის რეკვიზიციას. მართალია, მცხოვრებლებს ფულს აძლევდნენ, მაგრამ ხალხი, ერთის მხრივ, ახალ ფულს იწუნებდა და მერეც, როცა ხედავდნენ, რომ მთელი სურსათს სადღაც გზავნიდნენ, ეს ხალხში დამშევის შიშს იწვევდა...

ოლქში აღარაფერი აღარ იშოვება, ფარჩა და სხვა ნაწარმოები, რაც ბაქოდან ჰქონდათ მოტანილი წინათ,- ოლქში მოვაჭრე პირებს, რუსის ჯარისკაცებმა დაიტაცეს. მართალია, ფულს იხდიან, მაგრამ იმდენს, რაც თვითონ მოესურვებათ“.

მაისის ბოლოს რუსულმა ნაწილებმა ოლქი დატოვეს, რადგანაც განჯაში დიდი ანტისაბჭოთა აჯანყება დაიწყო.

ზაქათალაში გაგზავნილი ქართველი მზვერავი იტყობინებოდა: „ამ ოლქის დაჭერა ერთ ბატალიონსაც თავისუფლად შეუძლია. თუ ნება გვექნება, სამ დღეში ზაქათალის ოლქს ჩაგაბარებთ“.

9 ივნისს მოსახლეობა აჯანყდა და საოლქო ცენტრი დაიკავა. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან დადებული შეთანხმება არ დაარღვია და ოლქში აჯანყებულთა დასახმარებლად ჯარი არ შეიყვანა, რის ნაცვლადაც 12 ივნისს საბჭოთა აზერბაიჯანთან აქსტაფის (დღევანდელი აღსტაფა) შეთანხმება დაიდო.



გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე

შეთანხმების მეექვსე მუხლის მიხედვით, ზაქათალის ოლქში ბედი კომისიას უნდა გადაეწყვიტა, მანამდე კი მორიგებაში მონაწილე მხარეებს ოლქის ტერიტორიაზე ახალი საჯარისო ნაწილების შეყვანა არ შეეძლოთ, რის გასაკონტროლებლად სპეციალური საკონტროლო კომისია უნდა შექმნილიყო.

შეთანხმების ეს მუხლი ბოლშევიკებმა მალე დაარღვიეს და 18 ივნისს ოლქში მე-20 მსროლელი დივიზიის 58-ე ბრიგადა, მე-7 საკავალერიო დივიზია და ტამანის საკავალერიო ბრიგადა შეიყვანეს.



1920 წლის მაისი მე-11
წითელი არმია ბაქოში

რუსები აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ. ამის შემდეგ ხშირად მოდიოდა ჰერეთიდან ინფორმაცია მოსახლეობის შევიწროების შესახებ.

სწორედ ამ პერიოდში, 1920 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს გენერალურმა შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა მოხსენება ოლქის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ საქართველოს თავდაცვის საქმეში.

როგორც ჩანს, გენერალური შტაბის წარმომადგენლები იმედოვნებდნენ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ოლქში ქართული ნაწილების შეყვანის მართებულობაში დარწმუნდებოდა და დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას მოახდენდა.

ამ დოკუმენტს ჩვენ ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდის ჰარვარდულ ნაწილში მოვაკვლიეთ. მოხსენების დასაწყისში გენერალი დასძენს, რომ სტრატეგიულად ყველაზე სახიფათო საქართველოსათვის აღმოსავლეთი საზღვარია, რადგან მის ახლოს არის ორი მთავარი ცენტრი: დედაქალაქი თბილისი და რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური საყრდენი — კახეთი.

მისი აზრით, მოწინააღმდეგე თბილისზე გასვლას აღმოსავლეთიდან მტკვრის დაბლობით, ან ნუხა-თელავის გზატკეცილით და შემდგომ კახეთის რკინიგზით შეძლებდა. კახეთის დათმობა კი საქართველოსთვის დიდი მორალური და ეკონომიკური დანაკარგი იქნებოდა.

გენერალი აღწერს ზაქათალის ოლქს და დასძენს, რომ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრიდან მდინარე კაშკა-ჩაიდან დასავლეთ საზღვრამდე მდინარე მაზმი-ჩაიმდე (დღევანდელი მაწიმი) 80 კმ-იანი მშვენიერი გზატკეცილი მიუყვება.

ამის შემდეგ გენერალური შტაბის უფროსი ერთმანეთს ადარებს ოლქის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს და მისი დაცვისათვის საჭირო შესაძლებლობებს.

ზაქარიაძე წერს, რომ ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ საზღვრის სიგრძე 40 ვერსია, რომლის ნახევარიც მთებს უკავია და იქ საბრძოლო ოპერაციების ჩატა-





ქართული არმიისთვის ჯავშანმატარებელი

რება ძალიან რთული იქნებოდა. მეორე ნახევარი კი მდინარე კაშკა-ჩაის მიუყვება, რომლის სანაპიროს გამაგრება იოლია.

ამ არგუმენტის გასამყარებლად, გენერალი იშველიებს მდინარის ძველ დასახელებას — „სისხლის ღელეს“. ეს ტოპონიმი კი, მისი აზრით, ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ სწორედ ამ მდინარეზე ხვდებოდნენ ჩვენი წინაპრები პირველად მტერს და სისხლსაც აღვრიდნენ.

რაც შეეხება დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს, მისი სიგანე 160 ვერსამდეა და ბუნებრივი დაბრკოლებებიც თითქმის არ არსებობს.

მისი გათვლებით აღმოსავლეთ საზღვრის გამაგრებისათვის 2 პოლკიც საკმარისი იქნებოდა, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ოლქის გამაგრებისთვის — 10-12 პოლკი.

დასკვნაში მომხსენებელი დასძენს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანდა ზაქათალის ოლქის სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსათვის.

მოხსენებამ ნაყოფი ვერ გამოიღო — საქართველოს მთავრობამ შეთანხმება არ და ვერ დაარღვია, სამაგიეროდ, ოლქი წითელარმიელებით ივსებოდა.

საქართველოს საგარეო უწყება კი ნოტას ნოტაზე უგზავნიდა როგორც საბჭოთა რუსეთს, ასევე საბჭოთა აზერბაიჯანს. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1920 წლის 24 დეკემბერს რადიოდეპეშით აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჰუსეინოვს მიმართა. მიმართვის ასლი ასევე გადაეგზავნა საქართველოს ელჩს მოსკოვში და აზერბაიჯანის ელჩს საქართველოში.

„ჩვენი ცნობებით ზაქათალის ოლქის ფარგლებში, 12 ივნისის აქსტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლის აშკარათ დარღვევები გრძელდება. გაძლიერებული დაგროვება და კონცენტრაცია საბჭოთა ჯარისა და ამავე დროს იმავ ოლქში სოფელ ბელაკანის რაიონში (დღევანდელი ბელაქანის რაიონი) სწარმოებს ტოპოგრაფიული აზომვა. კიდევ მეტი, ოლქის მცხოვრებთ წამოუყენეს მოთხოვნილება პირველი იანვრისათვის წარმოადგინონ დიდძალი სანოვაგე, საქონელი და საქონლის საკვები მასალა“.

აშკარა იყო, რომ საბჭოთა ძალები შეტევისათვის ემზადებოდნენ და მიმართვები და პროტესტი შედეგს ვერ იძლეოდა.

გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის გათვლის სამართლიანობა დაადასტურა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომმა.

ომის წინ საქართველოს ზაქათალის ოლქის მხრიდან მოსალოდნელი შეტევისაგან თავდასაცავად მხოლოდ ორი ბატალიონი (რეგულარული არმიის მეექვსე ათასეული და კახეთის გვარდიის ბატალიონი) და ერთი სიღნაღის სანაპირო რაზმი ჰყავდა გამოყოფილი. ეს შენაერთები გენერალ სტეფანე ახმეტელს (ახმეტელაშვილს) ექვემდებარებოდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგეს: ამ მიმართულებიდან შეტევაზე გადმოდიოდნენ მე-18 ცხენოსანი დივიზიის ორი ბრიგადა და მე-20 მსროლელი დივიზიის 59-ე ბრიგადის ორი პოლკი. მოწინააღმდეგის ამ დაჯგუფებას სარდლობდა მე-18 ცხენოსანი დივიზიის მეთაური კურიშკო, რომელიც ქართველებმა ბრძოლის დაწყებისთანავე მოკლეს, თუმცა, ამით აღმატებული ძალის შეჩერება ვერ მოახერხეს.

შედეგად, კახეთის რეგიონი მთლიანად მოსწყდა ცენტრს. მე-18 ცხენოსანმა დივიზიამ დედოფლისწყაროსა და სიღნაღის დაკავების შემდეგ 24 თებერვალს თბილისს შემოუტია.

სწორედ ამ დივიზიის მოქმედებამ მისცა საშუალება მოწინააღმდეგეს ეცადა დედაქალაქის დამცველი ქართული ნაწილების მარცხენა ფლანგსა და შემდეგ ზურგში გასვლა.

ორმა მსროლელმა პოლკმა კი დაიკავა თელავი და თიანეთის გზით დაედევნა უკან დახეულ მეექვსე ქართულ ათასეულს, რომელიც თბილისის დაცემის შემდეგ გენერალ ახმეტელაშვილთან ერთად ტყვედ ჩავარდა.

ომის დასრულების შემდეგ კი ზაქათალის ოლქი 1921 წლის 15 ნოემბერს აზერბაიჯანისა და საქართველოს ბოლშევიკური მთავრობების შეთანხმებით (რომელთაც მოსკოვის გარეშე ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლოთ) ტერიტორია საბჭოთა აზერბაიჯანს გადაეცა.

**დიმიტრი სილაქაძე**


საქართველოს მთავრობამ რუსეთის აგრესიის წინ ზაქათალის ოლქის მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეაფასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლორდი ნელსონი

## 1758-1805



### ქრონოლოგია

* 1758 დაიბადა 29 სექტემბერს.
* 1770 12 წლისა ჩაირიცხა სამეფო ფლოტში.
* 1779 ფრეგატ „ჰინჩინბრუკის“ მეთაურად დანიშნეს.
* 1787 ცოლად შეირთო ფრანსის ნისბეთი.
* 1797 სენტ-ვინსენტის ბრძოლაში კონტრადმირლის წოდებით მონაწილეობდა.
* 1798 ნილოსის, ანუ აბუკირის ბრძოლა.
* 1799 ლედი ჰამილტონს შეხვდა.
* 1801 კოპენჰაგენის ბრძოლა.
* 1803 დაინიშნა ხმელთაშუა ზღვის ფლოტის მეთაურად.
* 1805 21 ოქტომბერს ტრაფალგარის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა და თავის საფლაგმანო ხომალდ Victory-ზე გარდაიცვალა.

ჰორაციო ნელსონი ცნობილია როგორც ბრიტანეთის უდიდესი სამხედრო-საზღვაო მთავარსარდალი. 1805 წელს ტრაფალგარის ბრძოლაში სწორედ მისი წყალობით დამარცხდა ფრანგული და ესპანური ფლოტი და ბრიტანეთის საზღვაო უპირატესობა მთელი საუკუნით განმტკიცდა ზღვაზე.

ნელსონის გმირული დიდება მისი ჯარისკაცებისთვის შთაგონებისა და პატივისცემის წყაროდ იქცა, თუმცა, არც მათი წვლილი დაჩრდილულა გამარჯვებებში. მაგრამ ნელსონი რთული ბუნების ადამიანი გახლდათ, მეკობრის სულითა და თითქმის ფანატიკური ერთგულებით სახელმწიფოსი და მეფისადმი.

ნელსონის უდრეკი სული მის ცნობილ გამოთქმაშიც ჩანს, — ხომალდ „ვიქტორიაზე“ მან აღმართა სასიგნალო დროშა: „ინგლისი ყოველი ჩვენგანისგან მოვალეობის შესრულებას მოელის“.

ნელსონი 1758 წლის 29 სექტემბერს ნორფოლკის საგრაფოში, ბარნჰემთორპში დაიბადა. მამამისი პასტორი იყო და მეურნეობასაც უძღვებოდა. ყმაწვილ ჰორაციოს მიწის დამუშავება სულ არ აინტერესებდა. ნაცვლად ამისა, 12 წლისა სამეფო სამხედრო ფლოტში ჩაირიცხა. ამ ასაკში ფლოტში შესვლა იმხანად ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ „ახალგაზრდა ჯენტლმენებისათვის“. ბიძის, კაპიტან მორის საქლინგის დახმარებით არაერთ ხომალდზე იმსახურა და ნავიგაციის შესწავლასაც მიჰყო ხელი.

ხომალდ „კარკასის“ ბორტზე ნელსონმა დიდი გამოცდილება მიიღო, 15 წლისა კი არქტიკის ზღვაზე ექსპედიციაში მონაწილეობდა.

18 წლისა უკვე ლეიტენანტი იყო, ხოლო 21 წლისა ფრეგატ „ჰინჩინბრუკის“ მეთაური გახდა. ნელსონის კარიერის ადრეულმა წლებმა კანადისა და ვესტ-ინდოეთის ირგვლივ გაიარა, ოკეანეში. 1794 წელს 28-ზარბაზნიანი ხომალდ „ბორეასის“ მეთაურობა ჩაიბარა, — ვესტ-ინდოეთში პატრულირება დაევალა. ნელსონს უნდა ედევნებინა თვალი სანავიგაციო აქტის შესრულებისათვის, რომლის თანახმადაც, ინგლისის კოლონიურ პორტებში საქონელი მხოლოდ ინგლისის ხომალდებით უნდა შესულიყო. ამას ამერიკელთა უკმაყოფილება მოჰყვა, მაგრამ ნელსონმა უკან არ დაიხია და ვესტ-ინდოეთში ვაჭრობაზე მათ მონოპოლიას ბოლო მოუღო, მით უმეტეს, რომ მონარქმაც დაუჭირა მხარი.

ამავე პერიოდში გაიცნო ფანი ნისბეთი, ექიმის ქვრივი, რომელზეც მოგვიანებით, 1787 წლის 11 მარტს იქორწინა და კარიბის ზღვაში თავისი სავალდებულო სამსახურიც ამოწურა. ის სამხედრო-საზღვაო გადამდგარ სარდალთა სიაში მოექცა, სანამ 1793 წელს საფრანგეთთან ომი ატყდებოდა.

### ომი საფრანგეთთან

ნელსონმა მომდევნო შვიდი წელი ფრანგებთან ომში გაატარა. თავდაპირველად, ხმელთაშუა ზღვაში გადაისროლეს, სადაც ნეაპოლის ბაზის სარდლად დაინიშნა.

1794 წელს კორსიკაზე დესანტის გადასხმას მეთაურობდა. კალვის სიმაგრის აღებისას სახეში ესროლეს და მარჯვენა თვალში მხედველობა დაკარ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

გა. გადარჩენილ თვალს კი იმდენი ჯაფა დაადგა, რომ წლებთან ერთად ჩინი სულ დაკარგა.

1797 წელს კონტრადმირალმა ნელსონმა პორტ სანტა-კრუს-დე-ტენერიფეს უშედეგო ბრძოლაში მარჯვენა ხელი დაკარგა. ნილოსთან გამართული ბრძოლის შემდეგ ნელსონს ნეაპოლში მოუწია დაბრუნებამ ჯანმრთელობის მისახედად. სწორედ აქ შეხვდა ლედი ემა ჰამილტონს, დიდი ბრიტანეთის ელჩის მეუღლეს, რომელიც მისი ცოლი გახდა ნელსონის სიკვდილამდე.

## ნელსონის ხიდი

1797 წელს სენტ-ვინსენტის კონცხთან ბრძოლაში ნელსონის 74-ზარბაზნიანი გემი „კაპიტანი" ისე დაზიანდა, რომ სვლის გაგრძელების უნარი დაკარგა. ნელსონმა თავისი დროშა გემ „დაუმარცხებელზე" გადაიტანა, ესპანელთა გემს, „სან-ნიკოლასს" მიაყენა და აბორდაჟის ბრძანება გასცა. ამასობაში კი ესპანელებმა გემ „სან-ხოსეფიდან" გახსნეს ცეცხლი. ნელსონს შვიდი ჯარისკაცი მოუკლეს და რამდენიმე დაუჭრეს, რამაც გადამწყვეტი ზომების მიღება აიძულა. მან „სან-ნიკოლასის" ბორტზე უფრო მეტი ჯარისკაცი გაგზავნა და მალე გემის ეკიპაჟი დანებდა. ნელსონმა „სან-ნიკოლასი" ე. წ. სახომალდო ტრაპად გამოიყენა და „სან-ხოსეფიც" აიღო. მტრის ერთი გემის გამოყენებით მეორეზე გადასვლის ამ ტაქტიკას „ნელსონის ხიდი" ეწოდა.

ზღვაზე გამარჯვებათა სერიამ 1803 წელს ნელსონს დიდი ბრიტანეთის ფლოტის მთავარსარდლობა მოუტანა. საფლაგმანო ხომალდი „ვიქტორიაზე", რომელზეც 104 ზარბაზანი იყო,








ტრაფალგარის ბრძოლაში ადმირალი ნელსონი სასიკვდილოდ დაიჭრა

მან ფრანგული ფლოტის ბლოკირება მოახდინა. ფრანგულ ფლოტს მთელი ორი წლის განმავლობაში ადმირალი პიერ-შარლ დე ვილნევი ედგა სათავეში, სანამ ესპანურ ფლოტთან შეერთების შემდეგ არ განადგურდა ინგლისელებთან შეტაკებისას ტრაფალგარის ბრძოლაში, ესპანეთის სანაპიროზე. ეს 1805 წლის 21 ოქტომბერს მოხდა. ბრძოლის დროს ნელსონი დაჭრეს. იგი მანამ გარდაიცვალა, სანამ ბრიტანელთა გამარჯვების ამბავს შეიტყობდა.

## ნელსონის მემკვიდრეობა

● ნელსონს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩრდილოეთის ზღვებში დიდი ბრიტანეთის ბატონობის განმტკიცებაში. საფრანგეთისა და ესპანეთის ფლოტების დამარცხების შემდეგ, ბრიტანეთს საზღვაო მიმოსვლის მეშვეობით ვაჭრობის აყვავების საშუალება მიეცა და მსოფლიოში მოწინავე ეკონომიკურ ძალად იქცა.

ნელსონი XVIII-XIX საუკუნეების პოპულარულ გმირად იქცა. ის სამშობლოსა და საქმის ერთგულების სიმბოლოდ დარჩება მარადჟამს, რაც მისი დამსახურების გაზვიადება სულაც არ არის. ტრაფალგართან მისი გარდაცვალების შესახებ ცნობამ ბრიტანელები დაამწუხრა. წმინდა პავლეს საკათედრო ტაძარში მისი დაკრძალვა ლონდონში დიდ მოვლენად იქცა.

*მოამზადა*

***ლევან ინასარიძე***



# „ჰაერში დარჩენილი“ პარაშუტით მხტომლები

**პარაშუტით მხტომელი ნატალია მსხვილიძე ერთადერთი ქართველი ქალია, რომელსაც 400-ზე მეტი ხტომა აქვს შესრულებული. ამ რაოდენობით ის სპეცრაზმელებიც ვერ დაიკვეხნიან, ვინც განსაკუთრებით სახიფათო წვრთნებს გადიან. თავად ნატალია კი ამ სახიფათო საქმეში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს, რადგან ეს მისთვის ჩვეულებრივი სპორტის სახეობაა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში აირჩია. კარიერის გაგრძელებას სამხედრო ავიაციაში აპირებდა, მაგრამ ცუდი მხედველობის გამო სამედიცინო კონტროლი ვერ გაიარა... თუმცა, ეს სფერო მისთვის უცხო მაინც არ არის, მისი მეუღლე, ვეფხია მსხვილიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ავიაციაში დაფუძნების დღიდან მსახურობდა, მაგრამ ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრობის დროს გაურკვეველი მიზეზით გაათავისუფლეს. ავიაციით დაინტერესებულ ოჯახს ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრე.**

**ნატალია მსხვილიძე:**

— პარაშუტით ხტომა ჩემთვის ჩვეულებრივი სპორტი იყო, სადაც ბავშვობაში დავდიოდი. პირველ ხტომას ყოველთვის ახლავს ნერვიულობა, მაგრამ ფსიქოლოგიური მომენტი თუ გადალახე და შენს თავს თუ დაუმტკიცე, რომ შიში დაძლეული გაქვს, უკვე ყველაფერი ადვილად გამოგივა. სანამ პირველად გადმოვხტებოდი, ფსიქოლოგიური და თეორიული მომზადება გავიარეთ. დეტალურად გვიხსნიდნენ, როგორ უნდა გადმომვხტარიყავით თვითმფრინავიდან, როდის უნდა გაგვეხსნა პარაშუტი და როგორ უნდა დავშვებულიყავით მიწაზე. სპორტის ამ სახეობას „აეროკლუბში“ ვეუფლებოდით.

**— პირველად რა სიმაღლიდან გადმოხტით?**

— პირველად 800 მ სიმაღლიდან, მაშინ 15 წლის ვიყავი. ყოველდღე პატარ-პატარა სიმაღლიდან ვხტებოდი და ბარიერის გადალახვას თანდათან შევეჩვიე. ყოველი ხტომის წინ სამედიცინო შემოწმებას გავდიოდით, რათა გართულებებისგან თავი დაგვეზღვია. თვეში რამდენჯერმე ვაბარებდით ფიზნორმატივებს. როგორც შიდარესპუბლიკური, ისე ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით კონკურსები ტარდებოდა, სადაც ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მეც ვემზადებოდი, მაგრამ მონაწილეობა ვერ შევძელი, რადგან ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა... ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა 2200 მ სიმაღლიდან დაშვება იყო. მანამდე სპეციალური ვარჯიშები გვქონდა, პარაშუტს გადმოხტომიდან 30 წამის შემდეგ ვხსნიდით, მანამდე კი ჰაერში ფიგურებს, სპირალებსა და ა.შ. ვაკეთებდით. ამ დროს ნერვიულობისთვის არავის ეცალა, ყველა იმაზე ვიყავით გადართული, რომ დავალება სწორად შეგვესრულებინა და დროში ჩავტეულიყავით. ეს მომენტი საპარაშუტო პილოტირების ვარჯიშებიდან ამოიღეს, რადგან რთულ ილეთებად მიიჩნიეს. ახლა აქცენტი აკრობატიკაზეა გაკეთებული.

**— ნატალია, ვიცი, რომ ორი შვილი გყავთ. დაოჯახების შემდგომაც განაგრძეთ საპარაშუტო ხტომა?**

— არა, ჩემი საპარაშუტო კარიერა ოჯახის შექმნამდე, 1989 წელს დასრულდა, შემდეგ ეროვნული მოძრაობა დაიწყო და ყველაფერი დაიშალა. მეც გავთხოვდი. ის გოგოები, ვინც ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ, საქართველოდან გაემგზავრნენ, უმეტესობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან იყო და რამდენიმე სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროსაც ავიაციაში მსახურობდა. მათ 1000-ზე მეტი საპარაშუტო ხტომა ჰქონდათ გაკეთებული, ვინაიდან საქართველოს ნაკრების წევრები იყვნენ. მე მათთან შედარებით მოყვარული ვიყავი. მას შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა კავშირიდან გამოვიდა, ეს სპორტი სამხედრო სფეროს შეუერთდა, სადაც მხოლოდ მამაკაცები დარჩნენ.

**— სამხედრო ავიაციაში არ გიცდიათ ძალების მოსინჯვა?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 1991-92 წლებში, როდესაც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები ყალიბდებოდა, მარნეულის ბაზაში სამსახური შემომთავაზეს, მაგრამ მხედველობის პრობლემები შემექმნა და ვერ გავრისკე. **თუმცა, თითქმის ყოველი წლის 26 მაისს, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობას გრანდიოზულად აღნიშნავდა, თავისუფლების მოედანზე, ჩემს მეუღლესთან ერთად ვხტებოდი. მახსოვს ერთხელ თბილისში სტუმრად იყო ედუარდ შევარდნაძის მეგობარი, გერმანელი პოლიტიკოსი ჰანს-დიტრიხ გენშერი, მაშინ გავაკეთეთ საპარაშუტო ხტომები. 1992 წლის 4 აგვისტოს, როდესაც საქართველო გაეროს წევრი გახდა, მაშინაც ვმონაწილეობდით საზეიმო ღონისძიებაში.**

**ვეფხია მსხვილიძე, საპარაშუტო-სადესანტო-სატრანსპორტო ესკადრილიის ინსტრუქტორი:**

— სკოლაში სამხედროს მასწავლებელს არ ვუყვარდი და მითხრა, საბჭოთა ჯარის ისეთ ნაწილში უნდა გაგიშვა, წლის განმავლობაში მხოლოდ 12 ხტომა რომ გააკეთოო. ამისთვის სპეციალური კურსები გავიარე, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ჯარში ვიმსახურე და იქიდან იმ დროს დავბრუნდი, როდესაც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები იქმნებოდა. 1991 წლის 18 აგვისტოს, როდესაც ქართული გვარდია თენგიზ კიტოვანისა და ზვიად გამსახურდიას მომხრეებად გაიყო, შეიარაღებული ძალები დავტოვე და აფხაზეთის ომის დროს დავბრუნდი. კოპიტნარის სამხედრო ბაზაში ვიყავით დაბანაკებული. მაშინ ჩვენები Су-25-ით დაფრინავდნენ. 7 საფრენი აპარატი დავკარგეთ. მაშინ ორი პილოტი დაგვეღუპა, ერთი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ გაათავისუფლეს. სხვათა შორის, გადარჩენილთაგან ერთ-ერთი, მხოლოდ ახლახან გარდაიცვალა. იმ ომში სამხედრო პილოტები დაუცველები იყვნენ.

**— ვიცი, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომშიც მონაწილეობდით.**

— დიახ, 8 აგვისტოს დილას მარნეულის სამხედრო ბაზაში გადავფრინდით და დაახლოებით 15 საათსა და 5 წუთზე რუსებმა დაგვბომბეს. ჩემი ნაწილიდან 3 კაცი დაიღუპა, 5 დაიჭრა და სამი საფრენი აპარატი განადგურდა. ერთ-ერთმა დაჭრილმა მძიმე ხარისხის დამწვრობა მიიღო, პლასტიკური ოპერაციები დასჭირდა და ძლივს გადარჩა. თუმცა, შარშან ისიც დაითხოვეს.

**— რა მიზეზით?**

**— „სერიოზული“ მიზეზი უპოვეს, ანდრეი იაცენკო წარმოშობით უკრაინელია. ნაწილის მეთაურობამ უთხრა, ვიცით, რომ აგენტი ხარ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლებას დავჯერდებითო. არადა, ყველამ იცოდა, რომ საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია. ამგვარი აბსურდული მიზეზით სხვებიც გაუშვეს.**

**— ვიცი, რომ სამხედრო პილოტის მომზადება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. როგორ ფიქრობთ, რატომ დაითხოვა თავდაცვის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გამოცდილი სამხედრო მფრინავები?**

— დიდ თანხებთან კი არა, უზარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჩვენზე ბევრად მდიდარი ქვეყნები არ აძლევენ თავს უფლებას, სამხედრო მფრინავები პენსიაზე გასვლის ვადამდე შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვონ. ჩვენთან კი პირიქით მოხდა. პრობლემები სამხედრო პოლიციიდან მომდინარეობდა. ეს უწყება ყველა სამხედროს ბედს ისე წყვეტდა, მეთაურობასაც კი არაფერს ეკითხებოდა. იქამდე მივიდნენ, რომ სამხედროების დასასჯელად მიზეზიც არ სჭირდებოდათ, სახეზე არ მოეწონებოდათ და ეს საკმარისი იყო, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინათ. არადა, არსებობს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება, სადაც ჩამოთვლილია იმ სახის დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში სამხედროს ხელფასი არ უნდა მოეხსნას.


ვეფხია მსხვილიძე ხტომის დროს

მხოლოდ საყვედურს უცხადებენ, მაგრამ ჩვენთან რამდენიმე კაცის ხუშტურით წყდებოდა ყველაფერი. ჩემი გათავისუფლების მიზეზი ნაწილის რეორგანიზაცია გახდა. როდესაც საპარაშუტო-სადესანტო-სატრანსპორტო ნაწილის დაშლა დააპირეს, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით არ დავასახელებ, საპარაშუტო კურსების გახსნა მოისურვა, სადაც მხოლოდ ორი-სამი ინსტრუქტორი დარჩებოდა და დანარჩენი 64 კაცის ბედი არც აინტერესებდა. გავაპროტესტე, რაც გვაქვს, იმას გაუმჯობესება სჭირდება, თქვენ კი ანგრევთ-მეთქი და ამის შემდეგ მეთაურობამ ამითვალწუნა. ერთ დღესაც სამსახურში მისულს მაცნობეს, სამხედრო პოლიცია წინააღმდეგია, რომ შენ იმსახუროო.

**— სახელდობრ ვინ იყო წინააღმდეგი?**

— ახალაიას გარემოცვის ერთ-ერთი წევრი და რატომაც, მიზეზი, — ერთხელ ნაწილში სამხედრო პოლიციის თანამშრომელი მოვიდა, ხალხს უნდა გავესაუბროო. მერე კი ერთი ჩვენი თანამშრომელი გოგონა ბოლნისში დაიბარა. როდესაც ის სამსახურში დაბრუნდა, გვითხრა, სამხედრო პოლიციამ თანამშრომლობა, ანუ აგენტობა შემომთავაზაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურის დაკარგვითა და საბუთების გაფუჭებით დაემუქრნენ. მივხვდი, რომ სამხედრო პოლიცია გვაშანტაჟებდა. ერთი სიტყვით, 2010 წლის სექტემბერში გამათავისუფლეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი სამხედრო ნაწილის მეთაური, მარნეულის საავიაციო ბაზის მეთაური, შტაბის უფროსი და ბოლნისის ესკადრილიის მეთაურიც გაათავისუფლეს. ყველანი ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვეს.

**ლალი პაპასკირი**

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

# ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

## ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს

## იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „არსენალი" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L" - ის წიგნი ბესტსელერები:**

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია „პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი
ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საგემბანო ავიაცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-24, 2012

## ბრიტანული „ციცინათელა“

„ტირპიცზე“ ნადირობა „ბარაკუდებისთვის“ ერთადერთი დიდი ოპერაცია იყო, სადაც თვითმფრინავმა ტორპედმზიდად არ ივარგა. ძრავის სიმძლავრე და სამოქმედო რადიუსი არასაკმარისი იყო, ხოლო დამატებითი საწვავის ავზები კი სასარგებლო დატვირთვას ამცირებდა.

კიდევ ერთი ახალი საგემბანო თვითმფრინავი, რომელიც ბრიტანელებმა „ტირპიცზე“ თავდასხმებისას გამოიყენეს, ორადგილიანი გამანადგურებელი Firefly იყო.

ბრიტანეთი ერთადერთი იყო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში ორადგილიანი საგემბანო გამანადგურებლები შეინარჩუნა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებმაც ამ ტიპზე უარი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თქვეს, ბრიტანეთი ამ კონცეფციის განვითარებას ჯიუტად განაგრძობდა.

საადმირალოს მოთხოვნით ფირმა Fairy-მ შექმნა მრავალმიზნობრივი თვითმფრინავი, რომელსაც საბრძოლო თვითმფრინავისთვის ცოტა უცნაური სახელი Firefly — „ციცინათელა“ უწოდა.

ძლიერი საქვემეხო შეიარაღება და ბომბების ტარება მისი გამანადგურებელ-ბომბდამშენად გამოყენების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ „ციცინათელას“, ძირითადად, დაზვერვისთვის იყენებდნენ.

„ტირპიცზე“ საჰაერო რეიდებისას, მას ფოტოსურათების გადაღება და ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებათა განადგურება ევალებოდა.

ინდოეთის ოკეანეში თვითმფრინავი დამრტყმელ ოპერაციებშიც მონაწილეობდა და 1945 წლის 1-ელ იანვარს სუმატრაზე იაპონური ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა უმართავი რაკეტებით გაანადგურა.

მოდიფიკაცია — Firefly Mk IV
სიგრძე — 11,8 მ
ფრთის გაქანი — 12,55 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 4472 კგ
მაქს. ასაფრენი — 7301 კგ
ძრავა — 1x2250 ცხ.ძ
მაქს. სიჩქარე — 621 კმ/სთ-ში
ეკიპაჟი — 2 კაცი
შეიარაღება — ოთხი 20 მმ-იანი ქვემეხი, რვა 127 მმ-იანი უმართავი რაკეტა, 454 კგ ბომბი

ომის ბოლომდე ბრიტანეთმა ვერ შეძლო სრულფასოვანი საგემბანო ავიაციის ჩამოყალიბება, ამიტომ 1945 წელს ავიამზიდების გემბანზე არაეფექტური Barracuda-ები ამერიკული Avenger-ებით შეიცვალა.

ომის შემდეგ უარი „ბარაკუდაზე“ საბოლოოდ ითქვა და მფრინავების ერთსულოვანი აზრით საუკეთესო საგემბანო ტორპედმზიდი Avenger-ი იყო.



უცნაური სახელის მიუხედავად, „ციცინათელა“ საკმაოდ ეფექტური თვითმფრინავი გამოდგა




ეროვნული ბიბლიოთეკა

F6F Hallcat ფირმა „გრუმანმა“ F4F-ის მოდერნიზაციის პროგრამით შექმნა და უფრო მძლავრი ძრავით აღჭურვა. აგრეთვე, შეიცვალა შასი და რიგი სისტემები. ახალმა ძრავამ, საწვავისა და ტყვია-წამლის მარაგის ზრდამ თავად თვითმფრინავის გაბარიტები გაზარდა და საბაზო მოდელისგან ძირფესვიანად განსხვავებული გამოვიდა.

მფრინავებმა ახალი F6F სათანადოდ შეაფასეს. შეჯავშნული თვითმფრინავის გამოყენება დამრტყმელ ოპერაციებშიც შეიძლებოდა. საჰაერო ბრძოლებშიც გამოცდილი პილოტის ხელში Hallcat-ი მრისხანე იარაღი იყო. თუმცა, სამანევრო შესაძლებლობებით „ზეროს“ ჩამორჩებოდა.

მოდიფიკაცია — F6F-5 Hallcat
სიგრძე — 10,24 მ
ფრთის გაქანი — 13,06 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 4190 კგ
მაქს. ასაფრენი — 6990 კგ
ძრავა — 1ხ2000 ცხ.ძ
მაქს. სიჩქარე — 610 კმ/სთ-ში
ეკიპაჟი — 1 კაცი
შეიარაღება — ექვსი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ან ექვსი 20 მმ-იანი ქვემეხი, ექვსი 127 მმ-იანი უმართავი რაკეტა, 907 კგ ბომბი

## ავიამზიდების უმსხვილესი ბრძოლა

1944 წელს წყნარ ოკეანეში ვითარება შესამჩნევად შეიცვალა. მარშალის კუნძულების დაბრუნებით ამერიკელებმა იაპონელების თავდაცვა გაარღვიეს, ხოლო ავიაციისა და წყალქვეშა ნავების გაუთავებელი შეტევებით იაპონურ კომუნიკაციებს დიდი ზიანი მიადგა.

სოლომონის კუნძულებთან დამარცხების შემდეგ იაპონიამ ახალი ესკადრა ხუთ თვეში ჩამოაყალიბა და აშშ-ის ფლოტის განადგურება მარიანას კუნძულებთან დაიგეგმა. 1944 წლის ზაფხულში საგემბანო ავიაციის ისტორიაში უდიდესი ბრძოლა აქ გაიმართა.

შეტაკების წინ იაპონელებმა თავი 9 ავიამზიდს მოუყარეს და მათ შორის უახლესი „ტეიჰო“ იყო.

ავიაფრთები სამი ახალი ტიპის თვითმფრინავით შეივსო. მოდერნიზებულ A6M5 „ტიპი 52“ ზეროს, მოპიკირე ბომბდამშენ D4Y-სა და ტორპედმზიდ B6N-ს წინამორბედებთან შედარებით მახასიათებლები გაუმჯობესებული ჰქონდათ, მაგრამ მრეწველობა მათ საჭირო რაოდენობით დამზადებას ვერ ახერხებდა.

გადამწყვეტი ბრძოლისთვის ამერიკელებიც ემზადებოდნენ. მათ განკარგულებაში 15 ავიამზიდი და 900-მდე თვით-

„ტეიჰო“ ავიამზიდის კლასით აგებული ყველაზე დიდი და თავის კლასში დაჯავშნულგემბანიანი პირველი იაპონური ხომალდი იყო. დაჯავშნულ საფრენოსნო გემბანს 454 კგ-იანი ბომბისთვისაც კი უნდა გაეძლო. ჯავშანი იცავდა ასევე ავიამზიდის სამანქანო და საქვაბე განყოფილებებს. „ტეიჰოზე“ იაპონელებმა ბევრი სიახლე გამოიყენეს. თუმცა, „გოლიათის“ გასანადგურებლად მხოლოდ ერთი ტორპედო საკმარისი აღმოჩნდა. საწვავის გაჟონვამ და ეკიპაჟის არასწორმა მოქმედებამ ავიამზიდზე ძლიერი აფეთქება გამოიწვია.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლოტისთვის საჭირო რაოდენობის SB2C-ებს აშშ და კანადა აწარმოებდნენ

მფრინავი იყო. ეს კი იაპონურ საავიაციო შენაერთებს ორჯერ აღემატებოდა.

ახალი თვითმფრინავები ამერიკელებსაც ჰყავდათ, — გამანადგურებელი F6F და მოპიკირე ბომბდამშენი SB2C. ამ უკანასკნელმა გემბანზე ჩაანაცვლა მოძველებული „დოუნტლესი“, რომელსაც სიჩქარითა და ფრენის რადიუსით ჯაბნიდა.

SB2C-ის პირველი პროტოტიპი 1940 წლის 8 დეკემბერს აფრინდა. გამოცდის დასრულებამდე ფლოტმა 250 თვითმფრინავი შეუკვეთა, მაგრამ ეს ნაბიჯი ნაჩქარევი აღმოჩნდა.

გამოცდაზე თვითმფრინავს ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა და დაბალი საიმედოობის გამო ავიამზიდების მეთაურები მის გამოყენებას სახიფათოდ მიიჩნევდნენ.

ამის მიუხედავად, SB2C-ის წარმოება მაინც დაიწყო, მოძველებული, მაგრამ საიმედო „დოუნტლესის“ წარმოება კი შეწყდა. გამოსავალი კი SB2C-ის საიმედოობის გაზრდაში ჩანდა.

## ბრძოლის დაწყება

1944 წლის 19 ივლისს გამთენიისას იაპონელთა სამი ავიამზიდიდან პირველი ტალღის 69 თვითმფრინავი აფრინდა და ერთ საათში მათ ხომალდების მეორე სამეულიდან აფრენილი მეორე ტალღის 128 თვითმფრინავი მიჰყვა.

ამერიკული ხომალდების რადარებმა მოწინააღმდეგის თვითმფრინავების პირველი ჯგუფი დააფიქსირა და შესაჩერებლად ჰაერში თითქმის 400 გამანადგურებელი აიჭრა.

მასიურ საჰაერო ბრძოლაში ახალმა F6F-ებმა თავი შესანიშნავად წარმოაჩინეს, მანევრულ „ზეროებს“ ძლიერი ძრავითა და ჯავშნით სჯობნიდნენ და იაპონელთა ჩამოგდებული თვითმფრინავების უმეტესობა სწორედ მათზე მოდის.

საჰაერო შეტევის მოგერიებაში გარკვეული როლი სახომალდო საზენიტო საშუალებებმაც ითამაშეს და იაპონელთა პირველი ტალღის ერთადერთი ბომბი სახაზო ხომალდ „საუტ დაკოტას“ მოხვდა.

უშედეგო გამოდგა იაპონელთა მეორე საჰაერო შეტევაც, სადაც მცირე დაზიანებები ავიამზიდმა „ბანკერ ჰილმა“ მიიღო.

იაპონელი მფრინავების მომზადების დაბალი დონე და თავად თვითმფრინავების დაბალი სიცოცხლისუნარიანობა კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა.

მარიანას კუნძულებთან ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა აშშ-ის წყალქვეშა ნავებმა თქვეს. ავიამზიდ „ტეიჰოს“ — ერთი, „სეკაკუს“ კი სამი ტორპედო მოხვდა. შედარებით მსუბუქი დაზიანების მიუხედავად, ორივე ხომალდის ბედი გადაწყვეტილი იყო — ტორპედოების აფეთქებამ საწვავის ცისტერნები დააზიანა, ნავთობის აირები ტრიუმებში სწრაფად გავრცელდა და მალე „სეკაკუზე“ ძლიერი აფეთქება მოხდა. ავიამზიდი რამდენიმე წუთში ჩაიძირა და თან 1263 კაცი გაიყოლა. ანალოგიური ბედი „ტეიჰომაც“ გაიზიარა.

ავიამზიდებისა და საგემბანო ავიაციის ისტორიაში უმსხვილესი შერკინება ამერიკელების გამარჯვებით დასრულდა. იაპონელთა დანაკარგი უდიდესი იყო — 3 ავიამზიდი და 400-მდე თვითმფრინავი. თვითმფრინავებთან ერთად იაპონელებმა მრავალი გამოცდილი პილოტიც დაკარგეს.

საიმპერატორო ფლოტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც საწვავის დეფიციტი და ახალი პილოტების მომზადების დაბალი დონე ემატებოდა. პილოტები ავიამზიდიდან მოქმედების მხოლოდ სპეციფიკასა და საჰაერო ბრძოლის საწყის კურსს სწავლობდნენ.

ასევე არ იყო საკმარისი თვითმფრინავები და მათი სათადარიგო ნაწილები, ხოლო ამერიკული წყალქვეშა ნავების მოქმედების შედეგად იაპონიას შეუმცირდა იმპორტირებული ნედლეულის მოცულობა.

აშშ-ის საგემბანო ავიაციაში ჩამოგდებული პილოტების გადარჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ყოველი ბრძოლის დამთავრებისთანავე ავიამზიდზე დაბრუნებული ეკიპაჟებისგან მიღებული ინფორმაციით ჩამოგდებული თვითმფრინავების მიახლოებით კოორდინატებს ადგენდნენ და მოსაძებნად მორიგე თვითმფრინავები იგზავნებოდა. ჩამოგდებული მფრინავები უშუალოდ წყლიდან კი ხომალდებს ამოჰყავდათ.

მძიმე ვითარების მიუხედავად, იაპონელებმა ორი ახალი საგემბანო თვითმფრინავის შექმნა მაინც მოახერხეს — მოიერიშე B7A და გამანადგურებელი A7M. ეს უკანასკნელი „ზეროს“ უნდა ჩანაცვლებოდა. მის შეიარაღებაში ორი 20 მმ-იანი ქვემეხი და ოთხი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი შედიოდა.

პირველი პროტოტიპის ფრენა 1944 წლის მაისში შედგა და სამანევრო შესაძლებლობებით ის ყველა გამანადგურებელს და ამერიკულ F6F-საც ჯაბნიდა.

A7M-ის წარმოება 1945 წლის აპრილში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ამერიკელების გაუთავებელმა საჰაერო რეიდებმა და ნედლეულის დეფიციტმა გეგმა ჩაშალა, — სერიულად მხოლოდ ერთი თვითმფრინავის გამოშვება მოხერხდა. ქაღალდზე მისი შემდგომი ტურბოხრახნული ძრავიანი ვარიანტიც A7M3-J არსებობდა.

მეორე თვითმფრინავი — B7A დამრტყმელი ოპერაციებისთვის იყო გამიზნული. ორადგილიან „მეტეორს“ როგორც ბომბების, ასევე ტორპედოების გამოყენება შეეძლო. ის იაპონური უდიდესი საგემბანო თვითმფრინავი იყო. ომის ბოლომდე 117 B7A-ს გამოშვება მოესწრო. თუმცა, იაპონიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



„საბრძოლო ხელოვნების დანიშნულება, სულიერი ჰარმონიის, გონებრივი და ემოციური სიმშვიდის გამომუშავება, ასევე ძალისა და ფიზიკური ჯანმრთელობის განვითარება“
სტივენ სიგალი,
აიკიდოს ტექნიკური ოსტატი

შემდეგ თქვენი მოწინააღმდეგე დაუყოვნებლივ გაუშვებს ხელს პისტოლეტს.

დაიმახსოვრეთ, რომ ქუჩური ჩხუბის დროს თუ ძირს დაეცით და დაწოლილს გიწევთ ბრძოლა, შეგიძლიათ დარტყმა მიაყენოთ თვალებში, ყელში ან საზარდულში. ამ შემთხვევაში თქვენი მიზანია, მოწინააღმდეგე რაც შეიძლება სწრაფად მოიშოროთ თავიდან და მალე წამოდგეთ ფეხზე, თორემ გადაგივლიან — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

# ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და ქუჩური ჩხუბის ელემენტები

## სახსრებზე ზემოქმედების ძალა

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა ძალიან მარტივია და გათვლილია იმაზე, რომ რაც შეიძლება მალე შეისწავლოთ თავის დაცვა. ჩვენთან პირველივე მეცადინეობაზე შესაძლებელია ისეთი ილეთების შესწავლა, რომლებსაც ადამიანი რეალურ სიტუაციაში გამოიყენებს.

ამ ილეთის შესრულების დროსაც მნიშვნელოვანია, ვიმოქმედოთ მოწინააღმდეგის სახსარზე. ამ მომენტში ვიყენებთ მოწინააღმდეგის მაჯას და მტკივნეულად ვმოქმედებთ ამ სახსარზე.

ამჯერად განვიხილავთ სიტუაციას, როდესაც თქვენი მოწინააღმდეგე პისტოლეტს შუბლზე გადებთ. თქვენ სწრაფად რეაგირებთ მის მოძრაობაზე, მარცხენა ხელით მტკივნეულად იჭერთ თქვენი მოწინააღმდეგის მაჯას, ხოლო მარჯვენა ხელით პისტოლეტის ლულას სწევთ მოწინააღმდეგის მიმართულებით.

ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მოწინააღმდეგემ შემთხვევითი გასროლით შუბლი არ გაგიხვრიტოთ, მაგრამ პისტოლეტის წართმევისთვის ეს ილეთი არ არის საკმარისი. ამისთვის საჭიროა მოწინააღმდეგის სუსტ წერტილებზე ზემოქმედება.

## ადამიანის სუსტი წერტილები

ნებისმიერ ადამიანს აქვს სუსტი წერტილები: ცხვირი, ყურები, ყბა, კეფა, ყელი, ნიკაპი, მზის წნული, საზარდული და სხვა. ამ კონკრეტული ილეთის შესრულებისას მოწინააღმდეგეს ვურტყამთ ფეხს საზარდულში. საზარდული ადამიანის ერთ-ერთი სუსტი წერტილია. მასში მსუბუქი დარტყმაც კი ძალიან მტკივნეულია. ასე რომ, ამ დარტყმის

საერთოდ, აღმოსავლურ ორთაბრძოლებში რაც უფრო მაღალია სპორტსმენის მომზადების დონე, მით უფრო რთულია ტექნიკა, რომელსაც ის ფლობს. ამ მხრივ ხელჩართული ბრძოლები სრულიად განსხვავებულია. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მარტივად შეგასწავლოთ თავის დაცვა. დაიმახსოვრეთ, რომ ბრძოლის დროს აუცილებელია გააკონტროლოთ ემოციები. ხელჩართულ ბრძოლაში არ არსებობს ზედმეტი მოძრაობა. ყველაფერი უნდა შესრულდეს ზუსტად, თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად. ქუჩურ ჩხუბში შეცდომის დაშვება არ შეიძლება, რადგან ეს შეცდომა შეიძლება ძალიან ძვირად დაგიჯდეთ.

*ალიკა მერებაშვილი*
*შოტოკან კარატე-დოს ტექნიკური ოსტატი, შავი ქამრისა და I დანის მფლობელი*

# ცეცხლსასროლი იარაღის მოგერიების ტექნიკა



1. მოწინააღმდეგე პისტოლეტს შუბლზე გვადებს



2. მარჯვენა ფეხს ვდგამთ უკან, მარცხენა ხელით ვუკავებთ მაჯას, იმავე წამს მარჯვენა ხელით ვიჭერთ პისტოლეტის ლულას და ორივე ხელით ვწევთ პისტოლეტს მაღლა



3. მარცხენა ხელით ვმოქმედებთ მოწინააღმდეგის მაჯის სახსარზე, მარჯვენა ხელით მისკენ ვწევთ პისტოლეტის ლულას, ხოლო მარჯვენა ფეხს ძლიერად ვურტყამთ საზარდულში



4. ვართმევთ და ვუმიზნებთ პისტოლეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დასაძინებელი ტორტი და სენაკიდან გატაცებული МиГ-29

## სამხედრო აეროდრომი სენაკში საბჭოთა პერიოდშიც სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო და დღესაც, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს დასავლეთის მიმართულებით

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ჯარებმა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბიეს და დახოცეს, მთელი საქართველოს ყურადღება სწორედ ამ ტრაგედიისკენ იყო მიპყრობილი.

თუმცა, ერთი თვის შემდეგ მსოფლიო მასმედიის ყურადღება ისევ მიიპყრო მაშინდელმა საბჭოთა საქართველომ, მაგრამ უკვე სხვა რამის გამო — 1989 წლის 20 მაისს ყველა ცნობილი საინფორმაციო საშუალება სენსაციურ ინფორმაციას გადასცემდა: თურქეთის ქალაქ ტრაბზონის აეროპორტში დილით მოულოდნელად დაჯდა საბჭოთა წითელვარსკვლავიანი გამანადგურებელი თვითმფრინავი МиГ-29, რომლის პილოტი კაპიტანი ზუევი თურქეთის პოლიციას ჩაბარდა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.

როგორც გაირკვა, იმ დროისთვის უახლესი და შესაბამისად, გასაიდუმლოებული საბჭოთა გამანადგურებელი МиГ-29-ა ზუევმა საბჭოთა კავშირის



სენაკის სამხედრო აეროდრომის ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 2400 მ-ია, სიგანე კი 60მ.

მოსაზღვრე რესპუბლიკის, საქართველოს ქ. მიხა ცხაკაიის (საბჭოთა პერიოდში ასე ერქვა დღევანდელ სენაკს) სამხედრო აეროდრომიდან გაიტაცა.

სანამ თურქეთის, ხოლო შემდგომ აშშ-ის სპეცსამსახურის თანამშრომლები „მიგის“ გამტაცებელს დაჰკითხავდნენ, ცხაკაიას აეროდრომზე ისეთი ამბავი ტრიალებდა, რომ დედა შვილს არ აიყვანდა. მოსკოვიდან სპეციალური თვითმფრინავით ჩამოფრენილი საბჭოთა გენერლები, ასევე КГБ-სა და ГРУ-ს გამომძიებლები, ხორცის საკეპ მანქანაში ატარებდნენ ცხაკაიაში მომსახურე სამხედროებს.

როგორც გაირკვა, ცხაკაიაში დისლოცირებული 176-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკის მფრინავმა კაპიტანმა ალექსანდრ ზუევმა წინასწარ მოიმარაგა დასაძინებელი ტაბლეტები (ის წამლებს სენაკსა და ახლომდებარე სოფლების აფთიაქებში ყიდულობდა), რომლებიც უხვად გაურია სპეციალურად გამომცხვარ ტორტში. 20 მაისს, ღამის მორიგეობაზე მისვლისას, რამდენიმე მფრინავსა და ტექნიკოსს ამ ტორტით გაუმასპინძლდა შვილის შეძენის საბაბით (სინამდვილეში მას ბიჭი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეეძინა). ვინც ტორტი გასინჯა, ღრმა ძილს მიეცა, ზოგმა გონებაც კი დაკარგა. თავად ზუევი МиГ-29-სთან მივიდა, თუმცა, შეიარაღებულმა მორიგე მექანიკოსმა მას შეჩერება უბრძანა. ზუევმა მორიგე პისტოლეტის გასროლით დაჭრა, მაგრამ ვალში არც მორიგე დარჩა, რომლის ავტომატის ტყვიამ ზუევს ხელი გაუკაწრა. ამ ორმხრივი სროლის მიუხედავად, საბჭოთა კაპიტანმა მოახერხა МиГ-29-ის კაბინაში ჩაჯდომა, გამანადგურებლის ძრავების გაშვება და აფრენა.

მართალია, აეროდრომზე უკვე გამოცხადებული იყო განგაშის სიგნალი და ჰაერში სხვა მორიგე МиГ-29-ებიც აიჭრნენ, მაგრამ ზუევს ათიოდე წუთიც არ დასჭირდა, დაბალ სიმაღლეზე ფრენით ცხაკაიიდან ტრაბზონამდე მიეღწია, რომელთა შორის პირდაპირი ხაზით მხოლოდ 232 კმ-ია.

თურქებმა არ დააკმაყოფილეს ამერიკელების მოთხოვნა და გატაცებული МиГ-29 საბჭოთა კავშირს რამდენიმე დღეში დაუბრუნეს, ეტყობა, მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდნენ.

სამაგიეროდ, ყოფილმა საბჭოთა მფრინავმა და კაპიტანმა ალექსანდრ ზუევმა აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

რაც საინტერესოა, გაქცევიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში ალექსანდრ ზუევი წერდა, რომ **საბჭოთა კავშირიდან გაქცევისა და საიდუმლო „მიგის“ გატაცებისკენ მას სწორედ 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ცენტრში დატრიალებულმა ტრაგედიამ უბიძგა, როდესაც მშვიდობიანი მომიტინგეები საბჭოთა ჯარმა დაუნდობლად დაარბია და მას საბჭოთა წყობის ნამდვილი სახე დაანახვა.**



**ეს სურათი 1989 წლის 20 მაისს, თურქეთშია გადაღებული, როდესაც მარჯვენა ხელში დაჭრილი საბჭოთა პილოტი, კაპიტანი ალექსანდრ ზუევი ტრაბზონის აეროპორტში მიხა ცხაკაიიდან (სენაკიდან) გატაცებული МиГ-29-ით ჩაფრინდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.**

**2001 წლის 10 ივნისს ყოფილი საბჭოთა სამხედრო პილოტი ზუევი ისევ საბჭოთა თვითმფრინავმა იმსხვერპლა — აშშ-ში, ქ. სიეტლის ახლოს ის სასწავლო-სავარჯიშო Як-52-ის პილოტირებისას ჩამოვარდა.**



**კაპიტანმა ზუევმა ცხაკაიიდან საბრძოლო მორიგეობაზე მდგარი ასეთი МиГ-29 გაიტაცა**

აშშ-ში გადაბარგებულმა ყოფილმა საბჭოთა პილოტმა უდიდესი დახმარება გაუწია ამერიკულ სპეცსამსახურებსა და აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავ-ინსტრუქტორებს, როდესაც მათ МиГ-29-ის საიდუმლო ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები და რაც მთავარია, მე-4 თაობის საბჭოთა რეაქტიული გამანადგურებლის ტაქტიკური გამოყენების მეთოდები გააცნო.

ორი წლის შემდეგ, 1991 წლის იანვარ-თებერვალში, როდესაც „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის ფარგლებში ამერიკელი მფრინავები ერაყის ცაში იბრძოდნენ, მათ ძალიან გამოადგათ ზუევის რეკომენდაციები სადამ ჰუსეინის МиГ-29-ების წინააღმდეგ.

„მიგის“ გატაცება დიდი დარტყმა იყო ცხაკაიის საავიაციო პოლკისთვის, თუმცა, ის 1992 წლამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე სამხრეთ კავკასიაში მაინც რჩებოდა ყველაზე ძლიერ გამანადგურებელთა საავიაციო პოლკად, რომელსაც პირველს უნდა გაემართა საჰაერო ბრძოლები თურქეთიდან შემოჭრილი NATO-ს საბრძოლო თვითმფრინავებისთვის მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში.

ცხაკაიის 176-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი სტრუქტურულად გაერთიანებული იყო 283-ე გამანადგურებელთა საავიაციო დივიზიაში (რომლის შტაბი ასევე ცხაკაიაში იყო განთავსებული), რომელიც, თავის მხრივ, 34-ე საჰაერო არმიას (შტაბი თბილისში) ემორჩილებოდა.

სენაკის აეროდრომის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ამ აეროდრომზე დისლოცირებულმა საავიაციო პოლკმა ერთ-ერთმა პირველმა მთელ საბჭოთა კავშირში 80-იანი წლების დასაწყისში მიიღო შეიარაღებაში იმ დროისთვის უახლესი МиГ-29-ები, რომლებიც ამ პოლკში საჯარისო გამოცდასაც გადიოდნენ.

1986 წელს ცხაკაიის აეროდრომიდან 176-ე პოლკის პილოტებმა МиГ-29-ები თურქმენეთში გადააფრინეს, სადაც მარის აეროდრომის რაიონში სასწავლო საჰაერო ბრძოლებს მართავდნენ МиГ-23МЛ და МиГ-21 ტიპის გამანადგურებლების მფრინავებთან, რომლებიც ამერიკული გამანადგურებლების იმიტაციას ახდენდნენ.

ცხაკაიის პოლკში 80-იანი წლების ბოლოსთვის რამდენიმე ახალგაზრდა პილოტმა დაიწყო სამსახური, რომლებიც საქართველოში იყვნენ დაბადებულნი და შემდეგ უკვე უყოყმანოდ იბრძოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში აფხაზეთის ომში. ცხაკაიის პოლკში მსახურობდა აწ გარდაცვლილი, გამოცდილი სამხედრო მფრინავი რეზო ნარუშვილიც, რომლის აფხაზეთის ომში გაბედული საბრძოლო გაფრენების ბოლომდე გაშიფვრა დღესაც არ შეგვიძლია.

1992 წლის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო და მისი არმიის ქონების გადანაწილება მიმდინარეობდა სუვერენიტეტმოპოვებულ რესპუბლიკებს შორის, გაჩნდა შანსი საქართველოს დაეტოვებინა ცხაკაიის აეროდრომზე იმ დროისთვის მდგარი უახლესი თაობის 34 ცალი МиГ-29 და ორი МиГ-23УБ ტიპის გამანადგურებელი. პოლკის მეთაურის მოადგილე კრავცოვი პირად საუბრებში არ მალავდა ამის შესაძლებლობას, რომ გამანადგურებლები საქართველოს იმავე ხერხით დაეტოვებინა, როგორც აზერბაიჯანელებმა გააკეთეს — აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სატვირთო მანქანებით ჩახერგვით.

პოლკში მომსახურე ორივე ქართველი პილოტი ცდილობდა ხმა მიეწვდინა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისთვის, თუმცა, ცხაკაიის აეროდრომზე ჩაფრენილ შევარდნაძესთან შეხვედრა ვერ მოახერხეს, რადგან პოლკის მეთაურობა მათ უკვე ალმაცერად უყურებდა და „მიგებთან“ ახლოს აღარ აკარებდა. ამასთან, დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და მხარეები უფრო პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებით იყვნენ დაკავებულნი.

ამიტომაც მოსკოვს არ გასჭირვებია ყველა МиГ-29-ის გატანა ცხაკაიის აეროდრომიდან, მაშინ როდესაც მოლდაველებმა მოახერხეს მარკულეშტის აეროდრომზე განთავსებული შავი ზღვის ფლოტის 86-ე გამანადგურებელთა პოლკის 34-ივე МиГ-29-ის დატოვება, რომელთაც დღემდე სათითაოდ ყიდიან.

ბოლოს სენაკის აეროდრომმა მსოფლიოს მასმედიის ყურადღება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მიიპყრო, როდესაც რუსეთის ავიაციამ ჯერ რამდენჯერმე დაბომბა იქ დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 მსუბუქი ქვეითი ბრიგადის ტერიტორია, ხოლო შემდგომ რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების დანაყოფებმა ეს ბაზა რამდენიმე კვირით დაიკავეს და მისი ინფრასტრუქტურის ნაწილი გაანადგურეს. ასევე ბაზიდან გაიტანეს არანაკლებ 1728 ცეცხლსასროლი იარაღი (მათ შორის 764 ამერიკული M4 და 754 „კალაშნიკოვი“. ასევე T-72 ტიპის ტანკები და БУК-ის სისტემის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები).

მიუხედავად ყველაფრისა, სენაკის სამხედრო ბაზა და იქ მდებარე აეროდრომი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტად რჩება ქართული არმიისთვის, რომელიც დასავლეთ საქართველოს რეგიონში ძირითადი დასაყრდენია.

**ირაკლი ალადაშვილი**



რუსი ოკუპანტები სენაკის აეროდრომის ბეტონირებულ საფრენ ზოლს აფეთქებენ. 2008 წლის აგვისტო



# ავტომატის, ყუმბარსატყორცნისა და კომპიუტერის ნაჯვარი

## სამხრეთ კორეამ შეიარაღებაში მიიღო კომბინირებული საიერიშო შაშხანა-ყუმბარსატყორცნი DAEWOO K11, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს ქვეითის საცეცხლე ძალას

ცნობილი სამხრეთკორეული კომპანია DAEWOO მარტო ავტომობილების გამოშვებით როდია ცნობილი. ამჟამად ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე სამხრეთ კორეის კონტინგენტი საბრძოლო პირობებში ცდის 21-ე საუკუნის ჯარისკაცისთვის განკუთვნილ კომბინირებულ საიარაღო კომპლექს DAEWOO K11-ს.

სამხრეთკორეელი K11, ფაქტობრივად, ამერიკული XM-29 OICW-ს ანალოგია და ის სამი კომპონენტისგან: ავტომატური შაშხანისგან, ყუმბარსატყორცნისა და ოპტიკურ-ელექტრონული სამიზნე ბლოკისგან შედგება.

ავტომატისა და ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის ერთ სისტემაში გაერთიანება ადრეც უცდიათ. ავიღოთ თუნდაც საბჭოთა AK-74+ГП-25 ან ამერიკული M16+M203-ის ვარიანტები, თუმცა, ამ საიარაღო სისტემებს ერთი ნაკლი ჰქონდათ, — ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით მხოლოდ თითო



DAEWOO K11



სამხრეთკორეელი სამხედროები K11-ს ავღანეთში ინტენსიურად ცდიან




**ჩვენი დოსიე:** კომბინირებული საიარაღო კომპლექს DAEWOO K11-ის სიგრძე 860 მმ-ს შეადგენს, ავტომატური შაშხანის ლულის სიგრძე 310 მმ-ს, ყუმბარსატყორცნისა კი 405 მმ-ს. საიარაღო კომპლექსი ელექტრონულ-ოპტიკური სამიზნე ბლოკით, მჭიდით (როგორც ავტომატური შაშხანისთვის, ისე ყუმბარსატყორცნისთვის), კვების ელემენტებით, მაგრამ ვაზნებისა და ყუმბარების გარეშე 6,1 კგ-ს იწონის (მაგალითად, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით ГП-25-ით AK-74-ის მასა ვაზნებისა და ყუმბარის გარეშე 4,4 კგ-მდეა). ავტომატური შაშხანის მჭიდში 5,56 მმ კალიბრის 30 ვაზნა ჩადის, ყუმბარსატყორცნის მჭიდში კი 20 მმ კალიბრის 5 ყუმბარა.

ყუმბარსატყორცნიდან სასროლად გამოიყენება სამი ტიპის ყუმბარა: ჰაერში აფეთქების დამპროგრამირებელი, მსხვრევად-ფუგასური; მსუბუქად შეჯავშნული ტექნიკის დასაზიანებლად განკუთვნილი კუმულაციური და სავარჯიშო, რომელსაც არა აქვს დამაზიანებელი ელემენტები.

ცეცხლის მართვის ელექტრონულ ბლოკში ლაზერული მანძილმზომის გარდა, განთავსებულია ქარის სიჩქარის განმსაზღვრელი ელექტრონული მოწყობილობაც.

გასროლა შეიძლებოდა, რის შემდეგაც ახალი ყუმბარით უნდა დატენილიყო. სხვათა შორის, ამერიკული ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნ M203-ისგან განსხვავებით, საბჭოთა ГП-25-ის ВОГ-25 ტიპის ყუმბარას ჰილზა არ გააჩნდა და მისი გადატენისას საჭირო აღარ იყო გასროლილი ყუმბარის ჰილზის გამოღება და შესაბამისად, დამატებითი მოქმედებების გაკეთება.

იარაღის კონსტრუქტორთა აზრით, 21-ე საუკუნის ჯარისკაცის საცეცხლე ძალის გასაძლიერებლად საჭირო იყო როგორც ავტომატურ რეჟიმში მსროლელი შაშხანა, ისე მასზე დამაგრებული მჭიდიანი ყუმბარსატყორცნი, რომლის მჭიდშიც რამდენიმე ყუმბარა ჩაეტეოდა.

ამერიკული XM-29 OICW-ისგან განსხვავებით სამხრეთკორეელმა მეიარაღეებმა შედარებით ადვილი გზა აირჩიეს და ყუმბარსატყორცნის ნახევრად ავტომატური გადატენის მექანიზმი უფრო მარტივი, ხელის გადატენის მექანიზმით ჩაანაცვლეს.

სამხრეთკორეული კომბინირებული საიარაღო კომპლექსი შედგება სამი კომპონენტისგან: 5,56 მმ კალიბრის სამამულო წარმოების ავტომატური შაშხანისგან, მჭიდიანი ყუმბარსატყორცნისგან, რომლის მჭიდში 20 მმ კალიბრის 5 ყუმბარა ეტევა და ელექტრონულ-ოპტიკური სამიზნე ბლოკისგან.

ავტომატური შაშხანა და ყუმბარსატყორცნი ერთი სისტემაა და საერთო სასხლეტი და ცეცხლის მართვის მექანიზმი აქვთ. შაშხანის მჭიდში 5,56 მმ კალიბრის NATO-ს სტანდარტის 30 ვაზნა თავსდება.

ყუმბარსატყორცნი „ბულპაპის" პრინციპითაა შექმნილი და მისი 20 მმ კალიბრის ლულა შაშხანის 5,56 მმ კალიბრის ლულის თავზეა დამონტაჟებული. ყუმბარსატყორცნის გადატენა მარჯვენა მხარეს განთავსებული სპეციალური საკეტით ხდება.

თუმცა, მთავარი ამ კომბინირებულ საიარაღო კომპლექსში მაინც არა ავტომატი და ყუმბარსატყორცნი, არამედ სწორედ ელექტრონულ-ოპტიკური დამიზნების ბლოკია, რომელიც ამ ნაკვარს მართლაც 21-ე საუკუნის ეფექტურ საცეცხლე საშუალებად აქცევს.

კერძოდ, სამიზნე ბლოკში გაერთიანებულია დღის ოპტიკური და ღამის ინფრაწითელი ხედვის მოწყობილობები, რომლებსაც საერთო ოკულარი და დასამიზნებელი ელექტრონული ბადე აქვთ. გარდა ამისა, სამიზნეში ინტეგრირებულია ლაზერული მანძილმზომიც.



ელექტრონულ-ოპტიკური სამიზნე ბლოკის შიგთავსი




დაპროგრამირებული ყუმბარის ჭრილი

მსროლელი მისი საშუალებით ზუსტად ადგენს მანძილს მოწინააღმდეგემდე და ისვრის ყუმბარას. საერთოდ, ლაზერული მანძილმზომები და მიზანმომნიშვნელები სხვა საიარაღო კომპლექსებშიც ფართოდ გამოიყენება და ეს თითქოს სიახლე არ არის, მაგრამ სამხრეთკორეული K11-ის ლაზერული მანძილმზომი მიზნამდე ზუსტი მანძილის დადგენის შემდეგ ამ ინფორმაციას სამიზნე ბლოკის ბალისტიკურ გამომთვლელს აწვდის. ბალისტიკური გამომთვლელი, თავის მხრივ, უსწრაფესად გამოთვლის იმ დროს, რაც საჭიროა გასროლილი ყუმბარის მოწინააღმდეგის თავზე მოსაქცევად და ყუმბარის ამფეთქს სწორედ ამ დროზე აყენებს.

შესაბამისად, K11-ით გასროლილი ყუმბარა მიზნის თავზე ფეთქდება და მისი ნამსხვრევები მოწინააღმდეგის ქვეითებს ზემოდან აზიანებენ, ანუ რა საფარსაც უნდა ამოეფაროს მტრის ჯარისკაცი, ის ზემოდან მაინც დაუცველი დარჩება K11-ის 20 მმ-იანი ყუმბარის ნამსხვრევებისგან. სამხრეთკორეელი გენერლების აზრით, K11 ტიპის კომბინირებული საიარაღო კომპლექსი ქვეითი ოცეულისთვის ეფექტური საცეცხლე საშუალებაა, რომლის ყუმბარსატყორცნის საშუალებით შეიძლება მოწინააღმდეგის ჯარისკაცებისა და შეუჯავშნავი ტექნიკის დაზიანება 500-600 მ დისტანციიდან, ხოლო ავტომატური შაშხანით კი მტრის ქვეითების 250-300 მ დისტანციაზე.

ავღანეთში გამოცდისას სამხრეთკორეულ K11-ებს ნაკლიც გამოაჩნდათ, კერძოდ, ზოგჯერ დასამიზნებელი მოწყობილობის ოპტიკის შუშების შიგნით კონდესატი გროვდებოდა და ელექტრონულ-ოპტიკური ბლოკის ელემენტი (რომელიც კონდახშია განთავსებული) ხშირად ითხოვდა დატენას.

თუმცა, საბრძოლო პირობებში გამოცდა სწორედ ნაკლის გამოვლენას ემსახურება და, სავარაუდოდ, ავღანური დებიუტის შემდეგ სამხრეთკორეელი მეიარაღეები უფრო დახვეწენ K11-ს.

**ირაკლი ალადაშვილი**



ბ104/93

არსენალი

ISSN 1987 - 5061



# DAEWOO K11

ეროვნული ბიბლიოთეკა